წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14 76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით — 12 მან.
უცხოეთში
1 თვით — 3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

- ერთა ლიგა ადასტურებს ჩინეთის შემდგომ დაყოფას.
- ბრძოლა შანხაიში [illegible]
- თავდაუსხმელობის პაქტი საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის.
- გაიხსნა საქ.კ.პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის მე-4 პლენუმი.

სამშაბათი, 9 თებერვალი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 33 (3287) ფასი 5 კაპ.

მეორე ხუთწლედის შესახებ

ამხ. კუიბიშევის მოხსენება XVII პარტკონფერენციაზე

მოსკოვი 7 თებერვალი. ამხანაგებო, ჩვენ ვიწყებთ ახალი ხუთწლედის, ფართო სოციალისტური მშენებლობის ახალი გეგმის შექმნას. სავსებით ბუნებრივია, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც პარტიამ და მთელმა მუშათა კლასმა დააგროვა პირველი ხუთწლედის შექმნისა და განხორციელების საქმეში.

ამხ. მოლოტოვმა აქ პოლიტიკური ჯამი გაუკეთა პირველ ხუთწლედს. მე მოკლედ შევეხები იმ ბრძოლის ძირითად შედეგებს, რომელსაც აწარმოებდნენ პარტია, მუშათა კლასი და მშრომელ გლეხთა მილიონიანი მასები ხუთწლედის შესრულების დროს.

პირველი ხუთწლიანი გეგმის საერთო ამოცანა გამოიხატებოდა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზით, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციისაკენ.

თუ მხედველობაში მივიღებთ ინდუსტრიალური განვითარების იმ დაბალ დონეს, რომელზედაც იმყოფებოდა ჩვენი ქვეყანა, თუ მხედველობაში მივიღებთ ხუთწლიანი გეგმის შესრულებას და იმ სოციალურ ამოცანების გადაჭრას, რომლებსაც ისახავდა პირველი ხუთწლიანი გეგმა, რასაც თან სდევდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა როგორც შიგნით, ისე გარეთ—მაშინ სავსებით აშკარა იქნება, რომ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესასრულებლად საჭირო იყო მთელი ენერგიის დაჭიმვა, მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების ენტუზიაზმის მობილიზაცია.

გვიხდებოდა პოზიციების სასტიკი ბრძოლით აღება, გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ მტრები: კულაკი, ნეპმანი, მავნებელი. ადგილი ჰქონდა ინტერვენციის მოწყობის ცდებს. კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც მუდამ მტრულად იყო განწყობილი ჩვენს მიმართ, არსებითად ეკონომიურ ომს აწარმოებდა საბჭოთა ქვეყანასთან. მაგრამ, მიუხედავად კლასობრივი მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა, მიზნად დავისახეთ ჩვენი ქვეყანა აგრარულ ინდუსტრიალურიდან გადაგვექცია ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად და გადამწყვეტ წარმატებებისათვის მიგვეღწია სოციალიზმის აშენების საქმეში პირველ ხუთწლედში.

სავსებით ბუნებრივია, რომ როცა დამტკიცდა პირველი ხუთწლიანი გეგმა, ბურჟუაზია და მისი დამქაშები მას სთვლიდნენ „სულელურ უტოპიად" და ასევე ბუნებრივია, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მოახდინა ყველა თავისი ძალების მობილიზაცია, შექმნა შრომის ახალი მეთოდები და ახალი სოციალისტური ფორმები, ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. ფართოდ განვითარდა დამკვრელობა, რაც მოწმობს მუშების ენტუზიაზმის უაღრესად გაძლიერებას, იმ მუშების, რომლებმაც გადასწყვიტეს მიუხედავად სიძნელეებისა, მიუხედავად მტრული გარემოცვისა ყოველ მიზეზს გარეშე განახორციელონ გეგმა 4 წელიწადში. განვლილი წლები იყო კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში სოციალისტური სისტემის შემოწმების წლები. კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი ორი ერთი-მეორის საწინააღმდეგო სისტემის ასე გადაჭრით დაპირისპირებას. როგორია ამ დაპირისპირების შედეგები? უკვე არა ერთხელ ყოფილა დახასიათებული იმ კაპიტალისტურ სამყაროს დაცემის დონე და სიღრმე, რომელიც ისტორიაში ჯერ არ ნახულ უდიდეს კრიზისს განიცდის. ამიტომ მე დაწვრილებით არ შევჩერდები იმის დახასიათებაზე, თუ რა ხდება კაპიტალისტურ სამყაროში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ წარმოება 1931 წლის დამლევისათვის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაეცა რამდენიმე ათეული პროცენტით. მაგალითად, შეერთებულ შტატებში 48 პროცენტით კრიზისის წინადროინდელ უმაღლეს დონესთან შედარებით. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის მოცულობა თითქმის ყველგან ერთი ორად შემცირდა. იზრდება უმუშევრობა, რომელიც აღწევს ამერიკის და ევროპის მუშათა კლასის ცხოვრებაში ჯერ არ ნახულ, უდიდეს ციფრს. მცირდება საარსებო დონე, ეცემა შრომის ხელფასი. სილატაკე, შიმშილი, განადგურება, შიმშილით სიკვდილი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მარქსმა კრიზისების ეპოქას უწოდა ბარბაროსობისაკენ დაბრუნება. ეს ზედგამოჭრილია იმაზე, რაც ამჟამად ხდება ევროპასა და ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში. ქალაქების ირგვლივ, კარვებში და მიწურებში ცხოვრობს ათასობით ხალხი, რომელსაც არ გააჩნია თავშესაფარი ქალაქში, არ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს ბინის ქირა. ასეთია კაპიტალიზმის არსებობის არა სახარბიელო შედეგები უკანასკნელ წლებში.

ხუთწლედის შესრულება ოთხ წელიწადში

სრულიად სხვაგვარი სურათია შედეგების მხრივ საბჭოთა კავშირში. ეხლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენ არა თუ შევასრულებთ ხუთწლედს, არამედ შევასრულებთ მას 4 წელიწადში. ამ ცოტა ხნის წინად დამტკიცებული 1932 წლის გეგმა ემყარება იმას, რომ უმნიშვნელოვანეს დარგებში ჩვენ არა თუ სავსებით, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულებთ ხუთწლედს 4 წელიწადში; რადგან მძიმე ინდუსტრიის მთელ რიგ დარგებში ჩვენ ხუთწლედი შევასრულეთ სამ წელიწადში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხაზით გეგმა უკვე საგრძნობლად გადაჭარბებით შევასრულეთ. მაგრამ ხუთწლედის შედეგები შეფასებულ უნდა იქნას არა მარტო რიცხვობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რომლებსაც საკმაო ანალიზი გაუკეთეს, არამედ აგრეთვე ხუთწლედის ძირითად დავალებათა, პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანის შესრულების მიხედვით. და თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით მივუდგებით პირველი ხუთწლედის შედეგებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ძირითადი მიზანი და ძირითადი დავალებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო ხუთწლიანი გეგმის ციფრობრივ დავალებებს, გადაჭარბებით შესრულებულია ყველა გადამწყვეტ დარგებში. ხუთწლედი ითვალისწინებდა სოციალიზმის პოზიციების მნიშვნელოვანად გაფართოებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. მაგრამ, სოციალიზმის პოზიციებს ეს გაფართოება ნავარაუდევი იყო გაცილებით უფრო მცირე მასშტაბით, ვიდრე ჩვენ ამას მივაღწიეთ. ჩვენ მივაღწიეთ სოციალისტური სექტორის აბსოლიუტურ უპირატესობას მთელს მეურნეობაში, საგრძნობლად გადავაჭარბეთ ხუთწლედის ვარაუდებს სოფლის კოლექტივიზაციის ხაზით, ჩავაბით კოლექტივებში ყველა ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტი და ამით კოლექტივიზაცია ძირითადათ დავამთავრეთ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მწარმოებელ რაიონებში, სწორი ლენინური პოლიტიკით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობის უდიდესი უმრავლესობა მობრუნდა სოციალიზმისაკენ და 1932-33 წელი ჩვენ მოგვცემს კოლექტივიზაციის ძირითადათ დამთავრებას მთელს საბჭოთა კავშირში. ეს, სოციალიზმის ძირითადი ბაზის—მძიმე ინდუსტრიის—განმტკიცებასთან ერთად ჯერ უკვე 1931 წელს ნიშნავდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრებას.

ჩვენ მივაღწიეთ გაცილებით უფრო მეტ უპირატესობას სოციალიზმის მხარეზე, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგ., როცა იგი დამტკიცებულ იქნა საბჭოების მე-5 ყრილობის მიერ და წარედგინა ჩვენი პარტიის მე-16 კონფერენციას. ჩვენ გავანადგურეთ კულაკი, მივაღწიეთ სოციალიზმის გამარჯვებას სოფლადაც და საკითხი „ვინ ვის" საბოლოოდ გადავსჭერით სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ეს არის იმ დავალებების, იმ ხაზის, იმ მიზნის შედეგი, რომელიც დასახულ იქნა პირველი ხუთწლიანი გეგმით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის გადაქცევას აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყნიდან ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად. მძიმე ინდუსტრიის დავალებათა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულების მეოხებით ჩვენ ვხდებით მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად. უკვე ფეხზე დავაყენეთ მძიმე მრეწველობა, შევქმენით ენერგეტიული მანქანათმშენებლობის ბაზა იმისათვის, რომ განვახორციელოთ მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია. მუშათა რიცხვი სახელმწიფო მრეწველობაში, რკინის გზის ტრანსპორტზე და მშენებლობაში 1932 წელს შეადგენს 11.800.000 კაცს. ეს ბევრად უფრო მეტია იმაზე, რასაც ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. მთელი მრეწველობის წილი რკინის გზის ტრანსპორტთან და მშენებლობასთან ერთად სახალხო შემოსავალში მიაღწევს 57,5 პროცენტს, სოფლის მეურნეობის წილად კი მოდის 22,9 პროცენტი. ამრიგად ძალზე იცვლება შეფარდება. ინდუსტრიალური სექტორი იძლევა სახალხო შემოსავლის ნახევარზე მეტს. ეს ცხადად მოწმობს ჩვენი ქვეყნის გადაქცევას აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყნიდან ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად.

ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება, საგრძნობი წინსვლა ამ მიმართულებით. 1932 წლის გეგმა უმთავრესად შედგენილია შინაგანი წარმოების საფუძველზე. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის მუშაობის საფუძველზე. ხუთწლიანი გეგმის ამოცანას შეადგენდა მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ მშრომელთა მატერიალური-კულტურული დონის აწევის მხრით. უმუშევრობის ლიკვიდაცია, რასაც მივაღწიეთ სამი წლის განმავლობაში, იმ დროს, როცა ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა უმუშევრობის ნაწილობრივ შემცირებას, 7 საათის სამუშაო დღე, მასების საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, კომუნალური და საბინაო მშენებლობა ფართო მასშტაბით, სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის ზრდა, ოჯახის მომუშავე წევრთა რიცხვის გადიდება და მაშასადამე, ყოველი ცალკე ოჯახის ბიუჯეტის ზრდა, ღონისძიებანი სასკოლო საქმესა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში—ყოველივე ეს მოწმობს მუშათა მასების კეთილდღეობის საგრძნობ ზრდას. შრომის ნაყოფიერების ზრდა კოლმეურნეობებში, სათესი ფართობის დიდათ გაფართოება, სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდა, კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად, სოფლის კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელია.

მაგრამ ყველაზე უფრო მთავარი ამ შედეგებიდან არის ის, რომ ხუთწლედის ძირითადი ამოცანა—საკუთარი მტკიცე ინდუსტრიალური ბაზის შექმნა, მძლავრი მოწინავე მრეწველობის შექმნა, რომელიც შესძლებს მთელი სახ. მეურნეობის შეიარაღებას, ჩვენ ყველაზე უფრო სრულად განვახორციელეთ. ახალ ხუთწლედში ჩვენ შევდივართ მსხვილი მრეწველობით, რომელიც მოწყობილია მსოფლიო ტექნიკის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით, ჩვენ შევდივართ საკმაოდ შეიარაღებული იმისათვის, რომ ახალ ტექნიკურ საფუძველზე საკუთარი ხელით, საკუთარი მანქანებით შევაიარაღოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგები. ასეთია პირველი ხუთწლედის ძირითადი შედეგი, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა სრული სიცხადით გეგმიანი სისტემის უპირატესობა, სოციალიზმის უპირატესობა. ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანა განხორციელებულია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ხუთწლედის დავალებანი ზედმიწევნით შესრულდა ყველა ფრონტზე, ყველა დარგში.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ხუთწლიანი გეგმა მისი განხორციელების პროცესში იცვლებოდა. ხდებოდა მისი ნაწილობრივი და ზოგჯერ საკმაოდ საგრძნობი გადაკეთება, ირკვევოდა ახალი დამატებითი შესაძლებლობანი. მაგალითად, მეტალურგიის დარგში დასახულ იქნა სულ სხვა, უფრო დიდი ამოცანები, სოფლის კოლექტივიზაციის დარგში ჩვენ გაცილებით უფრო სწრაფად მივდიოდით წინ, ვიდრე ამას ითვალისწინებდა გეგმა, ასევე საბჭოთა მეურნეობების განვითარების საქმეშიაც; ამრიგად ჩვენი ქვეყანა გადავაქციეთ ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყნად მთელს მსოფლიოში. უფრო სწრაფად მივდიოდით წინ მძიმე ინდუსტრიის დარგში, ვიდრე ამას ითვალისწინებდა ხუთწლიანი გეგმა. მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების საქმეში გაცილებით უფრო მეტი სიძნელეები შეგვხვდა, რასაც ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს არ მოველოდით. მე მხედველობაში მაქვს თვითღირებულება, პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება და ტექნიკური კოეფიციენტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩამორჩება მეცხოველეობის განვითარება, რაც აიხსნება არა მარტო მეცხოველეობის დაბალი დონით ხუთწლედის დასაწყისში, არამედ იმითაც, რომ მეცხოველეობის დარგში სოფლად სწარმოებდა მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რამაც მეტად სერიოზული და ხანგრძლივი ზიანი მიაყენა ამ დარგს. ჩამორჩენით ტრანსპორტის დარგშიაც, ჩამორჩენით აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთ დარგში, როგორიცაა საფეიქრო მრეწველობა, ქიმიური და სხვ. გეგმის შესრულების სიძნელეებზე უფრო მეტხანს მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, რათა აქედან გამოვიყვანოთ გარკვეული დასკვნა მეორე ხუთწლედის გეგმისათვის, ვინაიდან ეს სიძნელეები ჩვენს წინაშე იარსებებენ მეორე ხუთწლედშიაც და ისინი აუცილებლად უნდა დავძლიოთ. როგორი შედეგი გვაქვს თვითღირებულების ხაზით? ხუთწლიანი გეგმის დავალებანი აქ ვერ შევასრულეთ. პროდუქციის ხარისხი არ უმჯობესდება ისეთი ტემპით, როგორიც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, რაც იწვევს მასალის გადახარჯვას, ნაწარმის მალე გაცვეთას და გაფუჭებას და სხვ. ტექნიკური კოეფიციენტების ხაზით მეტწილ დარგებში ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმ ნორმებს, რომლებიც მოცემულია ხუთწლიან გეგმაში. რით აიხსნება გეგმის ასეთი შეუსრულებლობა ხარისხობრივი მაჩვენებლების დარგში იმ დროს, როცა დავალებანი რაოდენობითი მაჩვენებლების დარგში ჩვენ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულეთ?

უწინარეს ყოვლისა ეს აიხსნება ახალი ტექნიკის შეთვისების უფრო მეტი სიძნელეებით, ვიდრე ეს გათვალისწინებული გვქონდა. მთელ რიგ ქარხნების ამუშავების მაგალითი—„ამუშავების ხენი" ცხადათ მოწმობს იმას, თუ რა დიდი სიძნელეები არსებობენ ახალი ტექნიკის დაუფლების საქმეში, რისთვისაც ჩვენ არ აღმოვჩნდით საკმაოდ მომზადებულნი. მეორე მხრით, ეს აიხსნება ჩამორჩენით კვალიფიცირური კადრების მომზადების საქმეში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხისათვის, დავალებათა შესრულებისათვის თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერების და საერთოდ შრომის ორგანიზაციის დარგში. ბოლოს, ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს შრომის ორგანიზაციის დეფექტები, გათანაბრება და გაუპიროვნება, არასაკმაოდ ენერგიული ბრძოლა მუშა-ხელის ცვალებადობასთან და სხვ. თუ რაოდენობითი დავალებათა შესრულება შესაძლებელი გახდა მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიღწევის საქმეში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა დეფექტები, რომ ჩვენ ვერ შევძელით მათი სავსებით დაძლევა პირველ ხუთწლედში.

მართვის ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, საგრძნობ როლს თამაშობდა ამ საქმეში. ის გზა, რომელსაც ჩვენ ეხლა დავადექით—მართვის კონკრეტიზაცია, ყურადღების მიქცევა წარმოების წვრილმანებისათვის, ქარხნის, წარმოების, ტექნოლოგიური პროცესის ყველა სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში მოქცევა—ყველა პირობებს ქმნის იმისათვის, რომ უდიდეს ტემპებთან ერთად რაოდენობითი დავალებების დარგში მივაღწიოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების საგრძნობ გაუმჯობესებასაც. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის ბრძოლამ, რომელიც გაიშალა ამჟამად ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე, უკვე დასახა გარდატეხა ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევის საქმეში. მუშაობის ამ დარგს ჩვენ მომავალშიაც უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება. ამრიგად იმ წარმატებათა მეოხებით, რომელთაც ჩვენ მივაღწიეთ პირველ ხუთწლედში, ჩვენი ქვეყანა უკვე გადაიქცა იმდენად განვითარებულ ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომ არავის აზრად არ მოუვა ჩასთვალოს საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად. მთელ რიგ დარგების საერთო პროდუქციის ხაზით ჩვენ უკვე მეორე ადგილი გვიკავია მსოფლიოში. 1932 წელს ჩვენ კიდევ უფრო დიდ გამარჯვებას მივაღწევთ. ნავთის წარმოების მხრით ჩვენ უკვე მეორე ადგილი გვიკავია შეერთებული შტატების შემდეგ. მანქანათმშენებლობის დარგში 1931 წელს (აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გამოანგარიშება და შედარებანი უაღრესად დაახლოებითია, რადგან ჩვენ იძულებული ვართ შედარება მოვიყვანოთ ღირებულების გამოხატულებით) ჩვენ უახლოვდებით მეორე ადგილს მთელს მსოფლიოში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში—პირველ ადგილსაც.

განვითარებული შეტევა უფრო მტკიცეა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ დიად მშენებლობის ხელმძღვანელობას უწევს ლენინური კომუნისტური პარტია, რომელიც მკაცრად გაუსწორდა ყველა ჯურის ოპორტუნისტებს და, რომელიც არ ფიქრობს შეანელოს შემდეგში ჩვენი ტემპები, მეორე მხრით იმიტომ, რომ ახალ სოციალისტურ წყობილებას ქმნიან თვით მუშებისა და გლეხების მრავალმილიონიანი მასები, ბოლოს იმიტომ, რომ ჩვენ ყოველ ნაბიჯს, ყოველ დაპყრობილ პოზიციას ვამაგრებთ ტექნიკის უახლესი, უფრო სრულყოფილი ფორმების გამოყენებით, ჩვენი გამარჯვება მყარი და შეურყეველია. პირველი ხუთწლედის შედეგების ამ მოკლე მიმოხილვიდან სრული სიცხადით გამომდინარეობს, რომ სოციალური, მატერიალური და ტექნიკური მხრით ჩვენ გვაქვს ისეთი ბერკეტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ საკმაოდ ფართო გაქანებით მივუდგეთ მეორე ხუთწლედის გეგმის შედგენას. პირველმა ხუთწლედმა უკვე შექმნა მყარი მატერიალური ბაზა რწმენისათვის, რომ ჩვენ შევასრულებთ იმ უდიდეს ამოცანებსაც, რომლებიც დასახულია მეორე ხუთწლიანი გეგმისათვის.

გზა სოციალიზმისაკენ

როგორია მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი თვალსაზრისი? ამხ. მოლოტოვმა აქ უკვე მოიყვანა თეზისების ძირითადი პუნქტი, რომელიც ახასიათებს მეორე ხუთწლედის ძირითად და უმთავრეს სოციალურ პოლიტიკურ ამოცანას.

მე მოვიყვან კიდევ ერთხელ ამ თეზისს: „კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია. კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების სავსებით მოსპობა, კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ეკონომიკისა და ადამიანთა შეგნებაში და ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად".

სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩვენ პირველ ხუთწლედში გადავსჭერით სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების ამოცანა და მეორე ხუთწლედისათვის ამოცანად ვისახავთ სოციალისტური საზოგადოების აშენებას საბჭოთა კავშირში. ეს იქნება იმ პერიოდში, როცა მოისპობა ყოველგვარი საფუძველი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისათვის, მაგრამ როცა კიდევ საჭირო იქნება განსაკუთრებული ტიპის სახელმწიფოს არსებობა, რომელიც შეინარჩუნებს საერთო საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე. ჯერ კიდევ საჭირო იქნება, როგორც ლენინი ამბობდა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ სასტიკი კონტროლის დაწესება შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე. შრომის ანაზღაურება კვლავ იწარმოებს შრომის და არა მოხმარების მიხედვით.

ეს იქნება იმ პერიოდში, როცა შრომა, რომელიც ეხლა უკვე წარმოადგენს მუშათა კლასის მოწინავე რიგებისათვის პატიოსნების საქმეს, სახელის საქმეს, სიმამაცისა და გმირობის საქმეს, ასეთივე იქნება უკლასო სოციალისტური საზოგადოების ყველა აქტიურ შეგნებულ მშენებლებისათვისაც.

ეს იქნება იმ პერიოდში, როცა შრომის ძველი დანაწილება კიდევ უფრო მოისპობა. სასოფლო სამეურნეო შრომა გადაიქცევა ინდუსტრიალური შრომის ერთ-ერთ სახედ და მით შეიქმნება პირობები ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების სრული მოსპობისათვის.

ეს იქნება იმ პერიოდში, როცა მუშა, რომელიც ეწევა ფიზიკურ შრომას ფართო მასშტაბით მიიღებს პოლიტექნიკურ განათლებას და როცა ამით შეიქმნება წინაპირობები გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირდაპირების მოსპობისათვის შემდეგში.

ეს იქნება იმ პერიოდში, როცა კლასები უკვე მოსპობილი არიან. მაგრამ სახელმწიფო და პროლეტარიატის დიქტატურა ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას და ყოველნაირად უნდა განმტკიცდნენ ისინი, რამდენადაც არსებობს მტრული კაპიტალისტური გარემოცვა, რამდენადაც კაპიტალიზმის აშკარა და ფარული აგენტები არ სწყვეტენ თავიანთ დამნგრევ მუშაობას, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში რჩებიან კაპიტალიზმის გაბოროტებული ნაშთები.

სოციალიზმის წარმატებანი მიღწეულ იქნება მხოლოდ კაპიტალიზმის ამ ნაშთებთან ბრძოლაში და კონტრრევოლიუციონური კაპიტალისტური ელემენტების დაუზოგავად დაძლევით, მხოლოდ ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ცრუ წარმოდგენის დაძლევით მშრომელთა შორის, მხოლოდ შეუპოვარი მუშაობით მათი სოციალისტური აღზრდისათვის.

საკითხი „ვინ-ვის", რომელიც მოხსნილი და გადაჭრილია საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სასარგებლოდ, მით უფრო მეტი სიმწვავით ისმება საერთაშორისო ასპარეზზე.

სოფლის მეურნეობის ზრდისა და რეკონსტრუქციის საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ზრდის საფუძველზე მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება გადადგმული სასოფლო-სამეურნეო შრომის და თვით სოფლის მეურნეობის მუშაკების შეცვლისათვის. სულ უფრო და უფრო მეტად შეიცვლებიან უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის დროს თვით კოლმეურნეობანი, თვით საკოლმეურნეო მშენებლობა. განსხვავება სახელმწიფო საწარმოს მუშასა და კოლმეურნეს შორის სულ უფრო ისპობა ერთისა და მეორის უკლასო სოციალისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მუშაკებად გადაქცევის გზით.

ჩვენ უკვე პირველ ხუთწლედში მივაღწიეთ მსოფლიოს მოწინავე ინდუსტრიალური ქვეყნების დონეს ცალკე წარმოებათა დარგში. მოგვეპოვება მთელი შესაძლებლობა იმისათვის, რომ დირექტივა „დავეწიოთ და შემდეგ გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს დონეს" მე 2 ხუთწლედში განხორციელებულ იქნას სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ჩვენ მოგვეპოვება ახალი წყაროები განვითარების სწრაფი ტემპებისათვის. საგეგმო სისტემის განმტკიცების ზრდა, მუშათა კლასის შეკავშირებისა და აქტივობის ზრდა და შრომის სოციალისტური ფორმების სულ უფრო და უფრო გავრცელება—ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ მეორე ხუთწლედისათვის განვითარების მეტად მაღალი ტემპები. სახელდახელო გამოანგარიშება, რაც ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ საორიენტირო ხასიათს ატარებდეს, საშუალებას გვაძლევს ჩვენ ვივარაუდოთ, რომ საშუალოდ ჩვენი მრეწველობის წლიური ნამატი მეორე ხუთწლედში 20 პროცენტზე ნაკლები არ იქნება. ეს არის მეტად მაღალი ტემპები, რომელთა მსგავსი არაფერი იცის კაპიტალისტური მრეწველობის მსოფლიო ისტორიამ. სამრეწველო პროდუქციის წლითი-წლობით დაახლოებით 20 პროცენტით გადიდება ჩვენ საშუალებას მოგვცემს სამრეწველო პროდუქციის საერთო რაოდენობა ხუთწლედის დამლევისათვის გავადიდოთ ორნახევარჯერ 1932 წელთან შედარებით.

ამ დონის მიღწევის შემდეგ ჩვენ სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის ცალკე დარგებში შევსძლებთ ნამდვილად განვახორციელოთ ლოზუნგი: დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონეს. აი თქვენ ცალკე ილიუსტრაციები. თუჯის დარგში ჩვენ მიზნად ვისახავთ გამოვადნოთ 22 მილიონი ტონა თუჯი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ევროპაში დავიკავებთ პირველ ადგილს და უკან ჩამოვრჩებით მხოლოდ ამერიკას, რომელსაც 1929 წელს ჰქონდა 43 მილიონი ტონა თუჯი. გერმანიას საუკეთესო წლებში, თუ ჩავთვლით ომის შემდგომ წლებს, ჰქონდა 13,8 მილიონი ტონა, საფრანგეთს—10 მილიონი ტონა, ინგლისს— 7 მილიონი ტონა. ჩვენ კი გვექნება 22 მილიონი ტონა თუჯი. დავალება მეტად ძნელი და დაძაბული მდგომარეობას ქმნის, მაგრამ ეს დავალება უკვე წინასწარ გადაწყვეტილი და მომზადებულია ყოველივე იმით, რაც გააკეთეს პარტიამ და მუშათა კლასმა შავი მეტალურგიის განვითარების მხრივ პირველ ხუთწლედში.

ქვანახშირის დარგში განზრახული გვაქვს მივიღოთ 250 მილიონი ტონა ხუთწლედის უკანასკნელ წელიწადში. ეს ნიშნავს, რომ ადგილს დავიჭერთ ინგლისის გვერდით. რომელმაც 1929 წელს ამოიღო 260 მილიონი ტონა ქვანახშირი და წინ გაუსწრებთ ევროპის ყველა დანარჩენ ქვეყნებს —გერმანიას, საფრანგეთსა და სხვებს, ჩამოვრჩებით მხოლოდ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც 1929 წელს ამოღებულ იქნა 546 მილიონი ტონა ნახშირი. მე არ მოვიყვან შედარებას წარმოების ეხლანდელ დონესთან ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დანარჩენ ქვეყნებში კრიზისის პერიოდში, რადგან ეს მეთოდი სწორი არ იქნებოდა. თუ ჩვენ ახლა თუჯს ან სხვა ნაკეთობას ვღებულობთ მეტს, ვიდრე 1931 წ ჰქონდა ინგლისს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას რომ ჩვენ დავეწიეთ ინგლისს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ინგლისის ეს წარმოება დაეშვა უფრო დაბალ დონეზე.

1937 წელს 80-90 მილიონი ტონა ნავთის ამოღებით ჩვენ დავიჭერთ მეორე ადგილს მსოფლიოში და საგრძნობლად დაუახლოვდებით ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების დონეს. ყველგან მოვიყვან კაპიტალისტური ქვეყნებისათვის უფრო ხელსაყრელი წლების მაგალითებს.

მანქანათმშენებლობაში. თუ მანქანების წარმოებას სამ-ნახევარ ჯერ გავადიდებთ, საბჭოთა კავშირი ეკონომიური მხრით მეორე ადგილს დაიკავებს მსოფლიოში, ხოლო ტექნიკური მხრით პირველსაც კი, რადგან ჩვენ ვეუფლებით წარმოების ყველაზე უფრო მოწინავე ნიმუშებს. კერძოდ, ავტომობილების დარგში ჩვენზე წინ მხოლოდ ჩრდილოეთ-ამერიკა იდგომება. ყველა დანარჩენ ქვეყნებს ჩვენზე ნაკლები ექნებათ. ტრაქტორები, რომ ვიანგარიშოთ მარტო უკვე მომქმედი ქარხნების წარმოება და მშენებლობის პროცესში მყოფი ჩელიაბინსკის ქარხნის პროდუქცია, გვექნება 170 ათასი და მათ დავამზადებთ უფრო მეტს, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყნები ერთად, მაგრამ მაინც ვერ მივაღწევთ ჩრდილოეთ-ამერიკის 1929 წლის დონეს, როცა დამზადდა 229 ათასი ტრაქტორი.

ქიმიაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის და რომელსაც სულ უფრო ეყრდნობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგები, ჩვენი ამოცანაა დავიკავოთ ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიოში, განსაკუთრებით სასუქის წარმოების ხაზით. პირვანდელი ვარაუდით რომელიც, ვიმეორებ, მხოლოდ უაღრესად საორიენტაციო ხასიათისაა, სუპერფოსფატის და აზოტის დარგში, ჩვენ შეგვიძლია დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკასაც კი.

ბოლოსთვის მოვიტოვე წარმოების დარგი, რომელიც არის ძირითადი დარგი მთელი სახალხო მეურნეობისათვის. ესაა ელექტროენერგია. ელექტროენერგიის წარმოების დონე ახასიათებს მეურნეობის ტექნიკური ბაზის დონეს, 1937 წელს ჩვენ მივაღწევთ 100 მილიარდ კილოვატ-საათ ენერგიის წარმოებას და თითქმის დავეწევით შეერთებულ შტატებს, რომელიც 1929 წელს იძლეოდა 97 მილიარდ კილოვატ საათს, თუ საერთო სარგებლობის სადგურებს ვიანგარიშებთ, და 117 მილიარდს, თუ ყველა ელექტრონულ სადგურებს ჩავთვლით. ამგვარად, ჩვენ ძალიან დაუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რომ უახლოეს ვადებში დავეწიოთ და გაუსწროთ ჩრდილოეთ-ამერიკას. ამის გარანტია ის გარემოებაა, რომ ელექტროენერგია ჩვენში საგრძნობლად უფრო მეტი გამოდის ნაკლები რაოდენობის კილოვატის სიმძლავრის დანადგარიდან.

ამ 100 მილიარდს ჩვენ მივიღებთ 20 მილიონი კილოვატის სიმძლავრის დანადგარით, მაშინ, როცა ამერიკაში 117 მილიარდ კილოვატ-საათს ღებულობენ 30 მილიონი კილოვატ-საათის სიმძლავრის დანადგარის გზით. ელექტრო-ენერგიის დარგში საგრძნობლად გაუსწრებთ გერმანიასაც, კანადასაც, ინგლისსაც, საფრანგეთსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოების მოცულობას. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი შენიშვნა მიუდგება ყველა დარგებს, რომლებიც ჩამოვთვალე. მე ყველგან ვლაპარაკობ წარმოების მოცულობაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ყველაფერი, რაც ჩვენ გვესაჭიროება, რომ ტექნიკურ-ეკონომიურად დავეწიოთ და გაუსწროთ დასავლეთ ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს ლოზუნგი რომ ბოლომდე განვახორციელოთ, მათ უნდა გაუსწროთ არა მარტო წარმოების მოცულობაში, არამედ გაუსწროთ ამა თუ იმ ნაწარმის იმ რაოდენობის მხრითაც, რომელიც მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდის. ეს კრიტერიუმი უფრო ზუსტი და სწორია საწარმოო ძალთა განვითარების დონის შედარებისათვის. ჩვენ მხოლოდ მაშინ გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ტექნიკურ-ეკონომიურად, როცა მეტი გვექნება არა მარტო წარმოება მოცულობის მხრით, არამედ როცა მოსახლეობის თვითეულ სულზე მოუწევს ნაწარმოები საგნების მეტი რაოდენობა. მართალია, ყოველთვის სრულიადაც არ არის საჭირო ამ სულადობრივ ნორმებს გადავაჭარბოთ, რომ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს დავეწიოთ. არა გვგონია მოსახლეობის თვითეულ სულზე დაგვჭირდეს იმდენი ავტომობილი, ვიდრე ამერიკაში, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ავტომობილებს ჩვენს პირობებში ვიყენებთ უფრო ეფექტიურად და უფრო მიზანშეწონილად, ვიდრე კაპიტალისტურ მსოფლიოში იყენებენ.

ჩვენი მსხვილი სასოფლო-მეურნეობის პირობებში ტრაქტორები, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ სამუშაო სეზონის მთელი დღე-ღამის განმავლობაში, შეიძლება და უნდა გამოვიყენოთ საგრძნობლად უკეთესად, ვიდრე მათ იყენებენ ფერმერები კაპიტალისტურ ქვეყნების კერძო მეურნეობაში.

ჩვენ მხოლოდ იმიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ წარმოების 5-10 წლის მანძილზე ისეთი უდიდესი განვითარება, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნები ათეულ და ასეულ წლებში გადიან, რომ ჩვენ მოგვეპოვება უაღრესი უპირატესობა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შედარებით. ჩვენ არ განვიცდით კრიზისებს.

ოქტომბერმა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის შეუძლებელი გახადა კაპიტალისტურ მსოფლიოს ამ საშინელი ავადმყოფობით დაავადება. ეს უდიდესი უპირატესობაა კაპიტალისტურ მსოფლიოს წინაშე, რომელიც კრიზისებს განიცდის, სადაც წარმოების განვითარებას სცვლის მისი ღრმად დაცემა, რის შემდეგ მთელი რიგი წლების განმავლობაში ცდილობენ მიაღწიონ იმ დონეს, რომელიც ოდესღაც უკვე იყო მიღწეული.

ჩვენში უზრუნველყოფილია მეურნეობის განუწყვეტელი ზრდა, თანმიმდევარი სისტემატიური მოძრაობა წინ, და ეს ჩვენს მეურნეობას აყენებს სრულიად სხვა პრინციპიალურ და სამეურნეო პირობებში კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შედარებით. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია, რომ ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ მეორე ხუთწლედში, შესრულდება, რა რიგ გრანდიოზული არ იყვნენ ისინი.

მეორე ხუთწლედის წინაშე ჩვენ ვაყენებთ შემდეგ მეტად დიდ ამოცანას—მიღწეულ იქნას სოციალისტურ მეურნეობის სრული ეკონომიური დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ავიცილოთ ჩვენთან მებრძოლი [illegible] რა, არავითარი ბლოკადა.

მაგრამ, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენს იდეალს ჩაკეტილი მეურნეობა წარმოადგენს. საგარეო სავაჭრო ურთიერთობას ჩვენ გავაფართოვებთ. მაგრამ ამ ურთიერთობის გაფართოების დროს მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოს ესაჭიროება არა კავშირი კაპიტალისტურ მსოფლიოსთან საერთოდ, არა კავშირის ყოველნაირი გაფართოება, არამედ ისეთი ურთიერთობა, რომელიც ანმტკიცებს სოციალისტურ მშენებლობას, ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება საბჭოთა კავშირის სრული ეკონომიური დამოუკიდებლობის საფუძველზე. ჩვენ ყოველნაირად გავშლით ისეთ ურთიერთობას, რომელიც ხელს შეგვიწყობს საზღვარგარეთიდან მივიღოთ ამა თუ იმ დროში ჩვენთვის საჭირო ესა თუ ის პროდუქტი, ნედლეული, მანქანები, ისეთ ურთიერთობას, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოეთის ბაზარზე განსაზღვრული დროისათვის ჩვენთვის ზედმეტი პროდუქციის გასაღებას. მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი: გვინდა გავყიდით, არ გვინდა—არ გავყიდით. ჩვენ უნდა უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, როცა ყველაფერს, რაც საჭიროა ჩვენთვის, თვითონვე დავამზადებთ, და ამიტომ ამა თუ იმ პროდუქტს თუ გვსურს ვიყიდით, მაგრამ შეგვიძლია იგი არ ვიყიდოთ. ჩვენ უნდა ვიყოთ მდგომარეობის ბატონ-პატრონი კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ჩვენი ურთიერთობის საქმეში.

[illegible] წლედის დამლევისათვის.

ამჟამად ძნელია ლაპარაკი ამოცანებზე წლების მიხედვით. ახლა ჩვენ ვამუშავებთ მხოლოდ დირექტივებს გეგმის შედგენისათვის, მაგრამ ერთი რამ ახლაც შეიძლება ითქვას სრული გარკვეულობით: ხუთწლედის პირველ წლებში ამოცანად უნდა დავისახოთ, პირველი არსებითი გარდატეხის მიღწევა მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, მეორე, უნდა უზრუნველვყოთ იმ დიდი სამშენებლო პროგრამის დამთავრება, რომელის გატარება დაიწყო წინანდელ 1930-31-32 წლებში.

სამშენებლო პროგრამის ეს ნაწილი ყოველ მიზეზს გარეშე დამთავრებულ უნდა იქნას 1933 წელს. შემდეგ იწყება სამუშაოების ახალი ციკლი, რომელიც კიდევ უფრო საგრძნობლად შეცვლის ჩვენი ქვეყნის სახეს. 1930-31-32 წლებში დაწყებული სამუშაოთა ციკლი წარმოადგენს არა ცალკე ქარხნების მშენებლობას, არამედ უდიდესი კომბინატების—კომპლექსების აგებას, როგორიცაა: ურალ-კუზნეცკის კომბინატი, ბერეზნიკოვის და ბობრიკოვის კომბინატები, დონბასის ქვანახშირის მეტალურგიული ბაზის კომპლექსები, დნეპროკომბინატი, აპატიტი და სხვ.

აღნიშნული კომბინატები, ეს საკომპლექსო პრობლემები, რომელთა მშენებლობა დაიწყო პირველ ხუთწლედში, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დამთავრდეს მეორე ხუთწლიანი გეგმის პირველ წლებში.

ამოცანები სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში

ამოცანები სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში.

როგორ ძირითად დავალებებს აყენებს ჩვენს წინაშე ხუთწლიანი გეგმა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში? მე უკვე ვსთქვი, რომ მთელი სამრეწველო პროდუქცია გადიდდება დაახლოებით 2 ნახ. ჯერ, სახალხო შემოსავალი 1937 წელს გაიზრდება ორჯერ მაინც, 1932 წელთან შედარებით, სახალხო შემოსავლის სოციალისტურ სექტორში მთლიანად მოქცევით.

საწარმოო საშუალებათა წარმოება ამასთან უნდა გაიზარდოს ისე, რომ მიღწეულ იქნას სახალხო მეურნეობის ტექნიკური და ეკონომიური დონის საგრძნობი გადიდება, ხოლო მოხმარების საგნები გაიზრდება ისეთი პროპორციით, რომ უზრუნველყონ ძირითადი დირექტივების შესრულება—მუშათა და კოლმეურნე მასების მატერიალური დონის გადიდება 2-3-ჯერ საფეიქრო მრეწველობის, ფეხსაცმელის, სურსათის და სხ. დარგში. სახალხო შემოსავლის და წარმოების აღნიშნული ზრდის პირობას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგების —მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სრული რეკონსტრუქცია. სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს ჩვენ შევუქმნით ახალ ტექნიკურ ბაზას. ეს ახალი ტექნიკა დამყარებული იქნება საკუთარი მძიმე მრეწველობის, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის, შემდგომ განვითარებაზე, რასაც სწორად აღნიშნავენ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. ამ ტექნიკას საფუძვლად უდევს ელექტროფიკაციის მძლავრი განვითარება, ეს ტექნიკა დამყარებული იქნება იმ სამეცნიერო და ტექნიკური კადრების სწრაფ ზრდაზე, რომლებსაც წამოაყენებს კულტურულად გაზრდილი მუშათა კლასი და გლეხობა.

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანას გარდა იმ უპირატესობისა, რომელიც მოიპოვა მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქვს უდიდესი უპირატესობა ბუნებრივი სიმდიდრეების მხრით. ჩვენ აურაცხელ სიმდიდრეებს ვფლობთ ყველა დარგებში: წყლის ენერგიის დარგში და სარწყავი რესურსების დარგშიაც ჩვენ გვაქვს ქვანახშირის ისეთი მარგალიტები, როგორიც კუზბასი, კარაგანდა, დონბასი, ნავთის მხრით, ქიმიური ნედლეულის მხრით, რკინის მადნების დარგში, რომელთა ახალი საბადოებს თითქმის ყოველ თვე პოულობენ ჩვენი კავშირის სხვადასხვა კუთხეებში, ყოველგვარი ფერადი ლითონის დარგში, იშვიათი ლითონის დარგში, სასუქი ნედლეულის დარგში—კალიუმი, აპატიტი, საშენებელი მასალით ნედლეულის დარგში. ჩვენ გვაქვს აურაცხელი სატყეო სიმდიდრეები, ჩვენ გვაქვს უდიდესი ფართობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების დასათესად.

ჩვენ გვაქვს მიწის უდიდესი რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცხოველეობის მძლავრი განვითარებისათვის, ჩვენ გვაქვს ისეთი კლიმატიური თავისებურებანი, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას მოვიყვანოთ ჩვენს ნიადაგზე თითქმის ყოველგვარი კულტურები. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა განვავითაროთ ბამბა და სუბტროპიკული მცენარეები ამიერ-კავკასიასა და შუა აზიაში. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მივიღოთ კაუჩუკი იმ ბოტანიკური სიმდიდრეების მარაგით, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ეს, რასაკვირველია, მეტად გვიმსუბუქებს ჩვენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგების რეკონსტრუქციის საქმეს.

წყლის რესურსები—მდინარეები, ტბები—უკვე მეორე ხუთწლედში ფართოდ იქნებიან გამოყენებული ენერგიის მისაღებად, ამასთან ერთად ისინი გამოყენებული იქნებიან ირიგაციისა და ნაოსნობისათვის. დგება ისეთი პრობლემა, როგორიც მდინარე ვოლგის და მისი შენაკადების გამოყენება. ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გამოიტანა დადგენილება მდინარე ვოლგაზე ორი ელექტროსადგურის აგების შესახებ.

პირველი [illegible] ივანოვო-ვოზნესენსკის ოლქისათვის, მეორე ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქისათვის. სავსებით ცხადია, რომ ესენი იქნება არა მარტო ელექტროსადგურები, არამედ მდინარე ვოლგაზე ნაოსნობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ნაგებობანი. გადაჭრით უნდა მოხდეს მარინსკის არხების სისტემის რეკონსტრუქცია. თეთრი ზღვის არხის პრობლემა მთლიანად განხორციელებული იქნება პირველ ხუთწლედში. შემდეგ მიდის ვოლგა-დონის არხი, რომლის მშენებლობა ალბად დამთავრდება პირველ ხუთწლედში.

მანიჩი—უდიდესი პრობლემა (კასპიისა და შავი ზღვის შეერთება), რომელიც ჯერ არ არის საკმაოდ შესწავლილი, მაგრამ ხუთწლიანი გეგმის მომზადების დროს იგი ბოლომდე უნდა იქნას დამუშავებული, როგორც ცენტრის, ისე შესაფერი ოლქების საგეგმო ორგანოებში იმ ანგარიშით, რომ უკვე ამ მეორე ხუთწლედში დაწყებულ იქნას აღნიშნული პრობლემის განხორციელება.

მთელი სიგრძე-სიგანით სდგება აგრეთვე ანგარის პრობლემა, ელექტროენერგიის უდიდესი რაოდენობის მიღებას. სრულიად განსაკუთრებული პირობები, რომლებიც შექმნილია ბუნების მიერ ამ მძლავრ მდინარეზე, მოითხოვენ გულდასმით შესწავლას მეორე ხუთწლედის შედგენის პერიოდში იმ ანგარიშით, რომ ხუთწლედის დამტკიცების მომენტისათვის შესაძლებელი იქნეს ამ პრობლემის მუშაობის პროგრამაში შეტანის საკითხის გადაჭრა.

ჰიდროენერგია და თბოსადგურების ენერგია გაერთიანებული იქნება მთელ რიგ მაღალი ძაბვის ელექტრორგოლებში, რომლებიც შექმნიან ბაზას მრეწველობის და უმნიშვნელოვანეს ტექნიკური პროცესების —ინდივიდუალური მამოძრავებლები, ელექტროქიმია, ელექტრომეტალურგია, და სხვა. სრული ელექტროფიკაციისათვის—ელექტრობის ფართოდ გამოსაყენებლად მთელს სახალხო მეურნეობაში, ტრანსპორტში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ მეურნეობაში და სხვა.

ახალი რაიონები, ახალი სიმდიდრეთა რაიონების გამოყენება გვაძლევს ჩვენ დამატებით ახალ ნედლეულს. ამასთან ერთად განვითარდება სინტეტიურ ნედლეულის წარმოება: აზოტი, სინტეტიური კაუჩუკი, ფენა-მასა, ხელოვნური ბოჭკო, სინტეტიური სპირტი, ალუმინი ნეფელინიდან, ალუნიტიდან, კაოლინიდან, ნაცრიდან და სხვა იწარმოებს ნედლეულის სტანდარტიზაცია მისი ხარისხის უფრო დიდი ერთგვაროვნების მისაღწევად (მადნის, ქვანახშირის, საშენებელი მასალის, სასუქის და სხვა დარგში).

სულ უფრო მეტად იქნება შემოღებული ნედლეული მაღალი ხარისხის ამას ადგილი ექნება ხარისხოვანი ლითონების, ხარისხობრივი ფოლადის უაღრესად მაგარი შენადნობის, მსუბუქი შენადნობის და სხვა დარგში. გაუმჯობესებულ იქნება ტექნიკური პროცესები, რომლებიც გაადიდებენ თავიანთ ეფექტიურობას. გაუმჯობესებულ იქნება ტექნიკური პროცესები უმაღლესი და უმდაბლესი ტემპერატურით, გაუმჯობესდება პროცესები ქიმიის დარგში, მაღალი წნევა, მაღალი ძაბვა და სხვა.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

საქართველოს [illegible]

სახალხო მეურნეობის დარგების რეკონსტრუქცია

საჭიროა შევჩერდეთ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების პერსპექტივებზე მეორე ხუთწლედში.

დავიწყებ მძიმე მრეწველობიდან, რომელიც, რასაკვირველია, ისევ რჩება მთელი სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგად.

მანქანათმშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანას მეორე ხუთწლედში წარმოადგენს მრეწველობის სწორედ ამ დარგის განვითარება. მანქანათმშენებლობას მოწინავე როლი ეკუთვნის მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურად ხელახლა შეიარაღებისა და რეკონსტრუქციის საქმეში.

მანქანათმშენებლობის დარგში ჩვენ უნდა გადავჭრათ არა მარტო წარმოების რიცხვობრივი გაფართოების, არამედ ახალ წარმოებათა გაჩენისა და ახალი მანქანების შექმნის ამოცანაც. მანქანათმშენებლობაში განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს შავი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის რეკონსტრუქციის უზრუნველყოფის ამოცანას, ბაზის შექმნას ელექტროფიკაციისათვის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და მსუბუქი მრეწველობის მანქანებით უზრუნველყოფის ამოცანას. დაზგათმშენებლობის, ელექტროტვირთზიდვისა და ვაგონ-ორთქლმავალთმშენებლობის ახალმა ქარხნებმა, გემთსაშენმა ვერფებმა, საავიაციო ქარხნებმა, იმ ვიწრო სპეციალიზებული დამამზადებელი ქარხნების (ჩამომსხმელი, საშტამპო, სამჭედლო და სხვ.) აგებასთან ერთად, რომლებიც ძლევიან დადგმული მექანიკური მოწყობილობის სავსებით გამოყენების შესაძლებლობას, უნდა უზრუნველჰყონ ქვეყნისათვის თავისი ძალებით მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის საჭირო მოწყობილობის აგება.

მე აქ მსურს განსაკუთრებით ხაზი გავუსვა იმ ხარისხობრივ დავალებებს, რაც ხდგას მანქანათმშენებლობის წინაშე და რაც გადაჭრილ უნდა იქნას ჩვენ მიერ მეორე ხუთწლედში რაოდენობის შესრულებასთან ერთად. დამუშავების ახალი წესების გამოყენება—ცივად შტამპვა-შედუღება და სხვ. ეს მეთოდები ფეხს იკიდებენ წარმოებაში უკვე ამჟამადაც. მეორე ხუთწლედი კი სწორედ იმით უნდა იქნას დამახასიათებელი, რომ წარმოების ეს ახალი უფრო გაუმჯობესებული მეთოდები, ეს ახალი ტექნოლოგიური პროცესები საყოველთაოდ იქნას გავრცელებული, რომ ისინი ჩაეწვეთონ სისხლსა და ხორცში მთელს ჩვენს მანქანათმშენებლობას: დაზგებისა და მანქანების სპეციალიზაცია ოპერაციების მიხედვით, ავტომატების შემოღება, დამუშავების სიზუსტის მიღწევა დაკალიბრების საქმის განვითარებისა და კონსტრუქციების გაუმჯობესების საფუძველზე, სიმძლავრის გადიდება, მანქანების უფრო მეტი სიზუსტე და სიმსუბუქე გაუმჯობესებული მასალის გამოყენების საფუძველზე, ლითონის შეცვლა ფიბრა-მასებით და მეტალიზებული ხით.

ძალიან მოკლედ შევეხები შრომის ტევადი სამუშაოების მექანიზაციას. აქ უდიდესი ამოცანა იხსნება მანქანათმშენებლობის წინაშე. მეორე ხუთწლედში ჩვენ უნდა გადავჭრათ საკითხი შრომის ტევადი სამუშაოების მექანიზაციის შესახებ. ახალ ხუთწლიან გეგმას ჩვენ ვიწყებთ უმუშევრობის სრული ლიკვიდაციით. სრულიად გასაგებია, რომ ის მძიმე სამუშაოები, რომლებიც საჭიროებენ უდიდეს ფიზიკურ დაძაბულობას, შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მუშა-ხელით, თუ ჩვენ ამ სამუშაოს უფრო არ გავაადვილებთ, უფრო მიმზიდველს არ გავხდით. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ სულ უფრო და უფრო გავათავისუფლოთ მუშები მძიმე ფიზიკური შრომისაგან და გადავიტანოთ ეს უკანასკნელი მანქანის რკინის მხრებზე. ეს მოითხოვს სამუშაოთა მექანიზაციას, თანამედროვე ეფექტიური მანქანების გამოყენებას.

პირველ რიგში მანქანათმშენებლობამ უნდა უზრუნველჰყოს შემდგომი მექანიზაცია ქვანახშირისა და მადნეულის ამოღების დარგში, ტორფის შესახებ: სათრეზო მეთოდის შემოღება ჰიდროტორფთან ერთად, მოსამზადებელ და სატრანსპორტო სამუშაოთა მექანიზაცია, სატორფო კომბაინი. დამზადების დარგში: მოტორიანი ხერხები, დაკიდებული რკინის გზები, ტრაქტორით გამოზიდვა. მშენებლობის დარგში: ლენტოვანი ტრანსპორტიორები, ექსკავატორები, საამშენებლო პროცესების მექანიზაცია, განსაკუთრებით ბეტონის სამუშაოთა მექანიზაცია, სტანდარტული ნაწილების მასიური წარმოება, აწყობა-შეკრების მექანიზაცია მშენებლობის ადგილებზე. დატვირთვის სამუშაოთა დარგში: ახალი ონკანები, ბუნკერის მოწყობილობანი ტვირთის გადმოწყობის ადგილებში, ნავთსადგურებში და სხვ. დასასრულ, უმარტივესი მექანიზმების გამოყენება მარტივ წარმოებაში. ყოველივე ეს ხდგას, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მანქანათმშენებლობის მრეწველობის წინაშე.

ელექტროენერგიის წარმოების დარგში ჩვენ საჭიროდ ვთვლით უდიდესი დავალების წამოყენებას. მე უკვე მოვიხსენიე ციფრი—დაწესებული სიმძლავრის 100 მილიარდი კილოვატ-საათი 1937 წლისათვის. ამასთან დამთავრებულ უნდა იქნას რგოლში მოქცევა დნეპრის მხარის, დონბასის, ჩრდილოეთ კავკასიის, მოსკოვის, ივანოვსკისა და ლენინგრადის ოლქების კვანძის. დიდ როლს ითამაშებენ მეორე ხუთწლედის ელექტრომშენებლობის პროგრამაში ჰიდროსადგურები და თბოელექტროცენტრალები, რომელთა განვითარება უმთავრესად მოხდება ადგილობრივი სათბობის საშუალებით, განსაკუთრებით ახალ სამრეწველო რაიონებში.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები გვაქვს დასახული ჩვენ შავი მეტალურგიის რეკონსტრუქციის დარგში, სადაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ 1937 წლის 22 მილიონი ტონაზე არა ნაკლები თუჯის გამოდნობას. შავი მეტალურგიის პროგრამა მეორე ხუთწლედში არსებითად უკვე გამორკვეულია და ძირითადი ობიექტები, რომლებიც აგებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ მივიღოთ ეს 22 მილიონი ტონა თუჯი, საკმაო სიცხადით არის გამოხატული. გარდა ზაპოროჟიეს, ლიპეცკის, აზოვის, კრივოროგის, ნიჟნეტაგილის, ბაკალსკისა და ნოვოტულსკის ქარხნებისა და აგრეთვე ვოროშილოვის, ძერჟინსკისა და ტომსკის სახელობის ქარხნების რეკონსტრუქციისა, ცხადია, დაწყებული იქნება შემდეგი ქარხნები: ხალილოვის (შუა ვოლგა), კომარ-ზაიგაზინის (ბაშკირეთი), ჩერემხოვის (აღმოსავლეთ-ციმბირი), დაშკესანის (ამიერ-კავკასია), სურანის (შორეული აღმოსავლეთი). გარდა ამისა, უფრო სარწმუნო ობიექტებს მეორე ხუთწლედში შესატანად წარმოადგენენ ხოპერის ხამადნო ქარხანა, საკუთარი მადნების ქარხანა კუზნეცკის მახლობლად (ტაგილის საბადო), ქიმიური წარმოების ნარჩენთა ქარხანა (პირიტის ნამწვავები) მოსკოვის ოლქებში, ქარხანა, სადაც ხდება მაგნიტის ანომალიის მადნის გადამუშავება (ცენტრალური შავმიწადავიანი ოლქი) და, ბოლოს, თუჯის გამოსადნობი ქარხანა ამას წინად მურმანსკის რაიონში აღმოჩენილი მადნისაგან ლენინგრადის მანქანათმშენებლობის მრეწველობის ლითონით მოსამარაგებლად. მაგრამ რეკონსტრუქციის ამოცანა არ ამოიწურება ახალი მშენებლობით. საჭიროა უკეთ იქნას გამოყენებული არსებული ბრძმედები, არსებული მარტენები, არსებული სატკეცი საამქროები. მეტალურგიის წინაშე ხდგას უდიდესი სარეკონსტრუქციო ამოცანა—პროცესების შეცვლა. ახალი მძლავრი მოწყობილობა, რომელთა დამზადება იწარმოებს ჩვენს ქვეყანაში, ნედლეულის გულდასმით მომზადება, აგლომერაცია, მადნის დახარისხება და სხვ., ელექტროპროცესების გამოყენება, გამოყენება დამხმარე პროდუქტების—გაზისა და წიდის —აი რა უნდა შეადგენდეს მეტალურგიის რეკონსტრუქციის საფუძველს.

ფერადი მეტალურგიის დარგში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ისეთი განვითარება, რომ ამის შედეგად ჩვენ სავსებით განვთავისუფლდეთ უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან. ჩვენ უნდა შევძლოთ ფერადი ლითონის ისე გამოდნობა, რომ ამან დააკმაყოფილოს სავსებით მთელი ჩვენი საჭიროება. ფერადი მეტალურგიის განვითარება იწარმოებს კაზაკსტანში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში, კავკასიაში, შუა აზიაში, ურალში, ჩრდილოეთ და მურმანსკის მხარეში და სხვაგან, ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემა, ცხადია, კაზაკსტანს.

მაგრამ ფერადი მეტალურგიის დარგში საქმე არ ამოიწურება იმით, რომ ჩვენ ავაგებთ ახალ ქარხნებს და გავაფართოვებთ არსებულ ქარხნებს. ჩვენ ვერ მივიღებთ საჭირო ეფექტს ხუთწლედის დამლევისათვის, თუ არ გამოვიყენებთ ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს, წარმოების ახალ მეთოდებს და ჩვენ დავეყრდნოთ მადანის სელექციური ფლოტაციის დანერგვას, როგორც პოლილითონების მთლიანად გამოყენების ბაზას. მტვრად ქცეულ მადანის გამოდნობა, თუთიის მიღების ელექტროლიტის მეთოდი. ახალი სახის ფერადი ლითონების—ნიკელის, მაგნიუმის, ბერილის—ამ იშვიათი ლითონების წარმოების განვითარება ახალი სახის ნედლეულის გამოყენება ალიუმინის წარმოებისათვის—აი ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ფერადი მეტალურგიის წინაშე და რომლებიც უნდა გადაიჭრას იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას რაოდენობითი შედეგები, რაზედაც უკვე ვილაპარაკე.

სათბობის მრეწველობა განვითარდება როგორც ქვანახშირისა და ნავთის წარმოების მთავარ რაიონებში (დონბასი, ყარაგანდა, ურალი, გროზნო, ბაქო, ემბა, ჩრდილოეთ-კავკასიის ახალი რაიონი), ისე ახალ რაიონებში—შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ქვანახშირის ამოღება ჯერ-ჯერობით უმნიშვნელო მასშტაბით სწარმოებს, აღმოსავლეთ ციმბირში და პეჩორის რაიონში (ქვანახშირი), სახალინზე (ნავთი), კამჩატკაზე (ქვანახშირი) და სხვ.

ფართოდ უნდა განვითარდეს სათბობის ისეთი ბასეინები, როგორიცაა ურალი და მოსკოვი. დიდი მასშტაბით განვითარდება მეორე ხუთწლედში ფიქალის, ტორფის და სხვა ადგილობრივი სათბობის წარმოება.

ხუთწლედის დამლევს ამოღებული უნდა იქნას არა ნაკლებ 250 მილიონი ტონა ქვანახშირი წელიწადში. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეს ციფრი, საჭიროა სწრაფი ტემპით განვითარდეს ახალი რაიონები, რომელთა შესახებ მე ვილაპარაკე. იმასთან შედარებით, რასაც ეს რაიონები მოგვცემენ 1932 წელს, 1937 წელს მათი წარმოება დიდად გაიზრდება.

დანაწილება რაიონების მიხედვით ჯერჯერობით პირობითი, საორიენტაციო ხასიათისაა, შესაძლებელია, რომ ამ დანაწილებაში შეტანილ იქნეს ესა თუ ის ცვლილება, მაგრამ განვითარების მასშტაბი გამორკვეულია.

დონბასი—ქვანახშირის პირველი ბაზა ამოიღებს 120 მილიონ ტონას, მოსკოვის ქვანახშირის რაიონი—დაახლოებით 20—22 მილიონ ტონას, ურალის ქვანახშირის რაიონი—25 მილიონ ტონას, კუზბასი—50 მილიონ ტონას.

ამხ. ეიხე—ცოტაა.

ამხ. კუიბიშევი—აღმოსავლეთის ქვანახშირის რაიონი—11 მილიონ ტონას, ყარაგანდა, რომელსაც 1931 წელს ერთი მილიონი ტონაც არ ამოუღია, ამოიღებს 14 მილიონ ტონას და გადაიქცევა ქვანახშირის დიდ ბასეინად. მუშაობა ფართოვდება ტყვარჩელში, რომელიც მოგვცემს ერთნახევარ მილიონ კარგად საკოქავ ქვანახშირს.

ამხ. ეიხე. თქვენ ვერ დაგაკმაყოფილებს ეს რაოდენობა.

ამხ. კუიბიშევი. ქვანახშირის ეს ამოღება უზრუნველყოფს 22 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობას, სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგების საჭიროებას. რაც შეეხება ქვანახშირის ამოღების განაწილებას რაიონების მიხედვით, აქ უნდა უზრუნველვყოთ გადამწყვეტი გარდატეხა აღმოსავლეთში. თუ ამჟამად დონბასს ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსში ეკუთვნის 70 პროცენტი, მეორე ხუთწლედის დამლევს მისი წილი არ აღემატება 50 პროცენტს. ამრიგად ქვანახშირის საერთო რაოდენობის ნახევარს. ამოიღებენ არსებითად ახალი რაიონები.

ნავთის ამოღებამ დაახლოვებით უნდა მიაღწიოს 80—90 მილიონ ტონას. რეკონსტრუქციის დარგში ნავთის მრეწველობამ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მრეწველობის სხვა რომელიმე დარგმა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს რეკონსტრუქცია როგორც ბურღვის დარგში, ისე განსაკუთრებით ნავთის გადამუშავების დარგში.

ბურღვის ახალი მეთოდები, ნავთის ამოღების გაუმჯობესებული მეთოდები, ნავთის გადამუშავების დარგში კრეკინგ-პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული,—ყოველივე ეს ნავთის მრეწველ. რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი პრობლემებია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვანახშირის გაზოფიკაციას, რომლის მნიშვნელობას მე მინდა მთელი სიძლიერით გავუსვა ხაზი პარტკონფერენციის წინაშე.

როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მეორე ხუთწლედისათვის უნდა დაისახოს ჩვენი ქიმიური მრეწველობის განვითარების და მისი რადიკალური რეკონსტრუქციის ამოცანა. აზოტის წარმოებამ, გოგირდის სიმჟავის წარმოებამ, განსაკუთრებით ფერადი მეტალურგიის ნარჩენიდან სუპერფოსფატის და სხვა სასუქის წარმოებამ, სოლიკამის მარილის გამოყენებამ და სხვ. უნდა მიიღოს ისეთი მასშტაბი, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მთელ მოთხოვნილებას, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას.

სასუქის წარმოების მხრით ჩვენ პირველი ადგილი უნდა დავიკავოთ არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში და გავუსწროთ ამერიკას. მაგრამ აქაც ქიმიის საზით წარმოების რაოდენობრივი გადიდების ამოცანები დაკავშირებულია არა მარტო ახალი ქარხნების მშენებლობასთან, არამედ თვით წარმოების პროცესის გადაჭრით შეცვლასთან.

მაგალითად, მურა ქვანახშირის გადამუშავებას ნავთის მიღების მიზნით მეორე ხუთწლედში უდიდესი გასაქანი უნდა მიეცეს, მეცნიერული აზრი, ტექნიკოსების და პრაქტიკოსების მუშაობა იქეთკენ უნდა წარიმართოს, რომ მეორე ხუთწლედში მივაღწიოთ ამ თხელი სათბობის მასიურად წარმოებას საპროპელიტიდან (აღმოსავლეთი და დასავლეთ ციმბირი) და ფიქალიდან (შუა ვოლგა, ლენინგრადის ოლქი). დიდი ამოცანა დგას ქიმიის დარგში კოლსკის ნახევარ კუნძულზე აღმოჩენილ აპატიტის საბადოსთან დაკავშირებით და განსაკუთრებით ნიფელინთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ძალიან ფართოდ იქნას გამოყენებული (აქედან შეიძლება მივიღოთ ალუმინი, მასალები მიწის და ცემენტის წარმოებისათვის, ხის კერძოდ შპალების გაჟღენთისათვის, ქსოვილის გაჟღენთისათვის იმ მიზნით, რომ ქსოვილს ნამი არ გადიოდეს და სხვ.). აპატიტი ყოველნაირად და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მეორე ხუთწლედში (არა მარტო სასუქის მისაღებად, არამედ ნეფტელინის ყველა პროდუქტების მისაღებადაც).

ქიმიის შემდეგი ამოცანაა ხელოვნური ბოჭკო.

ქიმიური მრეწველობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს სასუქის წარმოების უზრუნველყოფა. ამოცანები, რომლებსაც ჩვენ სოფლის მეურნეობის წინაშე ვსახავთ, მოითხოვენ მის უზრუნველყოფას სასუქის საკმაო რაოდენობით, როგორც მარცვლეულის, ისე ტექნიკური კულტურების საზით, ვინაიდან მთავარი ყურადღება სოფლის მეურნეობის დარგში მეორე ხუთწლედისათვის ჩვენ ვაქცევთ ხარისხობრივ მაჩვენებლების გადიდებას, პირველ ყოვლისა — მოსავლიანობის გადიდებას.

მე არ ჩამოვთვლი მთელ რიგ სხვა ურთულეს ამოცანებს, რომლებიც ქიმიის წინაშე სდგას. ქიმია მეორე ხუთწლედში უნდა გაიშალოს განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით და ამით არა თუ უნდა მოისპოს მისი ჩამორჩენა, რასაც ამჟამად ადგილი აქვს, არამედ იგი უნდა გადაიქცეს სახალხო მეურნეობის ყველაზე მოწინავე დარგად.

გადავდივარ მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების საკითხებზე.

მსუბუქი ინდუსტრია მეორე ხუთწლედში რამოდენიმედ სხვანაირ მდგომარეობას დაიკავებს, ვიდრე ამას პირველ ხუთწლედში ჰქონდა ადგილი. ეს სავსებით გასაგებია. ორ გარემოებას აქვს აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა. პირველი: მძიმე მრეწველობის ფეხზე დაყენებით და მანქანათმშენებლობის გაშლით ჩვენ შევქმენით პირობები იმისათვის, რომ მსუბუქი ინდუსტრია წავწიოთ წინ საგრძნობლად უფრო სწრაფი ტემპებით, რომლებიც შეეფერება ამჟამად ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს.

მეორე გარემოებაა ნედლეული ბაზის შექმნა. კოლექტივიზაციის დამთავრებით და სოფლის მეურნეობის საგრძნობი ხელახლა შეიარაღებით პირველმა ხუთწლედმა საგრძნობლად განამტკიცა ნედლეულის ბაზა სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში, როგორიცაა, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი და სხვ. ამიტომ მეორე ხუთწლედში ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ მსუბუქი და საკვები პროდუქტების მრეწველობის საგრძნობლად უფრო ფართო გაშლა. ამიტომ შეგვიძლია ხუთწლედის დამლევისათვის ამოცანად დავისახოთ სულადობრივი მოხმარების ნორმების დაახლოებით ორ-სამჯერ გადიდება, როგორც სამრეწველო საქონლის, ისე კვების პროდუქტების საზით.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მსუბუქი მრეწველობის ახალი სოციალისტური გეოგრაფიული განაწილების პრობლემას. ძირითადი პრინციპი იქნება გადამუშავების დაახლოება ნედლეულის რაიონებთან. მეორე ხუთწლედში მიღწეულ უნდა იქნას მსუბუქი ინდუსტრიის გადანაცვლება აღმოსავლეთისაკენ, ნედლეულთან უფრო მახლობლად. ბამბეულის ფაბრიკების, ბამბეულის მძლავრი კომბინატები, რა თქმა უნდა, შემდეგში არ უნდა შენდებოდეს არც მოსკოვის ოლქში, არაც ივანოვო-ვოზნესენსკის ოლქში, ისინი უნდა შენდებოდეს იქ, სადაც ბამბა იზრდება — შუა აზიაში, კაზაკსტანში ან ნედლეულის მახლობელ რაიონებში. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ტრანსპორტის მაქსიმალურად მიზანშეწონილი გამოყენება. ვაგონები ცალიერი არ უნდა იგზავნებოდეს. მხედველობაში მაქვს დასავლეთ ციმბირი, სადაც განვითარდება ბამბეულის წარმოება და აშენდება ბამბეულის მძლავრი კომბინატი.

ხელის საწარმოები აშენდება შორეულ აღმოსავლეთის მხარეში, ნედლეულის რაიონებში, დასავლეთ ციმბირში, ჩრდილოეთის მხარეში, ბელორუსიაში და სხვ.

მოხდება შაქრის ქარხნების გადანაცვლება აღმოსავლეთისაკენ — კაზაკსტანი, ციმბირი, შუა აზია (ყირგიზეთის ჩათვლით), ამიერ-კავკასია და სხვ. ხორცის კომბინატები მოეწყობა კაზაკსტანში, აღმოსავლეთ ციმბირში და მეცხოველეობის სხვა რაიონებში. მაგრამ ხორცის კომბინატები მოეწყობა, სამომხმარებლო რაიონებშიც, როგორიცაა მოსკოვი, ლენინგრადი და სხვა მსხვილი პროლეტარული ცენტრები.

ხორცის კონსერვის და თევზის კონსერვის დიდი ქარხნები მოეწყობა შორეულ აღმოსავლეთის მხარეში, კაზაკსტანში, ჩრდილოეთის მხარეში, მურმანზე და სხვ.

გადავდივარ სოფლის მეურნეობაზე, მისი რეკონსტრუქციის ამოცანაზე მეორე ხუთწლედში. რა სურათი იხატება აქ ჩვენს წინაშე? სამანქანო-სატრაქტორო სადგურები სამსახურს გაუწევენ ყველა კოლმეურნეობებს და არსებითად მოახდენენ მემინდვრეობის მექანიზაციას. მესაქონლეობის საკოლმეურნეო ფერმებმა თავი უნდა მოუყარონ მთელ სასაქონლო მეცხოველეობას და შექმნან მაღალ-პროდუქტიული მეცხოველეობა. საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გააფართოვონ თავიანთი წარმოება, გააძლიერონ თავიანთი როლი, როგორც წარმოების და შრომის სოციალისტურ ორგანიზაციის ნიმუშებმა, როგორც სოფლის მეურნეობაში მაღალი სამანქანო ტექნიკის და თანამედროვე აგრონომიის ყველა მიღწევების გამოყენების მაგალითმა.

ასეთია საერთო ტექნიკურ-საწარმოო ფარგლები, რომლებშიც განვითარდება სასოფლო მეურნეობა.

რა ამოცანები უნდა დავსახოთ სოფლის მეურნეობის წინაშე მეორე ხუთწლედში? ეს ამოცანები შემდეგი სახით მაქვს წარმოდგენილი: უნდა განვამტკიცოთ მიწათმოქმედება ეხლანდელი გვალვის რაიონებში. ეს ეხება განსაკუთრებით შუა და ქვემო ვოლგას, ურალს, კაზაკსტანს, ციმბირს.

ამას წინად ეს პრობლემა განხილულ იქნა განსაკუთრებული კონფერენციის მიერ, რომელიც მოწვეული იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ. საჭიროა აღნიშნული პრობლემის დამუშავების ენერგიულად გაგრძელება შემდეგშიაც იმ ანგარიშით, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენის. მომენტისათვის ჩვენ გვქონდეს კონკრეტულად დამუშავებული ღონისძიებები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან ხუთწლედის განმავლობაში, რათა დავუახლოვდეთ ამ რთული პრობლემის გადაჭრას.

ეს არის პირველი ამოცანა, რომელიც დგას პირველ ხუთწლედში და რომელსაც უნდა გაესვას ხაზი მთელი სიძლიერით.

მეორე ამოცანას სოფლის მეურნეობის დარგში წარმოადგენს მარცვლეულის რაიონების შექმნა მომხმარებელ ადგილებში, ამისთვის ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობანი თუ გამოვიყენებთ საჭირო სასუქებს.

მესამე ამოცანას წარმოადგენს მარცვლეული კულტურების გადატანა აღმოსავლეთში, მე მხედველობაში მაქვს აღმოსავლეთციმბირი და შორეულ აღმოსავლეთის მხარე, ეს ოლქები ერთგვარ პირობებში იძლევიან ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რომ განავითარონ მარცვლეულის მეურნეობა და ამით დაკმაყოფილდენ საკუთარი პურით იმის მაგივრად, რომ დამოკიდებული იყვნენ შორეული ადგილებიდან პურის შემოტანისაგან. ამასთან ერთად ეს ადვილებს სატრანსპორტო პრობლემების გადაჭრასაც.

ბოლოს, უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც ეხება, როგორც მარცვლეულს, ისე ტექნიკურ კულტურებს, წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება. ეს ამოცანა სოფლის მეურნეობის მეორე ხუთწლედისათვის წარმოადგენს ცენტრალურ და გადამწყვეტ ამოცანას. ჩვენ მთელი სიმწვავით უნდა დავსვათ საკითხი, რომ იმავე დესეტინიდან და იმავე ჰექტარიდან მივიღოთ მარცვლეული პროდუქტების და ტექნიკური კულტურების ისეთი რაოდენობა, რომელიც თავიდან აგვაცილებს სულ ახალი და ახალი მიწების მოხვნის საჭიროებას.

რასაკვირველია, სათესი ფართობების ზრდა შემდეგშიაც იწარმოებს და სათესი ფართობები 148 მილიონ ჰექტარიდან, რომელიც ჩვენ გვქონდა 1931 წელს, დაახლოებით გაიზრდება 160-170 მილიონ ჰექტარამდე. ამავე დროს იმისათვის, რომ მივიღოთ მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების პროდუქტების ისეთი რაოდენობა, რომელიც ჩვენ გვჭირდება პროგრამის შესასრულებლად მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გადიდების და მისი საკვები და სამრეწველო საქონლით მომარაგების გადიდებისათვის, სათესი ფართობების შედარებით ამ მცირე გადიდებას ხუთი წლის განმავლობაში თან უნდა სდევდეს მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება.

უდავოა, რომ ჩვენ გვაქვს ყველა წინასწარი პირობები მოსავლიანობის სწრაფი ზრდისათვის: მიწის დამუშავების სრული მექანიზაცია, უფრო გაუმჯობესებული მოხვნა, ვიდრე აქამდე იყო, სასუქი, მავნებლებთან საბრძოლო საშუალებათა გავრცელება, აგრონომიული ღონისძიებანი—ყველა ამან უნდა მოგვიყვანოს იქამდე, რომ მეორე ხუთწლედში გავადიდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა მინიმუმ 40 პროც. მოსავლიანობის გადიდების ამოცანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნიკური კულტურების დარგში, სადაც აქამდე არ გვქონდა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები. ბოლოს, დიდი ამოცანები სდგას მეცხოველეობის დარგში. ამასთან აქაც ყველა ჩვენი წარმატებები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ხარისხობრივი ხასიათის ამოცანებთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ჯოგის რიცხვობრივ ზრდას, არამედ ჯოგის შესაფერი ხარისხის მიღწევას. მექანიზაციის და შესაფერი ზოოტექნიკური ღონისძიებათა გამოყენების გზით ჩვენ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ ჩვენი ჯოგის გაუმჯობესებას (რქოსანი პირუტყვის, ცხვრის ფარის, განსაკუთრებით ღორების), დაკლული პირუტყვის წონის ზრდას, წველის ზრდას სხვ.

რკინის გზის ტრანსპორტის დარგში მისი განვითარების და რეკონსტრუქციის ძირითადი ხაზები არსებითად უკვე დასახა ც. კ-ს ივნისის პლენუმმა. მეორე ხუთწლედში უნდა მოხდეს რკინის გზის ტრანსპორტის ჩამორჩენის საბოლოო ლიკვიდაცია მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისაგან. მანქანათმშენებლობის ხელმძღვანელი როლი მრეწველობაში საერთოდ აქ თვალსაჩინოა. იმისგან, თუ რამდენ ორთქლმავალს, ვაგონს, ელექტრომავალს, თბომავალს, ავტომობილს და ავტობლოკირობის აპარატს, ავტომახრუჭს, რელსებს, ჯვარედებს, შპალებს და სხვ. მოგვცემს მანქანათმშენებლობა, ყველა ამისგან დამოკიდებულია რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობა, რკინის გზების სიგრძე და მისი ტვირთბრუნვა. მაგრამ ცოტაა ორთქლმავლებისა და ვაგონების დიდი რაოდენობის მოცემა. უნდა მოგვცენ სრულიად ახალი ტიპის ორთქლმავლები და ვაგონები, ვიდრე ისეთები, რომლებსაც ამჟამად ამზადებენ მძლავრი ორთქლმავლები, მძლავრი ვაგონები—აი ამოცანა, რომელიც ამჟამად სდგას იმ მანქანათმშენებლობის წინაშე, რომელიც სამსახურს უწევს რკინის გზის ტრანსპორტს. ამის გამო უპირველეს ყოვლისა საჭიროა მეორე ხუთწლედის შედგენის დროს გულდასმით და მოფიქრებით იქნას გათვალისწინებული თუ რამდენად უზრუნველყოფილია რეკონსტრუქციაქმნილი რკინის გზის ტრანსპორტი შესაფერი მოწყობილობით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თბომავლებს იმისათვის, რომ სამსახური გაუწიონ რკინის გზის ტრანსპორტს უწყლო ადგილებში, სადაც ორთქლმავლებისათვის წყლის მისაწოდებლად საჭირო შესაფერი ნაგებობანი მეტად ძვირი და ძნელი გასაყვანია.

საჭიროა ელექტრომავლები, ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ, რომ მეორე ხუთწლედში ელექტროფიკაციამ უნდა დაიკავოს განსაკუთრებით დიდი ადგილი. რკინის გზის ხაზის ელექტროფიკაცია ეს ოცნება კი არ არის, არამედ დღევანდელი დღის ნამდვილი საჭიროება და მოთხოვნილება. უამისოდ ჩვენ არ შეგვიძლია წინსვლა რკინის გზების განსაზღვრულ უბნებზე: დონბასიდან მიმავალ გზაზე, ურალიდან მიმავალ გზაზე, მაგნიტოგორსკისა და კუზბასის ერთიმეორესთან დაკავშირების დროს არა მთელს მანძილზე, არამედ იმ უბნებზე, სადაც განსაკუთრებით დაძაბულია ტვირთბრუნვა და სადაც გზის სათანადო პროფილს, რომელიც მიუწვდომელია ორთქლმავლისათვის, ადვილად ვერ სძლევს ელექტრომავალი. ელექტროფიკაციის პრობლემას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რკინის გზის ტრანსპორტის განვითარებისათვის. ისეთი მეტად დატვირთული სადგურები და რაიონები, როგორც მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვ-დონი, საგრძნობლად უნდა იქნან ელექტროფიცირებული უკვე მეორე ხუთწლედში. ურალსა და ამიერკავკასიაში, სადაც ბუნებრივი პირობები ისეთია, რომ ელექტრომავლების გარეშე შეუძლებელია დაძლეულ იქნას ამჟამად არსებული ტვირთბრუნვაც კი, (ხოლო ეს ტვირთბრუნვა მეორე ხუთწლედის განმავლობაში მეტისმეტად გაიზრდება), ელექტროფიკაცია განხორციელებულ უნდა იქნას უახლოეს წლებში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ხუთწლედის დამლევისათვის რკინის გზის ქსელი გაიზრდება დაახლოვებით 30 ათას კილომეტრით. ახალი გზების აღნიშნული მშენებლობა უნდა მიმდინარეობდეს როგორც მეტად დატვირთული მიმართულებათა განტვირთვის საზით, ისე ცალკე რაიონებში ახალი რკინის გზების გაყვანის საზით. შორეულ აღმოსავლეთის მხარე, ციმბირი, ჩრდილოეთ-კავკასია, შუა აზია და სხვ.

დიდად უნდა განვითარდეს წყლის ტრანსპორტი. აქ საჭიროა ფლოტის რეკონსტრუქცია, წყლის ახალი გზების გაყვანა და არსებული გზების გაუმჯობესება, დასატვირთ-გადმოსატვირთ სამუშაოთა მექანიზაცია, მდინარისა და ზღვის ტრანსპორტის მოწყობილობის მშენებლობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ნავთსადგურების მექანიზაცია და მშენებლობა წყლის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. არსებული გზების (ვოლგის, დნეპრის და სხვ.) განვითარებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ზღვისა და მდინარის ნაოსნობის განვითარებას იმ რაიონებში, სადაც წყლის გზები სუსტადაა განვითარებული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არსებითად მიმოსვლის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენენ. მე სახეში მაქვს შორეულ აღმოსავლეთის მხარე, დასავლეთი და აღმოსავლეთი ციმბირი, ჩრდილოეთი მხარე და სხვ. მეორე ხუთწლედში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გზატკეცილების მშენებლობის განვითარებას, რამაც უნდა განტვირთოს რკინის გზის ტრანსპორტი მოკლე მანძილზე გადაზიდვისაგან და ხელი შეუწყოს ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონების წინსვლას. გზატკეცილების მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენს მსხვილ სასოფლო მეურნეობაში მოუწყობელი გზების გარეშე ყოვლად შეუძლებელია დავაუფლოთ წარმოების პროცესს, შეუძლებელია მივაღწიოთ მოსავლის აღების ეკონომიურ შედეგებს.

საჰაერო მიმოსვლა ფართოდ უნდა განვითარდეს მეორე ხუთწლედში. უკვე ხორციელდება ავიამშენებლობის ძალიან დიდი პროგრამა, შენდება საავიაციო ქარხნები, შენდება საავიაციო მოტორების ქარხნები, შენდება დამხმარე საწარმოები. საჰაერო ტრანსპორტი მიიღებს უდიდეს ბაზას თავისი განვითარებისათვის და ხუთწლედის დამლევს იქნება მსხვილ ცენტრებსა და შორეულ რაიონებს შორის მიმოსვლისა და მსუბუქი ტვირთის, ფოსტის და სხვ. გადაზიდვის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება.

დიდი მასშტაბით განვითარდება ყველა სახის კავშირგაბმულობა და განსაკუთრებით სატელეფონო რადიოკავშირი. ეს დარგი ამჟამად ჩვენში ძალზე ჩამორჩენილია. ამავე დროს კეთილდღეობის ზრდა სოფლად, კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა, მთელი სახალხო მეურნეობის უდიდესი ზრდა, საქონლის ბრუნვა, ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო-სამეურნეო ცხოვრების აქტივიზაცია, — ყოველივე ეს მოითხოვს კავშირგაბმულობის ფართოდ განვითარებას და იმ დონეზე აყვანას, რომელსაც მიაღწევს სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგები.

რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს აგრეთვე სახალხო მეურნეობის ისეთ დარგშიაც, როგორიცაა საბჭოთა ვაჭრობა. ვაჭრობის გაშლა მოითხოვს მისი ბაზის სრულ ტექნიკურ რეკონსტრუქციას, მოითხოვს სპეციალური და ტექნიკურად მოწყობილ საწყობების მშენებლობის ფართოდ განვითარებას, იმისათვის, რომ კარგად იქნას შენახული ყველა პროდუქტები, უნდა განვითარდეს მაცივრების და პურის ქარხნების მშენებლობა და სპეციალური ტრანსპორტი სავაჭრო ქსელის და მომხმარებლების მომსახურებისათვის.

ამ დარგში დასახულია რეკონსტრუქციის უდიდესი პრობლემა, რომელსაც არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მეორე ხუთწლედში, თუ გვსურს ისე მოვაგვაროთ საბჭოთა ვაჭრობის საქმე, რომ დავაკმაყოფილოთ მშრომელი მოსახლეობის ყველა საჭიროება და მთელი სავაჭრო სისტემის შეუფარდოთ მომხმარებელთა გემოვნებას და მოთხოვნილებას.

აი ზოგადათ განვითარების ის ხაზები, რომლებიც დასახულია სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის მეორე ხუთწლედში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მეორე ხუთწლედის შესახებ

ამხ. მოლოტოვის მოხსენება XVII პარტკონფერენციაზე*)

4) სოფლის მეურნეობის შესახებ

სოფლის მეურნეობის მთავარ საკითხად მეორე ხუთწლედში უნდა გადაიქცეს მოსავლიანობის საკითხი. ამ უკანასკნელ რამოდენიმე წელს ამ მხრით ჩვენ თითქმის არ წავწეულვართ წინ. მოსავლიანობა გაიზარდა, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით. ახლა, როცა ჩვენში სწრაფად იზრდება მანქანების, ტრაქტორების, კომბაინების გამოყენება და სხვ., აგრეთვე ქიმიური სასუქის ხმარება, სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ცენტრალურ ამოცანად უნდა დავსვათ მოსავლიანობის გადიდება. დროა ავიღოთ ახალი, ბოლშევიკური ტემპები საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა მინდვრების მოსავლიანობის გადიდებაში.

აგრეთვე დადგა დრო, რომ ბოლშევიკურად მოვკიდოთ ხელი გვალვასთან ბრძოლის საკითხის გადაჭრას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1931 წლის გვალვამ, რომელიც თავს დაატყდა აღმოსავლეთის მთელ რიგ რაიონებს, სახალხო მეურნეობას მოაკლო რამდენიმე ასი მილიონი ფუთი პური. მეორე ხუთწლედში ჩვენ უნდა გავშალოთ ბრძოლა გვალვასთან ისე, როგორც ეს საჭიროა.

მსუბუქი და საკვები პროდუქტების მრეწველობის დასახული ბუმბერაზული განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ტექნიკური კულტურების ზრდას. შეუძლებელია და 2—3-ჯერ გავაუმჯობესოთ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, თუ გადაჭრით არ მოვკიდებთ ხელს ბამბის, ჭარხლის, სელის და სხვათა მოსავლიანობის გადიდებას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ქიმიური მრეწველობის განსაკუთრებული როლი, მისი უსწრაფესი განვითარების გარეშე ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ ტექნიკური კულტურების მოსავლის ისე გადიდებას, როგორც ეს ჩვენ გვესაჭიროება. ამავე დროს კი, ჩვენ დღემდე ძალზე ჩამოვრჩებით ქიმიურ მრეწველობას განვითარების ტემპების მხრით. მეორე ხუთწლედში ამას უეჭველად ბოლო უნდა მოეღოს. გადაჭრით უნდა დაისვას პირველ ყოვლისა ქიმიური მრეწველობის ძირითადი დარგების გაშლის საკითხი.

სოციალისტური მეცხოველეობის ზრდის მხრით ჩვენ უკანასკნელ წლებში საგრძნობ წარმატებას მივაღწიეთ.

თუ ჩვენი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობანი მიწადმოქმედების განვითარების ბუმბერაზული ტემპების მაგალითს წარმოადგენენ, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებიც მოკლე დროში მძლავრ უმსხვილეს ორგანიზაციებად გადაიქცნენ. მაგრამ როგორც მარცვლეული, ისე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ნაყოფიერების მხრით ჩვენ ჯერ კიდევ მეტად დაბალ დონეზე ვიმყოფებით ,მეორე ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მეცხოველეობის გაშლის ამოცანას განსაკუთრებით დიდი აქტუალობა ენიჭება, რადგან ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ფართო მასების სასურსათო პროდუქციებით მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ტექნიკურ ბაზად მეორე ხუთწლედში იქნება პირველ ყოვლისა ტრაქტორები. საკმარისია ითქვას, რომ სატრაქტორო ქარხნები, რომლებიც აშენდა და მთავრდება, სოფლის მეურნეობისათვის ხუთწლედის დამლევს წლიურად დაამზადებენ 170 ათას ტრაქტორს მაინც. მეორე ხუთწლედში ახალი წესით სდგება ელექტროფიკაციის, როგორც სოფლის მეურნეობის ტექნიკური კონსტრუქციის ბერკეტის, საკითხი. თეზისები აღნიშნავენ სოფლის მეურნეობაში ელექტროფიკაციის თანდათანი განხორციელების საჭიროებას. ამ საქმის გაქანებაზე მეორე ხუთწლედში ჯერ-ჯერობით ძნელია მსჯელობა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ 100 მილიარდი კილოვატსაათის ელექტროენერგიიდან, რაც ჩვენ და მეორე ხუთწლედის დამლევს გვექნება, რამოდენიმე მილიარდი კილოვატ-საათის ელექტროენერგია უკვე უშუალოდ დაუკავშირდება სოფლის მეურნეობას.

ტრაქტორებთან — სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ამ ძირითად ელემენტებთან ერთად, მეორე ხუთწლედში სულ უფრო და უფრო გაიზრდება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის როლი.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დარგში მდგომ ახალ ამოცანებთან შეფარდებით, ტექნიკის დაუფლების საკითხს აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საქმე მარტო ტრაქტორის და კომბაინის დაუფლების ამოცანით არ ამოიწურება, ლაპარაკია აგრეთვე ელექტროენერგიის გამოყენებაზე მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში. ტექნიკის დაუფლება სოფ. მეურნეობაში აუცილებლად უნდა შეიცავდეს აგრონომიის და ზოოტექნიკის მიღწევათა დაუფლებასაც. ჩვენ გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო ჩვენს ჩამორჩენილობას აგრონომიასა და ზოოტექნიკაში. სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება, საბჭოთა მანქანათმშენებლობის, მთელი ჩვენი ინდუსტრიის გაშლა, ელექტროფიკაციის უმაგალითო ტემპებით ზრდა—ყოველივე ეს დიდძალ ტექნიკურ კადრებს მოითხოვს.

ჩვენ ვერ განვახორციელებთ მეორე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ყველა დარგების რეკონსტრუქციის დამთავრების ამოცანას, თუ ტექნიკოსების, ინჟინერების, აგრონომების და სამეცნიერო მუშაკების მთელი ახალი არმიები ნამდვილად არ დაეუფლენ ტექნიკას, რომ არაფერი ვსთქვა ჩვენთვის საჭირო კვალიფიციური მუშების მრავალათასიან კადრებზე. თუ პირველი ხუთწლედის განმავლობაში ტექნიკური კადრების საკითხი უაღრესად გამწვავდა, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის. ამ საკითხს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ტექნიკური კადრების საკითხის შესახებაც ჩვენ საკმაოდ „შესწორება" შევიტანეთ თავდაპირველად მიღებულ ხუთწლედში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ მოგვიხდა ტექნიკური განათლების საქმის რადიკალურად გარდაქმნა. რიცხვობრივი გაქანებით ჩვენ უკვე ბევრ რამეს მივაღწიეთ. ჩვენი კადრების სამეცნიერო-ტექნიკური კვალიფიკაციის მხრით ჩვენ ჯერ კიდევ უმეტეს შემთხვევაში არ ვდგევართ სათანადო სიმაღლეზე, ხოლო ზოგჯერ კი მეტად დაბალ დონეზე ვიმყოფებით.

ამიტომ ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას" წარმოადგენს პარტიის უმნიშვნელოვანეს ლოზუნგს. ეს ლოზუნგი საქმით უნდა გადაიქცეს მეორე ხუთწლედის ლოზუნგად, მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების ხუთწლედის ლოზუნგად. თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ გადამწყვეტ წარმატებებს ,და ამასთან ფართო ფრონტით, ჩვენი ბოლშევიკური კადრების მიერ მსოფლიო მოწინავე ტექნიკის დაუფლების საქმეში, ჩვენ ვერ შევასრულებთ მეორე ხუთწლედის ძირითად ამოცანებს. ბოლშევიკები ეხლა აქაც უნდა მიდიოდნენ წინ, მათ უნდა გაიყოლიონ საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკთა მასა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგების ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების პირობებში ტექნიკის დაუფლება ნიშნავს კვალიფიციური მუშაკების მრავალათასიან რიგების დაჩქარებით შექმნას, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებულ მოწინავე მუშებისა და მშრომელი გლეხებიდან სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორთა ახალი კადრების გამოზრდას, სათანადო სამეცნიერო ინსტიტუტების და დაწესებულებათა ყოველმხრივ გაშლას ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური საქმის ფართოდ განვითარებისათვის და ამასთან ერთად მუშაობის ბოლშევიკურ გაქანებას მოსახლეობის წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობის საქმით განხორციელებისათვის, აგრეთვე მასიური ტექნიკური განათლების გაფართოებას.

ტექნიკური რეკონსტრუქციის ჩატარების საქმე მოითხოვს ჩვენს სამეურნეო სამეცნიერო მუშაობაში ბურჟუაზიული ტიპის სპეციალისტების სათანადოთ გამოყენებას. და ეხლაც ამ საკითხს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თავის დროზე ამხ. ლენინი აღნიშნავდა რა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის პირველი გეგმის შედგენისათვის საჭირო მუშაობის მნიშვნელობას, ამბობდა: „ჩვენ მიღწევად ვსთვლით იმას, რომ მივიზიდეთ ბურჟუაზიული შეხედულებებით გაჟღენთილი რამდენიმე ათეული და ასეული ინჟინერი და მეცნიერების წარმომადგენლები და მივეცით მათ დავალება მთელი მეურნეობის მრეწველობის და მიწადმოქმედების რეორგანიზაციის შესახებ, გამოვიწვიეთ მათში ინტერესი და მივიღეთ მრავალი მასალა".

ეხლანდელი მდგომარეობა დიდად განსხვავდება „გოელრო"-ს გეგმის შემუშავების პერიოდიდან. მიუხედავად ამისა ჩვენს მუშაობაში ბურჟუაზიული ტიპის სპეციალისტების ჩაბმის საკითხი ეხლაც უაღრესად აქტუალურია.

კიდევ მეტი. ეხლა მთელ რიგ შემთხვევებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოელ სპეციალისტების მუშაობას. უცხოეთის ტექნიკის გამოყენებისათვის, რომლითაც ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვსარგებლობთ, ჩვენ ხშირად გვიხდება უცხოელ ინჟინერების მოწვევა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მადლობა უთხრათ ყველა მათგანს, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და აქტიურად მუშაობენ ჩვენი ახალი საწარმოების მოწყობის საქმეში. კომუნისტის მოვალეობას შეადგენს მათი მოხერხებულად გამოყენება, სათანადო კონტროლის დაწესება და ამასთან ერთად საქმის არსებითი მხარის უფრო მეტად დაუფლება. კომუნისტების ამ მოვალეობათა შესახებ ამხ. ლენინმა მეტად გარკვეულად ილაპარაკა თავის დროზე.

„კომუნისტი, რომელმაც ვერ დაამტკიცა რომ მას შესწევს უნარი გააერთიანოს და წარმართოს სპეციალისტების მუშაობა, გაეცნოს საქმის შინაარსს და შეისწავლოს იგი დეტალურად, ასეთი კომუნისტი ხშირად მავნებელია. ასეთი კომუნისტები ჩვენში ბევრია, მ- მათ ათობით გავსცვლიდი ერთ მცოდნე ბურჟუაზიულ სპეციალისტში, რომელიც კეთილსინდისიერად სწავლობს თავის საქმეს".

ამხ. ლენინი სასტიკად ამათრახებს აქ იმ კომუნისტებს, რომლებიც ვერ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას სპეციალისტების მუშაობის ხელმძღვანელობის დარგში და, რომლებიც ამასთან ერთად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ტექნიკისა და საქმის შინაარსის დამოუკიდებლად დაუფლების საქმეში. ამხ. ლენინის ამ შენიშვნებს ეხლაც აქვს ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

მე დამრჩა მხოლოდ ხაზი გავუსვა ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანებს მეორე ხუთწლედის ძირითად პრობლემებთან დაკავშირებით.

ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიისაგან და მოსკოვის კომუნისტური აკადემიისაგან, სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტებისაგან, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებისაგან,აგრეთვე ტექ. ჟურნალების გამომცემლობებისაგან, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ სახ. მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის უდიდესი ამოცანის შესრულებისათვის ერთი საერთო დავალების შესრულება: ტექნიკა, მეცნიერება—მეორე ხუთწლედისათვის სამსახურის გასაწევად.

რა თქმა უნდა, ყოველნაირად უნდა განვითარდეს წმინდა თეორიული მუშაობა სამეცნიერო და ტექნიკურ დარგში. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სამეცნიერო და ტექნიკური მუშაკების მუშაობის ნამდვილად დაახლოება სოციალისტური მნიშვნელობის პრაქტიკასთან ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარების საქმეს საბჭოთა კავშირში.

ბოლოს, შევეხები იმ კრიტერიუმების საკითხს, რომლებითაც უნდა შევაფასოთ ჩვენი სამეურნეო წარმატებანი.

მართალია, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად სამეურნეო მუშაობის მთავარ კრიტერიუმს (საზომს) როგორც ვიცით, ჩვენთვის წარმოადგენდა ომის წინა დროის დონე. ცოტა ხნის წინად მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას ვადარებდით მის მდგომარეობას ომამდე. მაგრამ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენ სულ უფრო და უფრო იშვიათად მივმართავთ ამ კრიტერიუმს. ჩვენ იმდენად შორს წავედით წინ, რომ ომის წინა დროის დონე არ გამოდგება ჩვენი სამეურნეო მუშაობის შესაფერ საზომად.

ეხლა ჩვენ სულ უფრო და უფრო ხშირად მივმართავთ უფრო სხვა ხასიათის კრიტერიუმს.

ასე მაგალითად, მეორე ხუთწლედის დავალებებს ვადარებთ პირველ ხუთწლედს. ჩვენ ამჟამად ელექტროენერგიის წარმოების გადიდებაზე, მანქანათმშენებლობის განვითარებაზე და სხვ. ვლაპარაკობთ პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლის დონესთან შედარებით.

ასეთია ამჟამად ჩვენი ძირითადი საბჭოთა სოციალისტური კრიტერიუმი.

მაგრამ ეს არ არის ერთად-ერთი კრიტერიუმი ჩვენი სამეურნეო წამატებებისათვის.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საერთაშორისო კრიტერიუმს, ჩვენი მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების შედარებას კაპიტალისტური სახელმწიფოების შესაფერ მოჩვენებლებთან.

ჩვენ რა თქმა უნდა ვერც შემდეგში ავიღებთ ხელს ასეთ შედარებაზე. ჩვენ გვახსოვს ლენინის ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ ტექ.-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს". ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ამ ლოზუნგის განხორციელებისაგან. მაგრამ მეორე ხუთწლედში ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს გადავდგამთ წინ. თეზისებში ნათქვამია, რომ მეორე ხუთწლედის დამლევს საბჭოთა კავშირმა პირველი ადგილი უნდა დაიკავოს ევროპაში ტექნიკის მხრით. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ დასახულია დიდი ამოცანა, რომ ამ კრიტერიუმს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

ჩვენ არ ვისახავთ ამოცანად მეორე ხუთწლედში ყოველმხრივ დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურ-ეკონომიურ მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. თეზისებში ნათქვამია, რომ მთელ რიგ სამეურნეო დარგებში ჩვენ შეგვიძლია დავეწიოთ და გავასწროთ ტექნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და ეს უნდა განვახორციელოთ კიდეც. ცხადია, რომ აქ საერთაშორისო კრიტერიუმის გამოყენებას დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ხშირად, რა თქმა უნდა, ძნელი და შეუძლებელია შევადაროთ საბჭოთა კავშირი სხვა ქვეყნებს, თუნდაც იმიტომ, რომ არ მოიპოვება შესაფერისი ცნობები უცხოეთში იმიტომ, რომ როგორც ვიცით, კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არსებობს „სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოები". მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ საერთაშორისო კრიტერიუმზე, ტექნიკურ-ეკონომიურის მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის შედარებაზე. ამ კრიტერიუმის ლენინურად გამოყენებას, ე. ი. ლოზუნგის „დავეწიოთ და გავუსწროთ" განხორციელებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება.

მეორე მხრით საჭიროა მოვიგონოთ, თუ საითკენ მივყავდით ამ საკითხის ტროცკისტულად დასმას. ტროცკისტულ შეხედულებას, რომელიც მოკლებულია საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის რწმენას, აქ სულ სხვა ანტიბოლშევიკური აზრი ჰქონდა.

აი, მაგალითად, რას ამბობდა ტროცკი კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმზე 1926 წლის დეკემბერში.

„განვითარების ტემპი წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს, ვინაიდან ჩვენ მარტონი არა ვართ დედამიწაზე. განცალკევებული სოციალისტური სახელმწიფო ჯერ ჯერობით არსებობს მხოლოდ ჟურნალისტებისა და რეზოლიუციების შემადგენელთა ფანტაზიაში. ნამდვილად კი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ყოველთვის იმყოფება პირდაპირ თუ არაპირდაპირ—მსოფლიო ბაზრის შედარებით კონტროლის ქვეშ. აი რა არის მთავარი. განვითარების ტემპი არ არის ნებისმიერი. მას გვკარნახებს მსოფლიოს მთელი განვითარება, რადგან საბოლოო ანგარიშით მსოფლიო მეურნეობა კონტროლს უწევს ყოველ თავის ნაწილს, იმ ნაწილსაც, რომელშიაც პროლეტარული დიქტატურა არსებობს და რომელიც სოციალისტურ მეურნეობას აშენებს".

ამრიგად, ტროცკი უკვე მაშინ ყოველნაირად აღნიშნავდა, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობა იმყოფება მსოფლიო ბაზრის „კონტროლის" ქვეშ. საკითხის ტროცკისტულ დასმაში უკვე მაშინ საბჭოთა მეურნეობის პრინციპიალური განსხვავება კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობისაგან სრულიად მიჩქმალული იყო მენშევიკურად.

წიგნაკში „სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ" ტროცკი 1925 წელს სწერდა:

„მით უფრო ვებმებით შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემაში, ჩვენი შინაგანი მეურნეობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა საქონლის ფასი და ხარისხი, მით უფრო პირდაპირ და უშუალოდ ემორჩილება მსოფლიო ბაზრის შესაფერ ელემენტებს".

აქ ტროცკი ამასაც კი ამბობს, რომ ჩვენი საქონლის ფასები „ემორჩილება მსოფლიო ბაზრის შესაფერ ელემენტებსო"-ო, რაც მოასწავებს იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისის დროს საბჭოთა კავშირში უნდა დაეცეს ფასები და პირიქით. საკმარისია მივუთითოთ ამ მსჯელობაზე, რომ ცხადი გახდეს მისი უაზრობა, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში. ბოლოს იმავე წიგნაკში ტროცკი სწერდა:

„მაგრამ ექსპორტისა და იმპორტის სწრაფი ზრდით მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. ჩვენ ვხდებით მსოფლიო ბაზრის შემადგენელ ნაწილად, მართალია მეტად თავისებურ, მაგრამ მაინც შემადგენელ ნაწილად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისმა საერთო ფაქტორებმა ამა თუ იმ სახით გავლენა უნდა მოახდინონ ჩვენს მეურნეობაზე. ეკონომიკის მორიგი ფაზისი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატება იმაში, თუ როგორ ყიდულობს ბაზარი და როგორ ჰყიდის. ჩვენ მსოფლიო ბაზარზე გამოვდივართ, როგორც გამყიდველები და როგორც მყიდველები. ამით ჩვენ განვიცდით ამა თუ იმ სახით მსოფლიო ბაზრის სავაჭრო-სამრეწველო გამოცოცხლებისა და მოდუნების ეკონომიურ ზეგავლენას".

შემდეგ: „ჩვენი გუშინდელი დამოუკიდებლობა მსოფლიობაზრის მერყეობისაგან ჰქრება. ჩვენი მეურნეობის ყველა ძირითადი პროცესები არა მარტო უკავშირდება შესაფერ პროცესებს, არამედ აგრეთვე განიცდიან ამა თუ იმ სახით კაპიტალისტური განვითარების კანონების, მათ შორის კონიუნქტურის შეცვლის მოქმედებას".

ამრიგად ტროცკი უკვე მაშინ ანვითარებდა იმ აზრს, რომ ჩვენ დამოკიდებული ვართ კაპიტალისტური განვითარების კანონების მოქმედებასა და კონიუნქტურულ ცვლილებებზე, რომ საბჭოთა კავშირი დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრის გამოცოცხლებასა" და „მოდუნებაზე". მიუხედავად აზრის აშკარად ულოთაბანდურად ჩამოყალიბებისა, ტროცკის ნაწერების მენშევიკური ტენდენცია მაშინაც სავსებით ცხადი იყო. იგი ცდილობს წაშალოს პრინციპიალური განსხვავება მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობასა და საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მეურნეობას შორის, ეს ცდა გამოსჭვივის მთელი მსჯელობიდან. რაც შეეხება ტროცკის ღრმაზროვან წინასწარმეტყველებას იმის შესახებ, რომ ჩვენი მეურნეობა დამოკიდებულია მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის „გამოცოცხლებასა" და „მოდუნებაზე", ეხლა კაპიტალისტური ქვეყნების ღრმა კრიზისისა და საბჭოთა კავშირის უდიდესი სამეურნეო განვითარების მომენტში, ეს წინასწარმეტყველება განსაკუთრებით უაზრო და განსაკუთრებით სასაცილოა. ტროცკის პოზიციების პოლიტიკური აზრი აქაც, რა თქმა უნდა, გამოიხატება წვრილ-ბურჟუაზიულ კაპიტულიაციაში იმპერიალიზმის წინაშე, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების რწმენის მეშჩანურ უქონლობაში, გამარჯვების, რომელიც თითქოს უიმედო და უნიადაგო საქმეა. ასეთია ტროცკიზმის პოლიტიკური ბაზა ეხლაც.

რა გაეწყობა, დე აკეთოს ტროცკიმ თავის საქმე, ჩვენ კი ჩვენს საქმეს გავაკეთებთ ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ გაიმარჯვებს ჩვენი საქმე, გაიმარჯვებს სოციალიზმი.

5) კაპიტალისტური მსოფლიო და მეორე ხუთწლედი

საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. ეს იმას ნიშნავს, რომ სწარმოებს ორი კლასობრივად მოწინააღმდეგე მსოფლიოს, ორი პრინციპიალურად შეურიგებელი საზოგადოებრივი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის უაღრესად გამწვავებული ბრძოლა და შეჯიბრება. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ აშკარავდება მსოფლიო ეკონომიური კრიზისის უაღრესად გაღრმავების პერიოდში.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავინახოთ ის ცვლილებანი, რომლებიც ხდება საბჭოთა კავშირის კაპიტალისტურ გარემოცვაში.

პირველი ხუთწლედი დღემდე ხორციელდებოდა იმპერიალისტების მხრით თავდასხმის მუდმივი მუქარის ქვეშ. მიუხედავად მისა, ამ ხუთწლედის სამი მეოთხედი უკვე შესრულებულია, სხვათა შორის შესრულებულია სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვქონდა მშვიდობიანი შესვენება სოციალისტური მშენებლობისათვის. მიუხედავად ყველა შინაგანი სიძნელეებისა, მიუხედავად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა. ჩვენს ქვეყანაში და ზოგჯერ საგრძნობლად გამწვავებისა, მიუხედავად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლისა, ჩვენ ძლევამოსილად მივიწევდით და მივიწევთ წინ სულ უფრო და უფრო ვამაგრებთ ჩვენს ძირითად პოზიციებს. ეხლა ჩვენთვის იქმნება გაცილებით უფრო მწვავე საფრთხე ჩვენი მტრების მხრით, საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ იმპერიალისტურ ძალების მხრით. იმპერიალისტური თავდასხმის საფრთხე საგრძნობლად გაძლიერდა. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ მთელს ჩვენს მუშაობაში.

მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამად ხასიათდება, პირველ ყოვლისა, ულრმესი კრიზისით და ყველა კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებით.. ამასთან კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო აქტიური ხდება შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის გარეთ ძებნა — სხვა ქვეყნებზე თავდასხმა, ინტერვენციის მოწყობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იმპერიალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკა სულ უფრო გულაზდილი აგრესიული ხდება. ყველა ქვეყნებში სამხედრო ქარხნები დატვირთულია შეკვეთებით, შეიარაღება ამ ქვეყნებში ეხლა განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება, ახალი ომებისათვის გაფაციცებით ემზადებიან.

მშრომელი მასების მდგომარეობა კაპიტალიზმის ქვეყნებში სულ უფრო უარესდება. თანამედროვე კაპიტალიზმმა მუშებისა და მათი ოჯახების მილიონებისა და ათეული მილიონებისათვის შექმნა უკიდურესი უმუშევრობის, სიღატაკისა და შიმშილის პირობები. გლეხთა მასებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში აგრეთვე დაბეჩავებული არიან კრიზისის გავლენით, აქაც სულ უფრო იზრდება მილიონობით ღატაკებისა და მშიერთა რიცხვი. ამასთან ერთად იზრდება მშრომელთა შორის უკმაყოფილება გაბატონებული კლასებით, იზრდება ზიზღი კაპიტალიზმისადმი მუშათა კლასში.

საჭიროა ამასთან ერთად მოვიხედოთ, თუ რა ხდება თვით ბურჟუაზიულ ბანაკში. პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების დაბნეულობას, მრავალი კაპიტალისტური ფირმისა და დაწესებულების უიმედო მდგომარეობას კიდევ უფრო მეტი პანიკა შეაქვს ბურჟუაზიის რიგებში. მდგომარეობის ბატონ - პატრონებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ისინი დარწმუნებული იყვნენ ხელისუფლების სიმტკიცეში, დღეს უკვე ჰკარგავენ ნიადაგს ფეხ ქვეშ. ბურჟუაზიული პრესა სულ უფრო და უფრო დაეშვა აშკარა რეაქციონურ შეხედულებათა ქადაგების გზაზე ყველა ძირითად საკითხებში, მანქანებისა და ტექნიკის საკითხშიაც კი საერთოდ. გაბატონებული კლასების სახეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში სულ უფრო სულიერი და მორალური გახრწნის საზიზღარი გამომეტყველება ეძლევა.

გამოსვლები ტექნიკისა და ზუსტი მეცნიერების წინააღმდეგ რადიოთი და სხვა საშუალებებით ხშირ მოვლენად იქცა კაპიტალისტურ ქვეყნებში. აღმოჩნდა ვიღაც ინგ-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

---

*) დასასრული. იხ. „კომ." № 32.

ლისელი ეპისკოპოზიც კი, რომელმაც ამას წინად საჯაროდ განაცხადა, რომ საჭიროა ათეული წლობით თავის შეკავება ახალ გამოგონებათაგან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისაგან.

ჯერ კიდევ გუშინ ბურჟუაზიული კლასების პოლიტიკოსები და ეკონომისტები გამოდიოდენ ახალი და ახალი წინასწარმეტყველებით, რომ მალე დამთავრდება კრიზისი და დადგება ეკონომიური აღორძინების მომენტი. დღეს კი ერთმა ამერიკელმა გამოცემამ გამოუშვა ამ ორი წლის წინასწარმეტყველებათა სპეციალური წიგნი. ეს წიგნი არა თუ პირდაპირ მამხილებელი, არამედ სამარცხვინოა ბურჟუაზიული საზოგადოების მრავალი მოღვაწისა და ხელისუფლისათვის ამერიკაში. უკანასკნელად ბურჟუაზიული გაზეთები სულ უფრო და უფრო ათავსებენ ცნობილი შარლატანებისა და ყოველგვარი მკითხავების წინასწარმეტყველებას კრიზისის პერსპექტივების შესახებ და სხვ. ეს კი თანამედროვე გაბატონებული კლასების სულიერი მდგომარეობისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში უაღრესად დამახასიათებელია.

აი რამდენიმე ახალი წინასწარმეტყველება, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთებში უკანასკნელი 2—3 კვირის განმავლობაში. პარიზის ერთი გაზეთი იტყობინება, რომ ცნობილმა ფრანგმა მკითხავმა ფრეიამ გაუზიარა ბურჟუაზიული პრესის წარმომადგენლებს თავისი წინასწარმეტყველება 1932 წლისათვის. მისი აზრით, გაზაფხულზე კრიზისი დაიწყებს კლებას, რადგან ამ დროს მერკურის გავლენას შესცვლის გავლენა სატურნის, რომელიც უდიდესი მტერია ახლანდელი რყევისა და ნგრევის (სიცილი).

მკითხავი შემდეგ გამოსთქვამს თავის მოსაზრებას პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და სხვების შესახებ მიდის შემდეგ დასკვნამდე: „ცენტრალურ ევროპაში მოხდება რამდენიმე რევოლუცია“.

ამის შემდეგ:

„მოხდება რამდენიმე წყალდიდობა“ (სიცილი).

აი რას იტყობინება პარიზის მეორე გაზეთი: ასტროლოგების გარდა წინასწარმეტყველებას მიმდინარე წლისათვის ბეჭდავენ კიდევ ნუმეროლოგები. ლონდონის გაზეთების კვირის ნომერში ნუმეროლოგი ზიგფრიდი შემდეგს სწერს:

„საბჭოთა რუსეთი მიმდინარე წელს დასაღუპად არის განწირული (სიცილი), იგი იძულებული გახდება აღიაროს თავი დამარცხებულად და უარი განაცხადოს არსებულ რეჟიმზე“.

როგორც ხედავთ, ეხლა ვინმე კი არა, არამედ ბატონი ნუმეროლოგები მქადაგებენ საბჭოთა კავშირის შესახებ რაღაც „თერმიდორის“ მსგავსს.

და შემდეგ:

„ყველაზე უფრო ბედნიერი თვე იქნება აპრილი და აგვისტო. ყველაზე უფრო ბედნიერი ფერი იქნება ცისფერი, ყველაზე უფრო კარგი დღე იქნება პარასკევი (დიდი სიცილი).

არ შემიძლია თავი შევიკავო და არ მოვიყვანო აქ კიდევ ერთი წინასწარმეტყველება, რომელიც აგრეთვე ამოღებულია პარიზის ერთი გაზეთიდან:

„განსაკუთრებულ ინტერესს იძლევა ცნობილი ირლანდიელი ასტროლოგის მაკ-კუკიშ გორსკოპის, რომლის წინასწარმეტყველება 1930-31 წლების შესახებ სავსებით გამართლდა (ხმა: რას ამბობთ!.. სიცილი).

კერძოდ მსოფლიო კრიზისის შესახებ. მაკ კუკიში გარკვეულად ამბობს, რომ ეს კრიზისი დამთავრდება 27 თებერვალს ღამით (ხმამაღალი სიცილი), ბალზე ვიქტორ ჰიუგოს დარბაზებში (სიცილი).

აი რა საქმიანობას ეწევიან ეხლა საზღვარგარეთის ბურჟუაზიული და რუს თეთრგვარდიელთა გაზეთები.

სურათი რომ სრული გამოვიდეს, იძულებული ვარ უფრო ვრცლად შევჩერდე თანამედროვე ამერიკის და თითქმის მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს ერთ-ერთ „ცნობილ“ პირზე.

როგორც ირკვევა, ამერიკულმა ჟურნალებმა ამას წინად დაითვალეს გაზეთის სვეტებისა და სურათების რაოდენობა, რაც განვლილ 1931 წელს მიეძღვნა ბურჟუაზიის სხვადასხვა „დღევანდელ რაინდებს“ ამასთან ირკვევა, რომ რეკორდი აუღია არა სხვას ვინმეს, არამედ ჩიკაგოს ბანდიტების მეთაურს. ალ. კაპონეს. მისი თავგადასავლის აღწერამ, ბიოგრაფიულმა ცნობებმა, ინტერვიუმ და სხვა ცნობებმა მსოფლიო პრესაში დაიკავეს 1.587.422 სვეტი. გარდა ამისა, გაზეთებსა და ჟურნალებში მოთავსებული იყო 5.050 მისი სურათი. პრესაში მხოლოდ მეორე ადგილი უჭირავს ამერიკის პრეზიდენტს ჰუვერს.

რას წარმოადგენს ალკაპონე, რომელიც 1931 წელს ისეთ ცნობილ „გმირად“ მოგვევლინა, რომ მსოფლიო პრესაში ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა მოიხვეჭა? ამის გაგება ძნელი არ არის საზღვარგარეთის პრესიდან. უფრო მეტი. იქ შეხვდებით მთელ წიგნებს, რომლებიც მიძღვნილი აქვს მის მოღვაწეობას. აი, მაგალითად, წარსულ წელს ლონდონში გამოვიდა ფრედა პეიოლის წიგნი ალ კაპონის შესახებ (318 გვერდიანი), საიდანაც მოყვანილი იქნება შემდეგ ჩემ მიერ მთელი რიგი ამონაწერები. ამ წიგნში პირველ ყოვლისა ნათქვამია:

„თუ ჩიკაგოს ქალაქის მერი ითვლებოდა ქალაქის ოფიციალურ ბატონპატრონად, მეორე არა ნაკლებ ძლიერ და თითქმის უფრო გავლენიან პირად პოლიტიკურ ცხოვრებაში ითვლებოდა შესანიშნავი ხელმძღვანელი ჩიკაგოს გარყვნილების სახლისა ალ კაპონე. ტომსონის ქალაქის მერად ყოფნის დროს ჩიკაგოში პირველ ადამიანად მის შემდეგ მნიშვნელობის მხრივ ქალაქში ითვლებოდა ალ კაპონე“.

ამერიკული გაზეთები დაწვრილებით აღწერდენ ყოველივეს, რაც კი შეეხება ალ კაპონეს. ამ გაზეთებიდან და აგრეთვე პეიოლის წიგნიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ალ კაპონეს აქვს არა მარტო თავისი ავტომობილი, არამედ თავისი გემები და აეროპლანები და სხვა მრავალი, რაც არ აქვთ ჩვეულებრივ მომაკვდავებს. მას აქვს აგრეთვე შვენიერი ვილა ფლორიდაში, სწორედ იქ, სადაც არის პრეზიდენტ ჰუვერის ვილა, ხოლო, ამერიკული პრესის აღწერით, არა უარესი ამ უკანასკნელის.

ალ კაპონეს შემოსავლის ბინძური და პირდაპირ დანაშაულებრივი წყაროების შესახებ სწერენ მთელ მსოფლიო პრესაში აგრეთვე სრული გულახდილობით. მისი უმთავრესი შემოსავალი ეს არის მოგება სპირტის კონტრაბანდულად გაყიდვისაგან ე.-წ. „მშრალი კანონისათვის“ გვერდის აქცევით ამერიკაში, და ყველა მის საწარმოთაგან, რომელთაც კავშირი აქვთ ამ საქმესთან.

ფრედა პეიოლი ამის შესახებ შემდეგს სწერს:

„1927 წლის შემოდგომაზე ამ საწარმოთა წლიური შემოსავალი, რომელსაც ალ კაპონე ხელმძღვანელობს, მთავრობის მოხელეების გამოანგარიშებით უდრიდა 100 მილიონ დოლარს, და ეს შემოსავალი ცალკე მუხლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ლუდითა და მაგარი სასმელებით ვაჭრობა იძლეოდა 60 მილიონ დოლარს. აზარტული სათამაშოთა სახლები და ძაღლების მოსაშენებელი ადგილები 25 მილიონ დოლარს (სიცილი), გასართობი ადგილები (საცეკვაო დაწესებულებანი) და სახლები მოწეულთათვის 10 მილიონ დოლარს. სხვადასხვაგვარი შანტაჟის, გამოტყუილებისა და სხვა გზით მიღებული შემოსავალი 10 მილიონ დოლარს (სიცილი). ამ შემოსავლის ანგარიშში ალ კაპონე და მისი მონაწილეები უხვად აძლევდენ ფულს პოლიციას და ცალკე პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც კარგად იცნობდენ მის ფართო მოღვაწეობას.

აქედან შეიძლება დავინახოთ, რომ ალ კაპონე უდიდესი კაპიტალისტია, ასე ვთქვათ, ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი ბურჯთაგანი, რომელსაც აქვს მრავალრიცხოვანი საწარმო, მუდმივი უდიდესი შემოსავალი და სხვ. ამერიკულ და ევროპიულ პრესაში, სადაც ალ კაპონეს შესახებ ბევრს სწერენ, შეიძლება შეხვდეთ ცნობას იმის შესახებ, რომ, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა (32 წლის), მან უკვე შეიძინა თავისი ცხოვრების განმავლობაში არა ნაკლებ 700 მილიონი დოლარისა. ერთი სიტყვით, ეს ჩიკაგოელი ბანდიტი წვრილფეხა ვინმე კი არ არის კაპიტალისტურ სამყაროში, არამედ ერთი მისი დიდბოძთაგანი ამერიკაში. როცა იარაღის ტარებისათვის იგი როგორღაც სატუსაღოში ჩასვეს, მას არც იქ მოსწყენია. ხსენებულ წიგნში ამის შესახებ შემდეგი არის ნათქვამი:

პრესამ ალ კაპონეს სატუსაღოში ყოფნას დიდი ადგილი დაუთმო. სწერდენ მისი განწყობილების შესახებ, ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ მატულობს ის წონაში, მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ, დროის ტარებისა და იმ წიგნების შესახებ, რომელთაც იგი კითხულობდა“ (სიცილი).

შეიძლებოდა კიდევ უფრო ნათლად დავხატა მსოფლიოს ბურჟუაზიული ქვეყნების ამ ცნობილი ადამიანის პორტრეტი. მაგრამ საკმარისია რაც ვთქვი.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოების სახე ისედაც საძაგლად გამოიყურება. თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებულ კლასებში ღრმად შეჭრილ მორალურ და სულიერ გახრწნით შეიძლება ახსნას ადამიანმა ამგვარი ფაქტები. ამ ფაქტების რიცხვი ანგარიშში უთვალავია.

მაგრამ მეორე მხრით საუკეთესო ელემენტები შორდებიან ბურჟუაზიას. უკვე დიდი ხანია ვიცით, რომ რომენ როლანი—საფრანგეთის უდიდესი მწერალი-მხატვარი წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების მკაცრი კრიტიკოსს და ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის მეგობარს. ცნობილია აგრეთვე, რომ ერთი საუკეთესო ამერიკელი მწერალთაგანი ეპტონ სინკლერი აშკარად გამოვიდა კაუცკის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ჩვენგან შორეული ინგლისელი ბურჟუაზიული მწერალი ბერნარდ შოუ საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ შეუდგა გესლიანი წერილების წერას ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელსაც ის უპირისპირებს საბჭოთა კავშირის ზრდასა და წარმატებებს: ცალკე პირთა ჩამოშორება და მათ მიერ კავშირის გაწყვეტა ბურჟუაზიასთან, ცხადია, შემდეგშიაც გაგრძელდება მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკთა შორის, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო და უფრო კვდება კაპიტალისტური საზოგადოება და იმავე დროს სულ უფრო და უფრო იზრდება სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში.

ამაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი ზრდის ერთ-ერთ მაჩვენებელთაგანს. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ არის მთავარი მაჩვენებელი.

ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით საბჭოთა კავშირის ნამდვილ ბაზას წარმოადგენენ მშრომელი მასები.

არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშებს შორის და კოლონიებში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდება და მით მტკიცდება ჩვენი საქმის საერთაშორისო პოზიციები. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მუშების აქტიური თანაგრძნობა წარმოადგენს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პირობათაგანს და კომუნიზმისათვის საბოლოო გამარჯვების საწინდარს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის დარგში გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯით მტკიცდება არა თუ ჩვენი საშინაო, არამედ საერთაშორისო პოზიციები, მიუხედავად ყველა სიძნელეებისა, როგორც შიგნით კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის საქმეში, ისე გარედაც პროლეტარული რესპუბლიკის დაცვის საქმეში კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრით პოლიტიკური ზეგავლენისა და ეკონომიური ბლოკადის ყოველ და ყოველგვარ ცდებისაგან. საბჭოთა კავშირი იზრდება მტკიცდება ყოველდღიურად.

რაზეა დამყარებული ეს ზრდა?

საკმაოა დაჰყო ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებში და კოლმეურნეობებში, რათა დარწმუნდე, რომ საბჭოთა კავშირის ძლევამოსილების ზრდა ეყრდნობა მასების აქტივობას, მუშებისა და მშრომელი გლეხობის მონაწილეობას მთელს სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენი პარტია, პროფკავშირები, კომკავშირი და საბჭოები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა აამაღლონ მშრომელთა აქტივობა იმისათვის, რომ დასძლიონ მათ შორის არსებული მერყეობანი, ჩამორჩენილობა და ბურჟუაზიული ელემენტების პირდაპირი გავლენა, იმისათვის, რომ დარაზმონ მასები სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტ ამოცანების გარშემო. ეს მუშაობა მასების მობილიზაციისათვის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სწყვეტს საქმეს.

იზრდება რიცხვი დამკვრელების — სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებისა ჩვენს ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში. იზრდება საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმისათვის თავდადებულ მუშაკების არმია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მთელ რიგ შემთხვევებში შრომის ნაყოფიერება დაბალია, პროლეტარული დისციპლინა კი კიდევ ბევრად არ არის თავის სიმაღლეზე, ჩვენ შეგვიძლია იმედით ვიცქიროთ წინ: ახალი ტეხნიკის ბაზაზე, ჩვენი პროლეტარული ტეხნიკური კადრების ზრდის საფუძველზე გაძლიერებული ბრძოლით ყოველ და ყოველგვარ ბიუროკრატიულ დაბრკოლებებთან, უკულტურობასთან, ჩვენ მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გადამწყვეტ ზრდას. როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ყოველდღიურად მტკიცდება ჩვენი ტეხნიკური, ეკონომიური და პოლიტიკური ბაზა, საბჭოთა კავშირი ხდება სოციალიზმის უფრო და უფრო მძლავრ სიმაგრედ.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის საფუძველზე მიმდინარეობს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარება. ამ საფუძველზე მიდის წინ სამეურნეო და კულტურული მშენებლობა ყველა რაიონებში, ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში. ეროვნებანი, რომლებიც ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინათ წარმოადგენდნენ მეფის რუსეთის კოლონიებს და ნახევრად კოლონიებს, ღორძინდებიან, ავითარებენ თავის ნაციონალურ კულტურას, ზრდიან თავის ნაციონალურ ბოლშევიკურ კადრებს.

საბჭოთა კავშირი მაგრდება, როგორც კავშირი ეროვნებების, რომლებიც მუშათა კლასის ხელმძღვანელობით აშენებენ სოციალიზმს.

ჩვენ ჯერ კიდევ მუშაობის დიდი გარდაქმნა გვჭირდება. მთავარი, რასაც ჩვენგან მოითხოვს პარტია—ეს რაც შეიძლება ნაკლები რეზოლუციები, ნაკლები დეკრეტები და დირექტივები და მასთან ერთად შესრულების მეტი შემოწმება, მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა, საქმის მეტი შესწავლა და მისი პრაქტიკული დაუფლება. მხოლოდ ასე, მასებისა და ყველა პროლეტარული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით გავსტეხავთ ჩვენ ბიუროკრატიზმის ფესვს ჩვენს აპარატში.

ლენინი ამბობდა:

> „10-20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (პროლეტარული რევოლუციების დაგვიანების პირობებშიც, პროლეტარული რევოლუციების, რომლებიც იზრდებიან), წინააღმდეგ შემთხვევაში 20-40 წელი წამებისა და თეთრგვარდიელთა ტერორის“.

გავიდა ათ წელზე მეტი იმ დღიდან, რაც ლენინმა დასწერა ეს სიტყვები. საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი მშენებლობის ფაქტებით სავსებით დადასტურებულია ჩვენი დიდი მასწავლებლის სიტყვები.

საბჭოთა კავშირი იზრდება, როგორც მთელი მსოფლიოს მუშათა სამშობლო. სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა საბჭოთა კავშირში სინამდვილეში წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვების საუკეთესო უზრუნველყოფას მთელს მსოფლიო მასშტაბით.

მეორე ხუთწლედში ჩვენ მიზნად ვისახავთ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანებს—უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებას. ამ ამოცანების განხორციელება არ შეიძლება არ მიმდინარეობდეს კაპიტალისტურ ელემენტებთან გამწვავებული ბრძოლის პირობებში, არ შეიძლება მას შედეგად არ მოჰყვეს კლასობრივი ბრძოლის ერთგვარად გამწვავება ამა თუ იმ უბანზე, ამა თუ იმ მომენტში, მაგრამ მუშათა კლასის ნებისყოფა ურყევია, იგი მტკიცედ მიდის თავის გამარჯვებისაკენ.

ჩვენ გვყავს ლენინური სამ მილიონიანი პარტია, ჩვენ გვყავს ექვს მილიონიანი კომკავშირი, ჩვენში მაგრდება ბაზა ქალაქისა და სოფლის მრავალმილიონიან მშრომელ მასაში. ამაშია ჩვენი ძლიერება. ამიტომ ჩვენ გვაქვს ურყევი რწმენა იმისი, რომ კაპიტალიზმი მიდის დაღუპვისაკენ, ჩვენი საქმე კი სოციალიზმის დამკვრელებით მიდის სრული გამარჯვებისაკენ (მხურვალე ტაში, რომელიც დიდხანს არ სწყდება. ყველანი ფეხზე დგებიან).

კამათი ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა გარშემო

მოსკოვი, 5 თებერვალი. 3 თებერვლის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. გრინკო

პირველად ლაპარაკობს ამხ. გრინკო.

„მე მსურს,—ამბობს ამხ. გრინკო,—რამოდენიმე მოსაზრება გამოვთქვა დაგროვების საკითხის გამო მეორე ხუთწლედში. სახალხო შემოსავლის საერთო ჯამი მეორე ხუთწლედში დაახლოვებით 500 მილიარდ მანეთს შეადგენს. ეს სახსრები, პირველყოვლისა, უნდა წარვმართოთ იმ უმნიშვნელოვანესი ხაზებით, რომელნიც განსაზღვრავენ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყურადღების ცენტრში მოექცევა ის 140—150 მილიარდი მანეთი, რომლის დაბანდება განზრახული გვაქვს კაპიტალურ მშენებლობაში. ცენტრალური კომიტეტის თეზისები იძლევიან სავსებით გარკვეულ პასუხს იმაზე, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ სოციალისტური დაგროვების დაჩქარებას. აი, რა წერია თეზისებში: „საქონლის ბრუნვის, პირველ ყოვლისა კი საცალო ვაჭრობის, გაშლა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განხორციელება მთელს სამეურნეო მუშაობაში არის უმნიშვნელოვანესი სტიმული ჩვენს მეურნეობაში არსებული და ჯერ კიდევ ბევრად გამოუყენებელი დიდძალი შინაგანი რესურსების გამოვლინებისათვის, რესურსებისა, რომელნიც ხელს უწყობენ სოციალისტური დაგროვების ზრდის დაჩქარებას“. და შემდეგ: „ამასთან ერთად კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანტიბოლშევიკური ხასიათისაა „მემარცხენე“ ფრაზა „პროდუქციის გაცვლაზე“ გადასვლის და „ფულის გაქრობის“ შესახებ უკვე სოციალიზმის მშენებლობის ახლანდელ პერიოდში“.

ამხ. გრინკო დაწვრილებით აშუქებს დაგროვების ბერკეტების განმტკიცების ამოცანებს განსაზოგადოებულ სექტორში და აღნიშნავს სამეურნეო ანგარიშის და საქონლის დანაწილებული ბრუნვის დიდ როლს. ამხ. გრინკო განსაკუთრებულად ჩერდება მასიური საფინანსო მუშაობის მნიშვნელობაზე.

ამხ. ვეინბერგი

ამხ. ვეინბერგი (საკავშირო პროფსაბჭო) აღნიშნავს მუშათა კლასის მდგომარეობას გაუმჯობესებას პირველი ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში. პროფკავშირების ცენტრალური ამოცანა მეორე ხუთწლედში,—ამბობს ამხ. ვეინბერგი,—არის შრომის ნაყოფიერების გადიდება. პარტიის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე პროფკავშირები შეუდგნენ ხელფასის ბოლშევიკურად გარდაქმნას. მაგრამ გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები. სანარდო სისტემაზე გადაყვანის დროს ჯერ კიდევ ბევრია დამახინჯება და ნაკლი შრომის ანაზღაურების სისტემაში.

მთლიანი კოლექტივიზაცია და სოფლის ფართო მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება ახალი წესით აყენებენ მუშა-ხელის დაქირავების საკითხს. მუშა-ხელის სიმცირეს რომ ადგილი არ ჰქონდეს, საჭიროა ულმობელად ვიბრძოლოთ თვითდინებობის წინააღმდეგ დაქირავების საქმეში. სარაციონალიზაციო ღონისძიებების, საწარმოო პროცესების მექანიზაციის დიდ მნიშვნელობას ორატორი ცხადჰყოფს დინამოს ქარხნის გამოცდილებაზე, სადაც რაციონალიზაციის ხაზით ჩატარებული მკაფიო გეგმიანი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა შრომის ნაყოფიერების საგრძნობლად გადიდება, ზოგ შემთხვევაში 46 პროცენტითაც კი.

ჩვენ,—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. ვეინბერგი,—განვაგრძნობთ პროფკავშირების მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნას,—პროფკავშირები, რომელნიც მეორე ხუთწლედის დამლევისათვის დაახლოვებით 30—35 მილიონ კაცს გააერთიანებენ, დავრაზმავთ მილიონიან მასებს პარტიის გენერალური ხაზისა და ამხ. სტალინის ექვსი პირობის განხორციელებისათვის საბრძოლველად და ამ გზით შევასრულებთ მეორე ხუთწლედის ბუმბერაზულ ამოცანებს.

ამხ. კოსიორი

კონფერენცია მხურვალე ტაშით ხვდება უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კოსიორს.

— რაც უფრო აკვირდები,—ამბობს ამხ. კოსიორი,—ცენტრალური კომიტეტის თეზისებს და დირექტივებს მეორე ხუთწლედის შესადგენად, მით უფრო ღრმად გრძნობ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების სიდიადეს. მეორე ხუთწლედის ბუმბერაზულ გეგმის შესრულებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლით სიძნელეებთან, მუშათა კლასის უფართოესი მასების მობილიზაციით პარტიის გენერალური ხაზისათვის საბრძოლველად, გადამწყვეტი ბრძოლით კაპიტალიზმის ნაშთებთან ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში, ბრძოლით წვრილბურჟუაზიულ გავლენასთან, რომელსაც ადგილი აქვს არა მარტო კოლმეურნეების და მუშების ნაწილში, არამედ მოქმედებს პარტიის ცალკე წევრების შეგნებაზეც.

კულაკი განადგურებულია და საფუძვლიანად ამოფხვრილი,—ამბობს ამხ. კოსიორი,—მაგრამ კულაკური ელემენტები ჯერ კიდევ მოიპოვებიან, და სუსტ პუნქტებში, სადაც საკმაოდ არა ვართ დარაზმულნი, მათ შეუძლიათ შეგვიქმნან სიძნელეები და ისინი შეეცდებიან ჩაშალონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა. ჩვენ უჰაერო სივრცეში კი არ ვცხოვრობთ. საერთაშორისო ბურჟუაზია არ შეიძლება არ აქეზებდეს ამ კაპიტალისტური ელემენტების ნაშთებს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ უფრო უნდა გავაძლიეროთ პარტიის სიფხიზლე და მუშათა კლასის დარაზმულობა. უფრო მაგრად დავარტყათ თვითდინებობის მემარჯვენე-ოპორტუნისტულ განწყობილებას,—ამბობს ამხ. კოსიორი. დაუზოგავად ვებრძოლოთ თვითდინებობის იდეოლოგიას და იმ ადამიანებს, რომელნიც გულუბრყვილოთ ფიქრობენ, რომ პარტიის წინაშე მდგარი ყველა ბუმბერაზული ამოცანების გადაჭრა შეიძლება მედგარი ბრძოლის გარეშე, თვითდინებობის წესით. პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა განაგრძოს შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე და მტკიცედ გაატაროს ბოლშევიკური გენერალური ხაზი, რომლის განსახიერებას ჩვენში, პარტიაში წარმოადგენს ამხ. სტალინი.

ხუთწლედის დამლევისათვის უკრაინამ უნდა მოგვცეს 11 მილიონი ტონა თუჯი და 120 მილიონი ტონა ქვა-ნახშირი. ეს საუცხოო ციფრები იწვევენ ენტუზიაზმს. ეს ციფრები,—ამბობს ორატორი,—მოითხოვენ პარტიის და მუშათა კლასის ძალღონის დაძაბვას. თვით დიდი საწარმოებიც, რომლებიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა, ჩვენი ახალ ბუმბერაზებთან შედარებით შინაწარმოების საწარმოებად მოსჩანან. მრავალი ახალი მილიონი თუჯის ამოღების მოწყობა ნიშნავს ჩვენი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის უკეთ მოწყობას. საჭიროა ახალი ტეხნიკა, შრომის დიდი ნაყოფიერება, დისციპლინა და მუშათა კლასის უფართოესი მასების კულტურულ-ტეხნიკური აღზრდა. უნდა აღვზარდოთ სოფლიდან მოსული ახალი მუშების მრავალრიცხოვანი კადრები. ამ ამოცანების გადასაჭრელად ბოლშევიკურმა პარტიამ მედგრად უნდა იბრძოლოს და იმუშაოს.

ამხ. კოსიორი აშუქებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოსპობის პრობლემას და აღნიშნავს, რომ მეორე ხუთწლედი დიდ სიმაღლეზე ასწევს ჩამორჩენილი ნაციონალური რაიონების კულტურულ - სამეურნეო დონეს.

ორატორი დაწვრილებით ჩერდება კოლმეურნეთა სოციალისტური აღზრდის ამოცანაზე. უკრაინაში კოლექტივიზებულია ღარიბ-საშუალო მეურნეობათა დაახლოვებით 80 პროცენტი. მაგრამ კოლმეურნეთა სოციალისტური აღზრდა მხოლოდ ახლა დაიწყო. მედგარი მუშაობა კოლმეურნეთა კულტურულ - პოლიტიკური აღზრდისათვის გაგვიადვილებს ბრძოლას კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა გაშლისათვის.

ამხ. კოსიორი შემდეგ მთელი სიძლიერით აღნიშნავს მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანას და ჩერდება საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხებზე. ორატორი თავის სიტყვას ამთავრებს მოწოდებით, რომ რაც არ უნდა დაგვიჯდეს შევასრულოთ 1932 წლის პროგრამა. ლენინური პარტიის დროშით დავრაზმოთ უფართოესი მასები ქვა-ნახშირისა, ლითონისა, ტრანსპორტისა, ბოლშევიკური მოსავლისათვის საბრძოლველად და უზრუნველვყოთ გენერალური ხაზის ახალი გამარჯვება. ამხ. კოსიორის უკანასკნელი სიტყვები ტაშით იფარება.

ამხ. კამინსკი

ამხ. კამინსკი (მოსკოვი) თავის სიტყვას იწყებს მოსკოვის მრეწველობის უდიდესი ზრდის დახასიათებით. 1932 წელს მოსკოვის მრეწველობა გამოუშვებს 8 მილიარდი მანეთის პროდუქციას, ე. ი. იმდენსავეს, რამდენსაც იძლეოდა რევოლუციის წინადროინდელი მეფის რუსეთის მთელი მრეწველობა. მოსკოვის ოლქის სამეურნეო მშენებლობის მთელ რიგ ამოცანებმა თავის გამოხატულება უნდა ჰპოვოს სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიან გეგმაში (სათბობი მრეწველობის განვითარება, ენერგეტიული ბაზის შემდგომი განმტკიცება). მოსკოვის მახლობელი ქვანახშირის ბაზაზე საჭიროა გაშლილ იქნას მძლავრი ქიმიური მრეწველობა. საქალაქო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდესი გაქანება (მეტროპოლიტენი, საბინაო მშენებლობა და სხვა) იწვევს მრეწველობის ახალი დარგების გაჩენას: ავტობუსების ქარხნები, გასათბობი ხელსაწყოები, მოწყობილება პურის ცხობისათვის, საზოგადოებრივი კვების საწარმოთათვის.

სოციალიზმის სოციალისტური ბაზა,—ამბობს ამხ. კამინსკი, — არაჩვეულებრივად გაიზარდა. მუშათა კლასის მტკიცე დასაყრდენობი მიეცა სოფლად, მაგრამ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობას ჯერ კიდევ არ მოღებია ბოლო. კულაკურმა ტენდენციებმა კოლმეურნეობებში და ბურჟუაზიულმა ტენდენციებმა საბჭოთა მეურნეობებში. უკანასკნელი წლის გამოცდილების საფუძველზე გვიჩვენეს ჩვენ, რომ ამოცანა პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერებისა, განწირულია და ამ ნიადაგზე სასოწარკვეთილებამდე მისული კლასების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ამოცანა არავითარ შემთხვევაში არ შესუსტებულა. კულაკური გავლენა და წვრილბურჟუაზიული სტიქია ჯერ კიდევ დიდ სიცოცხლის ნიშნებს იჩენს. ამიტომ არავითარ შერბილებას, არავითარ ლიბერალიზმს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მით უმეტეს, რომ საკითხი „ვინ—ვის“ საერთაშორისო მასშტაბით ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი.

ჩვენმა პარტიამ მოიპოვა გამარჯვება სწორედ იმიტომ, რომ იგი ლენინური შეურიგებლობით აწარმოებდა ბრძოლას ორ ფრონტზე—როგორც ტროცკიზმთან, რომელიც უარყოფს თვით სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას ერთ ქვეყანაში, ისე მემარჯვენეების წინააღმდეგ, რომლებიც თავისი კულაკური პოლიტიკური ხაზით ქმნიდენ კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხეს. მემარჯვენე ოპორტუნისტები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ტემპების წინააღმდეგ, ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნის წინააღმდეგ, კულაკურ დაწოლის წინააღმდეგ, „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი გამოხატულებას პოულობს გადახვევებში საშუალო გლეხობის მიმართ, კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცების უგულებელყოფაში, მასიური მუშაობის შეცვლაში ადმინისტრატიული იძულების ზომებით.

დავრაზმოთ მასები მეორე ხუთწლედში გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად კაპიტალიზმის ნაშთების ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში—წაგლეჯის, უთაურობისა და წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ. განვაგრძოთ შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც რჩება მთავარ საფრთხედ მიმდინარე ეტაპზე და აგრეთვე „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მხოლოდ ბრძოლის წარმოებით, პარტიის გენერალური ხაზისათვის, კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლით ჩვენ შევსძლებთ ამ საბრძოლო ამოცანების შესრულებას, რომელნიც დაკავშირებული არიან მეორე ხუთწლიან გეგმასთან.

ამხ. უნშლიხტი

მეორე ხუთწლედში—ამბობს ამხ. უნშლიხტი,—წარმოების ყველა პროცესის მექანიზაციასთან ერთად, მძლავრად უნდა განვითარდეს ქიმიზაცია. მხოლოდ ქიმიის საშუალებით გამოვიყენებთ მაქსიმალურად სოციალისტური მრეწველობის ყველა ნარჩენებს და ნაყარს. აგროქიმიის გამოუყენებლად შეუძლებელია მოსავლიანობის გადიდება და სამომხმარებლო რაიონების გადაქცევა მწარმოებელ რაიონებად. საბჭოთა კავშირის მდიდარი ტყეები ქმნიან პირობებს ხე-ტყის ქიმიის მძლავრი განვითარებისათვის. ამხ. უნშლიხტი მოკლედ ეხება ქიმიური მრეწველობის ეხლანდელ მდგომარეობას და მის პერსპექტივებს ბობრიკის, ბერეზნიკის, მაგნიტოგორსკის ქიმიურ-საკოქსო დადგმულობათა და კუზნეცკშინის ახლო ხანში ამუშავებასთან დაკავშირებით.

თუ უკან მოვიხედავთ,—ამბობს ამხ. უნშლიხტი—და რევოლუციის პირველი წლების ნგრევასა და სილატაკეს შევადარებთ იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია პარტიამ ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, უნდა ვთქვათ, რომ გზის უძნელესი ნაწილი უკან დავტოვეთ. მეორე ხუთწლედის შესრულება უზრუნველყოფილია.

ამხ. ოსინსკი

პირველ ხუთწლედს,—ამბობს ამხ. ოსინსკი,—ახასიათებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება. მეორე ხუთწლედი წარმოადგენს სოციალიზმის აშენების გეგმას. მესამე ხუთწლედი, ალბად იქნება უმაღლესი ფაზის—გაშლილი კომუნიზმის დასაწყისი. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდება პარტიის პროგრამის გადამუშავება რათა უფრო ფართოდ გაიშალოს ყველა ის დებულებანი, რომლებიც ეხება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პრობლემებს. მოცემული დირექტივები ხუთწლედის შესადგენად, ამხ. ოსინსკის აზრით, წარმოადგენენ მხოლოდ სახელმძღვანელო ვარიანტს. ამ ვარიანტის მთავარ ლიმიტს წარმოადგენს 22 მილიონი ტონა თუჯის გამოდნობა 1937 წელს. ეს ციფრი, ამხ. ოსინსკის აზრით, აუცილებლად უნდა გადიდდეს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საჭიროა რკინის გზ. ტრანსპორტის დაჩქარებით განვითარება. ამ დარგში ჩვენ ძალზე ჩამოვრჩით. ამიტომ გვერდს ვერ ავუხვევთ რკინის გზის ქსელის საგრძნობლად გაფართოებას. საჭირო იქნება საავტომობილო ტრანსპორტის პროექტის გაფართოებაც.

შემდეგ ამხ. ოსინსკი პარტკონფერენციის ყურადღებას მიაქცევს ყველა სახის კავშირგაბმულობის, განსაკუთრებით რადიოსა და შორსხედვის განვითარების საჭიროებას. დაზგების მშენებლობის დარგში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს რთული ავტომატების წარმოებას.

დასასრულ ამხ. ოსინსკი შეჩერდა მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების ამოცანებზე. ამხ. ოსინსკი უერთდება იმ ორატორებს, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ კლასობრივი ბრძოლის არავითარი შესუსტება არ არის მოსალოდნელი მეორე ხუთწლედში. გამარჯვებისათვის საჭიროა ისეთივე სწორი და საიმედო პარტიული ხელმძღვანელობა, როგორიც იყო პირველ ხუთწლედში.

ამხ. ბარანოვი

ავიამრეწველობის მდგომარეობიდან ამხ. ბარანოვი აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს, როგორიცაა, მაგალითად, ცენტრალური აერო-ჰიდროდინამიური ინსტიტუტის მიერ ხუთმოტორიანი სამგზავრო ჰაეროპლანის აგება (40 მგზავრისათვის), რომლის ბადალიც ხარისხის მხრით არ მოიპოება მთელს მსოფლიოში, საწვავი მასალის საგრძნობლად შემცირება და სხვ. მაგრამ ეს მიღწევები არ კმარა. სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს შეუპოვარ მუშაობას ავიამშენებლობისა და საავიაციო ტეხნიკის რაც შეიძლება მალე დაუფლების დარგში. (ატს).

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მორიგ ღონისძიებათა შესახებ

(საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება)

მოსკოვი, 6 თებერვალი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ კოლმეურნეობების ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების ამოცანა ამჟამად წარმოადგენს, პირველ ყოვლისა, კოლმეურნეობათა **საარტელო** ფორმის განვითარებისა და განმტკიცების ამოცანას. ამასთანავე ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეობათა საარტელო ფორმიდან კომუნაზე გადასვლის ხელოვნურად დაჩქარების ცდები კოლმეურნეობათა განვითარების ეხლანდელ სტადიაში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ცენტრალური კომიტეტი მიუთითებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს აღნიშნულ საფრთხეზე, ე. ი. იმ სასოფლო - სამეურნეო არტელის ფორმაზე **გადახტომის** საფრთხეზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გაშლილი და განმტკიცებული.

გაზაფხულის თესვის კამპანიის მზადებასთან და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით — ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს შემდეგ მორიგ ამოცანებს, კოლმეურნეობათა იმ საარტელო ფორმის ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების სფეროში, რომელიც ეხლანდელ სტადიაში წარმოადგენს **გაბატონებულ** ფორმას.

1) კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს რგოლად უნდა გადაიქცეს **ბრიგადა**. საუკეთესო სასოფლო - სამეურნეო არტელების გამოცდილების მიხედვით ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობა კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობით იმგვარად, რომ, როგორც წესი, ასეთი ბრიგადები ასრულებდენ ყველა ძირითად სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებს მთელი წლის განმავლობაში მიწის განსაზღვრულ ნაკვეთებზე. ამ ბრიგადებისთვის მათი მუშაობის განმავლობაში კოლმეურნეობა გამოჰყოფს საჭირო მანქანებს, ინვენტარს და მუშა - საქონელს, რომელთა მდგომარეობისათვის სავსებით პასუხისმგებელია ბრიგადა. კოლმეურნეთა შრომა - დღის შეფასება უნდა გადიდებულ და შემცირებულ იქნას იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით მუშაობს ბრიგადა. ამავე დროს, ასეთი ბრიგადების შექმნა არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ბრიგადებს მიწის ნაკვეთები დასამუშავებლად გადაეცეს (ადგილობრივ პირობებთან, კოლმეურნეობის სიდიდესთან და მის ორგანიზაციულად მოწყობასთან შეფარდებით) არა მთელი სასოფლო - სამეურნეო სეზონის განმავლობაში, არამედ სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა (ხვნა, მოსავლის აღება) მხოლოდ ცალკე პერიოდში. **ბრიგადირების** შერჩევა, მათი შემადგენლობის ცვალებადობის აღმოფხვრა, ბრიგადირებისათვის ნამდვილი დახმარების გაწევა მათი სამეურნეო და პოლიტიკური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში — უნდა გადაიქცეს პარტიული ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანად.

2) ფართოდ უნდა გავრცელდეს უკვე გასულ წელს საუკეთესო კოლმეურნეობებში შემოღებული პრაქტიკა — ბრიგადირთა შრომის ანაზღაურება ბრიგადების მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით.

ბრიგადირის პასუხისმგებლობის გადიდება, მისთვის მთელ რიგ ფუნქციების გადაცემა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ხაზით უნდა ხდებოდეს კოლმეურნეობის იმ საერთო ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებასთან ერთად, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში მეტის - მეტად გაიზარდა.

3) კვლავ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება საბჭოების მე-6 ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულება, რომლებიც შეეხება **სანარდო სისტემის დანერგვას**, აღრიცხვის გაუმჯობესებას, თვითეული კოლმეურნის შრომის შეფასებას შრომა - დღეობით მის მიერ შესრულებული მუშაობის, რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ამავე დროს **ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს** ორგანიზაციებს, არ დაუშვან სანარდო სისტემის ფორმების გადაჭარბებით გართულება, სანარდო სისტემის ინდივიდუალური ფორმებით გატაცება იქ, სადაც ამას არ მოითხოვს წარმოების პირობები (მაგალითად ხვნასა და გალეწვაში), კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფულად ხელფასზე გადაყვანის ცდები, კოლმეურნეობათა გამგეობების მუშაობის შეცვლა ადმინისტრატიული მეთოდების გამოყენებით პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრით სხვადასხვა ფონდში გადასარიცხ თანხების იმ რაოდენობის გადამეტება, რომელიც გათვალისწინებულია სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით.

4) ფართოდ უნდა გავრცელდეს **მეცხოველეობის საუკეთესო საკოლმეურნეო ფერმების** გამოცდილებაზე შემოწმებული პრაქტიკა — ბრიგადაში მომუშავე კოლმეურნეების მიერ ცხოველების საზღვრითი ჯგუფის მოვლა, იმ პირობით, რომ **მეცხოველეობის ბრიგადის** და მასში შემავალი კოლმეურნეების შრომის ანაზღაურება ხდებოდეს მათი მუშაობის შედეგების მიხედვით (მოცემული რძის რაოდენობა, ახალგაზრდა პირუტყვის მომატება წონაში, ნამრავლის რაოდენობა და სხვ.).

5) ცენტრალური კომიტეტი პარტიულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად სთვლის მუშაობას **საკოლმეურნეო აქტივის**—დამკვრელ კოლმეურნეთა, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა, ბრიგადირთა და სხვ. დაწინაურებისა და აღზრდისათვის. ადგილობრივი ორგანიზაციები საკოლმეურნეო აქტივს უნდა ეყრდნობოდენ ისეთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების დროს, როგორიცაა ბრძოლა მოსავლიანობისათვის, პურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის, კოლმეურნეთა სოციალისტურ აღზრდისათვის და სხვ.

6) კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცებისა, საკოლმეურნეო აქტივის შექმნისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოებულ მთელს მუშაობაში განსაკუთრებით დიდია **სამანქანო-სატრაქტორო სადგურების** როლი და მნიშვნელობა.

ამასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს, გააძლიერონ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მიმართ ყოველდღიური დახმარება და მათი მთელი სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, მე დავკმაყოფილდები მეტად მოკლე საბოლოო შენიშვნებით. კამათმა დაგვანახვა, რომ კონფერენციაზე საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის თეზისები არ საჭიროებენ დაცვას. ამ თეზისებს კონფერენციამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. მართალია ცალკე ამხანაგები თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდენ, რომ ზოგიერთი სამეურნეო ვარაუდები მეორე ხუთწლედის დირექტივებში შესაძლებელი და საჭიროც იყო გაგვედიდებია. მაგრამ მაინც არავითარი კონკრეტული წინადადება შემოტანილი არ ყოფილა. ცხადია, რომ თვით გეგმის დამუშავების დროს მოგვიხდება უფრო ვრცლად განვიხილოთ მეორე ხუთწლედის ცალკე დავალებანი და მაჩვენებლები.

გარდა ამისა, ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ ამხ. მირზოიანის გამოსვლა იმ ნაწილში, რომელიც ეხება ურალის შავ მეტალურგიას. ამხ. მირზოიანმა, ამხ. კუიბიშევის მიერ მოყვანილ იმ ცნობების საპასუხოდ, რომლებიც ეხება ურალის მეტალურგიისათვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ვარაუდებს მეორე ხუთწლედში, მხარი დაუჭირა აღნიშნულ დავალებათა გადიდებას. მან წამოაყენა წინადადება ურალელების საწარმოო პროგრამის შესახებ თუჯის დარგში 5 წლედის დამლევისათვის. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვუსურვოთ, რომ ამხ. ურალელებმა ნამდვილად შეასრულონ თავისი დაპირება, ხოლო მანამდე კი, უკვე 1932 წელს, მიაღწიონ ურალის მეტალურგიისათვის დასახული პროგრამის მთლიანად შესრულებას. მე არ შევჩერდები იმ შენიშვნებზე, რომლებიც გაკეთებული იყო მეურნეობის ცალკე დარგების მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ, კერძოდ მრეწველობის შესახებ, არ დამჭირდება აგრეთვე ცალკე უდიდეს სამეურნეო პრობლემათა საკითხის განხილვა მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით.

მაგრამ საკმარისია აღვნიშნოთ გამოსვლები ისეთ უდიდეს სამეურნეო პრობლემებზე, როგორიცაა: კურსკის ანომალია—ამხ. ვარეიკისი, მეტალურგიული რაიონი—ამხ. ხატაევიჩი, კარაგანდა—ამხ. გოლოშჩეკინ ურალის მეტალურგია—ამხ. მირზოიანი—სტალინგრადის ჰიდროელექტრო სადგური—ამხ. პტუხა, ჩრდ. ტყე—ამხ. ლიტვინოვი, ანგარის ჰიდროსადგური—ამხ. კრიშტალის, რათა ვაღიაროთ, რომ რიგში სდგას მთელი წყება ნამდვილად უმნიშვნელოვანეს სამეურნეო ამოცანების დამუშავება ცალკე რაიონებში, რომლებთაც სრულიადაც არა აქვთ რაიონული მნიშვნელობა. მაგრამ ეხლა ნაადრევი იქნებოდა გვეთქვა რამე საბოლოო ამ საკითხებზე ერთი რამ უდაოა, ამხანაგ მეჟლაუკის შენიშვნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორე ხუთწლედში საწარმოო ძალთა განაწილების საკითხს, აუცილებლად სწორია. ამაზე ჩვენ ეხლა მოგვიხდება სერიოზულად მუშაობა, როგორც ადგილებზე, ისე ცენტრში.

მთელი რიგი ორატორები თავიანთ გამოსვლებში დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის მდგომარეობას და ჩვენს ამოცანებს სოფლის მეურნეობის დარგში. ამის შესახებ აქ ვრცლად ლაპარაკობდენ ამხ. შებოლდაევი, ხატაევიჩი, ეიხე და სხვები. მე მოვიყვან მხოლოდ ორიოდე შენიშვნას ამ საკითხზე. სოფლად პარტორგანიზაციის მუშაობაში, კერძოდ საკოლმეურნეო მშენებლობაში, ქალაქისა და სოფლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ პრინციპიალობა და გარკვეულობა ბოლშევიკური გეზებით. აქედან აგრეთვე გამომდინარეობს ის პრაქტიკული დასკვნა, რომ სოფელში, სადაც განსაკუთრებით უნდა გაეწიოს ანგარიში მასების ჩამორჩენილობას, სოციალიზმის გზების და საფეხურების თავისუფლებას, განსაკუთრებით საშიშია შაბლონი და ნაჩქარევი დაპირებების მიცემა.

ამრიგად—ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა კოლმეურნეობაში არსებულ გაუპიროვნებასთან. მაგრამ ამ ბრძოლის გატარებას საკოლმეურნეო მშენებლობაში დიდი თავისებურებანი აქვს. პარტია ამიტომ ხაზს უსვამს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის არსებულ განსხვავებას, რომ ის, რაც ჩვეულებრივ წარმატებით ხორციელდება საბჭოთა მეურნეობებში და საერთოდ სახელმწიფო-სოციალისტურ საწარმოებში, არ უნდა იქნას გადატანილი ხელაღებით და უცვლელად კოლმეურნეობებში. ეს შენიშვნა აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში კოლმეურნეობებში გაუპიროვნებასთან ბრძოლის დროს. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ კოლმეურნეობებში გაუპიროვნებასთან ბრძოლის დროს წარმოების საშუალებათა მიმართ (მიწის ნაკვეთი, ცხენი), ანგარიში გაუწიონ ისეთი გადაწყვეტილებათა გამოტანის თავიდან აცილებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ წვრილ კერძო-მესაკუთრეობრივ განწყობილებების გაძლიერებას და რომლებიც, მაშასადამე, გამოიწვევენ კოლმეურნეობის დანგრევას. პარტია ხაზს უსვამს სამეურნეო ორგანოებსა, საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის გატარების მნიშვნელობას. და ამ შემთხვევაშიც კოლმეურნეობათა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას თავისი განსაკუთრებული საზომი. საქმე ისაა, რომ კოლმეურნეები—სრული ბატონ-პატრონი არიან თავისი არტელის, აქედან—ამ შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ — გამომდინარეობენ განსაკუთრებული დასკვნები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნან სახელმწიფო - სოციალისტური საწარმოთა მიმართ. აქედან, როგორც ცნობილია, ერთის მხრით გამომდინარეობს ის, რომ კოლმეურნეობის მთელი დამატებითი შემოსავალი (მაგ., კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საჭირო სპეციალურ ზომების მიღების შედეგად) წარმოადგენს კოლმეურნეების და მთელი კოლექტივის სრულ საკუთრებას. ხოლო მეორეს მხრით იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობამ, ამა თუ იმ მიზეზების შედეგად (მაგ. მოსავლის ცუდად აღება) დაჰკარგა თავისი შემოსავლის ნაწილი, ესეც მთლიანად ეხება კოლმეურნეებს და მხოლოდ მათ კოლმეურნეობას. რასაკვირველია, ამ დებულებაში შემდეგ შეტანილი იქნება მრავალი კერძო შესწორება და დამატებანი, მაგრამ უმთავრესი აქ მაინც მდგომარეობს იმაში, რომ არ შეიძლება გადატანილ იქნას კოლმეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის ის ნორმები, რომლებიც მისაღებია ჩვენი სახელმწიფო საწარმოებისათვის.

სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდე კიდევ ამხ. ვარეიკისის გამოსვლაზე. თავის სიტყვაში ამხ. ვარეიკისმა აღგვითქვა, რომ სამი წლის განმავლობაში გაასამკეცებს ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის მოსავლიანობას. მან წინადადებაც მისცა უკრაინელ ამხანაგებს—მიიღონ მონაწილეობა სოცშეჯიბრებაში. ჩვენ ყოველნაირად უნდა მივესალმოთ ამხ. ვარეიკისის ინიციატივას ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ეს ოლქი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პურის რაიონია. ამ რაიონში მოსავლიანობის გადიდების საკითხი, და, რასაკვირველია, სხვა რაიონებშიაც, უაღრესად საჭირბოროტო საკითხია და საქმის სათანადოთ დაყენების დროს მას შეიძლება ექნეს სერიოზული ნიადაგი. ჩვენ ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქის ამხანაგების ინიციატივას ამ საქმეში. ვიქონიოთ იმედი, რომ ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში მომუშავე ამხანაგები როგორც საჭიროა, ისე მოკიდებენ საქმეს ხელს და როგორც საჭიროა, ისე წასწევენ მას წინ.

ამხანაგი ვარეიკისი ლაპარაკობდა აგრეთვე იმის შესახებ, რომ ორიოდე წლის შემდეგ ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქისაგან შესაძლებელია მოველოდეთ 7 მილიონ ღორს. ჩვენ ამასაც ყოველნაირად უნდა მივესალმოთ. ჩვენ უფრო მეტად მივესალმებით ამ განცხადებას თუ ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქის მუშაკები არა მარტო დაგვპირდებიან რამდენიმე მილიონი ღორის მოცემას რამდენიმე წლის შემდეგ, არამედ უკვე მიმდ. წელსაც გააკეთებენ ყველაფერს, რაც კი შეიძლება, ჩვენი მუშათა ცენტრების ხორცით (ღორის ხორცით) მომარაგების საქმის სათანადოთ დაყენებისათვის.

ამაში—მეღორეობის გაძლიერებით განვითარებაში—მდგომარეობს ყველა ოლქებისა და რაიონების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ნება მომეცით ეხლა შევჩერდე მეორე ხუთწლედის თეზისებზე დამატებაზე, კონფერენციის პრეზიდიუმში შემოვიდა ფერადი მეტალურგიის მუშაკთა ერთი ჯგუფის განცხადება, ამ მუშაკებმა უფრო ზუსტად და ვრცლად ჩამოაყალიბეს თეზისების ის ნაწილი, რომელიც ეხება ფერად მეტალურგიას. რასაკვირველია, არ შეიძლება გვქონდეს ამ წინადადების საწინააღმდეგო. ამავე დროს ყველა ძირითადი უფრო მოკლე ფორმით უკვე ნათქვამია, თვით თეზისებში, ამიტომ, ჩემის აზრით, რეზოლუციის ამ ნაწილის შეცვლის საკითხი უნდა მოიხსნას. მიუხედავად ამისა, მე მაქვს რეზოლუციის ექვსი დამატება. ჩემის აზრით, ისინი უდაოა, ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო ეს დამატებები, პირველი დამატება:

მეორე თავის პირველი პუნქტის წინ აბზაცში პირველი ფრაზა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგნაირად: „პარაზიტული კლასობრივი ელემენტების ლიკვიდაციის და იმ სახალხო შემოსავლის საერთო ზრდის საფუძველზე, რომელიც მთლიანად გადადის მშრომელთა განკარგულებაში, უნდა მიღწეულ იქნას მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის უფრო სწრაფი ზრდა და ამასთან საბჭოთა კავშირის მთელი საბინაო და კომუნალური საქმის გადაჭრით გაუმჯობესება“.

ამრიგად, აქ შემოგვაქვს დამატება, საბინაო და კომუნალური საქმის შესახებ. მეორე დამატება:

პუნქტი „ე“-ს შემდეგ შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება: „წვრილი შინამრეწველობის ხაზით, სარეწაო კოოპერაციამ საგრძნობლად გააძლიეროს ფართო მოხმარების საგნების წარმოება და იმ სარეწაოებისა და საწარმოების გაშლა, რომლებიც ემსახურებიან სოციალისტურ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, წვრილი შინამრეწველობის კოოპერატიულად გაერთიანების საფუძველზე“.

მესამე დამატება. მეორე თავში მეორე პუნქტის ბოლოს შეტანილ იქნას ასეთი დამატება: „მოსახლეობის წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობის განხორციელების ყოველმხრივი დაჩქარება, ტეხნიკური განათლების მთელი საქმის სწრაფად წინწაწევა და სახელმწიფოს მიერ საბჭოთა კავშირის მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო მატერიალური დახმარების გაძლიერება—ასეთია ის უახლოესი ამოცანები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საერთო ამოცანების შემადგენელ ნაწილს.

მეოთხე დამატება:—საბოლოო ნაწილში აბზაცის შემდეგ დამატებულ იქნას: „ეს ნიშნავს, რომ მომავალშიაც აუცილებელია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ცალკე მომენტებში, და განსაკუთრებით ცალკე რაიონებსა და სოციალისტური მშენებლობის ცალკე დარგებში, რაც ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავს მშრომელთა ცალკე ფენებსა და ჯგუფებს შორის ბურჟუაზიული გავლენის შენარჩუნებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი ამ გავლენის გაძლიერების აუცილებლობას, მუშათა წრეში და თვით მის პარტიაშიაც პროლეტარიატისათვის უცხო კლასობრივი გავლენის კიდევ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემოჭრის აუცილებლობას, ამის გამო პარტიის წინაშე სდგას პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების და ოპორტუნიზმს, განსაკუთრებით კი მემარჯვენე გადახრის, როგორც ამ ეტაპზე მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაშლის ამოცანა“.

მეხუთე დამატება. ეს დამატება ეხება რეზოლუციის პროექტის უკანასკნელის წინა აბზაცს, რომელიც საბოლოო სახით უნდა იკითხებოდეს ასე: „საკ. კ. პ. (ბ) მე-17 პარტკონფერენცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მეორე ხუთწლედის ძირითადი დავალებანი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც იქნება შესრულებული, რომ შესაფერისად უზრუნველყოფილ იქნება ნამდვილი კონკრეტული სამეურნეო ხელმძღვანელობა და ბიუროკრატიზმთან გადამწყვეტი ბრძოლა მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების მხრით, რაც საჭიროა მეორე ხუთწლედის ამოცანების განხორციელებისათვის, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ და რომ დღითი-დღე გაიზრდება სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მონაწილეთა რიგები“.

მეექვსე დამატება: ბოლოს, რეზოლუციის დასასრულს დაემატოს ახალი აბზაცი, სახელდობრ შემდეგი: „კონფერენცია საჭიროდ სცნობს დაუყოვნებლივ გაშლილ იქნას პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობა მეორე ხუთწლიანი გეგმის საჩქაროდ დამუშავებისათვის და წარედგინოს იგი პარტიის მორიგ ყრილობას დასამტკიცებლად“.

ჩემის აზრით, არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რამდენად საჭირო და უდაოა ეს დამატებები.

თეზისების დამუშავებამ გვიჩვენა, რომ კონფერენცია სრული ერთსულოვნებით ეპყრობა იმ ახალ ამოცანებს, რომლებიც დგება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე მეორე ხუთწლედში. პარტია და მუშათა, მშრომელთა და გლეხთა ფართო მასები უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს, სოციალიზმის აშენების ამოცანებს. ეს იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ მეორე ხუთწლედის ჩვენი ვარაუდები მეორე ხუთწლედისათვის უნდა გახდეს ჩვენი ამოცანათა მინიმუმად უახლოეს 5 წელიწადში. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს დავრაზმოთ მუშათა კლასი და სოფლის მშრომელთა ფართო მასები აქტიური ბრძოლისათვის აღნიშნული პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მეორე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულება, ჩვენ უკვე ეხლა—მიმდინარე წელსვე უნდა ჩავყაროთ ბოლშევიკური საძირკველი.

ამხ. კოსიორი უსათუოდ მართალი იყო, როდესაც მან სთქვა, რომ მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულება საგრძნობლად იქნება დამოკიდებული იმისგან, თუ როგორ ვიმუშავებთ ჩვენ 1932 წელს. ამ მხრივ ეხლანდელმა კონფერენციამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს, თავისი გადაწყვეტილებით იგი ლენინის პარტიის ირგვლივ შემოამჭიდროებს მუშათა კლასს და კოლმეურნეთა ფართო მასებს ჩვენი საქმის სრული გამარჯვების,—სოციალიზმის საქმის გამარჯვების უზრუნველსაყოფად. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაიხსნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმი

მოსკოვი, 8 თებერვალი. 7 თებერვალს გაიხსნა მე-16 პარტყრილობის მოწვევის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მე-4 პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

სახალხო - სამეურნეო გეგმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანები საგაზაფხულო თესვის მომზადებასა და ჩატარებაში.

სარაიონო საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობის შესახებ.

სახალხო - სამეურნეო გეგმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. რუძუტაკმა (ადს).

1932 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მზადების შესახებ

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის, უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის, ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის, უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკის, თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკის, ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს.

მოსკოვი, 8 თებერვალი. ხუთწლედის მეოთხე, დამამთავრებელ წელში საბჭოთა კავშირი შედის უდიდესი მიღწევებით. სოციალისტურ სექტორს უკავია გადამწყვეტი უპირატესი მდგომარეობა არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიაც. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ყველა გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტი და განსაზოგადოებულია მთელი სათესი ფართობის 79 პროცენტი. ამ მიღწევებმა უზრუნველჰყვეს შესაძლებლობა დაგვესახა წელს გრანდიოზული ამოცანები, რომლებშიაც გამოხატულება ჰპოვეს საკავშირო ცაკის მეორე სესიის მიერ 1932 წლისათვის მიღებულ სახალხო - სამეურნეო საკონტროლო ციფრებში.

საკონტროლო ციფრები სახავენ უდიდეს ღონისძიებებს საწარმოო ძალების შემდგომი სწრაფი განვითარების დარგში და სოფლის მეურნეობაში, რომლის გარდაქმნა სწარმოებს სოციალისტურ საფუძველზე. სოციალისტური მრეწველობის მძლავრი განვითარების ბაზაზე, რაც უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობის ტეხნიკური შეიარაღების უაღრესად გაძლიერებას და კოლმეურნეობათა საორგანიზაციო - სამეურნეო განმტკიცებას, მივდივართ მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებისაკენ, განზრახული გვაქვს უდიდესი გარდატეხის მოხდენა მოსავლიანობის გადიდებისა და სოფლის მეურნეობის სახაქონლო პროდუქციის ზრდის საქმეში.

ამ ამოცანის გადაჭრაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას 1932 წელს.

საკავ. ცაკის პრეზიდიუმი მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა თავის დროზე და ხარისხობრივად უფრო დამაკმაყოფილებელი მომზადება ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდისათვის სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში და კამპანიის ოპერატიულ კონკრეტულ ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესება საბჭოების მხრით.

გასულ წლების თესვის კამპანიების ჩატარების უმთავრეს დეფექტებს წარმოადგენდა:

ა) გაზაფხულის თესვის გეგმების დაგვიანებით დამუშავება;

ბ) ტეხნიკური საშუალებების არა თავის დროზე მომზადება კამპანიის ჩასატარებლად (მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალა, სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი და სხ.).

გ) სრულიად არასაკმაო ყურადღება აგრო - კულტურულ ღონისძიებებისადმი, სუსტი ბრძოლა მუშაობის ხარისხისათვის, კარგი ხარისხის მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში:

დ) თესვის ვადების გაჭიანურება;

ე) სამეურნეო ანგარიშის არასაკმაოდ დანერგვა საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში, მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია შრომის აღრიცხვის ხაზით კოლმეურნეობებში

იმ მიზნით, რომ 1932 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს აღმოფხვრილ იქნას ყველა აღნიშნული ნაკლოვანებები და დროზე იქნას განაწილებული ყველა ძალები, საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა ცაკებს:

1. დაუყოვნებლივ დაამუშაონ და დაუგზავნონ ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებს, საოლქო, სამხარეო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და სოფლის საბჭოებს მტკიცე ვადებით განსაზღვრული კონკრეტული მითითებანი მათის მხრით ღონისძიებათა მისაღებად კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ გაზაფხულის თესვის გეგმები საბოლოოდ იქნას დამტკიცებული და დაგზავნილი ადგილებზე — რაიონებს და სოფლის საბჭოებში არა უგვიანეს 20 თებერვლისა.

2. გაზაფხულის თესვის ჩატარების შესახებ დირექტივების დამუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

ა) კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებას თესვისათვის მომზადებისა და მის ჩატარების პროცესში და საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის 1931 წლის 2 აგვისტოს დირექტივის შესრულების უზრუნველყოფას (შრომის წესიერი ორგანიზაცია. შრომა-დღეების სავსებით შემოღება, საფინანსო მეურნეობის აღრიცხვის მოწესრიგება კოლმეურნეობებში. შრომის დისციპლინის განმტკიცება, ხანარდო მუშაობის შემოღება. ბრძოლა გაუპიროვნებასთან, გათანაბრებასთან და სხვ.).

ბ) ყურადღების გადიდებას ინდივიდუალურ მეურნე. ღარიბ-საშუალო გლეხთა მიერ თესვის ჩატარებისადმი, პირობების უზრუნველყოფას მათ ჩასაბმელად კოლმეურნეობებში.

გ) მიწათმოწყობის სამუშაოთა დროზე დამთავრებას (მთელი სასოფლო - სამეურნეო ინვენტარისა და გამწევი ძალის აღრიცხვა და მათი მუშაობისათვის მომზადება), ტრაქტორებისა და სასოფლო - სამეურნეო მანქანების შეკეთებას, საწვავი და საზეთავი მასალით, სათადარიგო ნაწილების უზრუნველყოფას და სხვ..

დ) სათესლე მასალით უზრუნველყოფას, დროზე დახარისხებას, თესლის შეწამვლასა და გაწმენდას;

ე) აგროკულტურულ ღონისძიებათა გულდასმით გატარებას მოსავლიანობის გადიდებისათვის ხელის შესაწყობად, ვ) მუშახელის დროზე შეგროვების ორგანიზაციას საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებისათვის, ურთიერთ დახმარებას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის.

ზ) მუშა-ხელის მომზადებასა და გადამზადებას, განსაკუთრებით მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადება - გადამზადებას საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში.

თ) მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენა მუშაობის გარდაქმნაში და მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილებათა შეფარდებით, ახსნა - განმარტებით მუშაობას საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მუშებსა და კოლმეურნეთა და გლეხობის ღარიბ საშუალო მასებს შორის მათ დასარაზმავად გაზაფხულის თესვის მაღალი ტემპებისა და ხარისხისათვის საბრძოლველად (გამოტოვებულია)...

ი) ქალაქის საბჭოების მიერ გაზაფხულის თესვის კამპანიის საჭიროებისათვის შეკვეთების შესრულების შემოწმებას, ტრანსპორტის მზადყოფნის შემოწმებასა და გაზაფხულის თესვისათვის აღმოჩენილი იმ დახმარების სწორად გამოყენებას, რაც მოწესრიგებულად იგზავნება ქალაქიდან.

3. სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლა გამოცდილების გაზიარება მუშაობაში თესვის კამპანიის ჩასატარებლად სასოფლო საბჭოებსა და რაიონებს შორის, აგრეთვე ცალკე კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის და მათში ბრიგადებსა სადეპუტატო ჯგუფებსა და სხვ. შორის.

4. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკების ცაკებს, საოლქო, სამხარეო და რაიონულ აღმასკომებს და სოფლის საბჭოებს — სისტემატიურად შეამოწმონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების და მისი ჩატარების მიმდინარეობა კომისიების და სპეციალური ბრიგადების საშუალებით.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას იმ პი ბით, თუ სათანადო პასუხი მიეცემა კლასობრივი მტრის წინააღმდეგობას და დაუნდობელი ბრძოლა იქნება წარმოებული ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ აღმასკომები და საბჭოები საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადების მუშაობის ბოლშევიკური ტემპებით გაშლით და თავიანთ მუშაობაში ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებით მთლიანად შეასრულებენ საგაზაფხულო თესვის გეგმებს.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე
კალინინი.

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი
ენუქიძე.

მოსკოვი—კრემლი.
1 თებერვალი 1932 წ.

ქრონიკა

პროლეტ. მუსიკოსთა ასოციაციის პლენუმი

10 თებერვალს საღამოს 7 საათზე მუსიკ.-დრამ. ინსტიტუტში იხსნება საქ. პროლეტ. მუსიკოსთა ასოციაციის პლენუმი.

შემოქმედებითი დისკუსია

დღეს, 9 თებერვალს საღ. 7 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება ამხ. შალვა რადიანის მოხსენება („თანამგზავრობა და პოკავშირება") გარშემო კამათის გაგრძელება.

9 თებერვალს 7 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შესდგება მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების წევრთა ღია კრება. მოსმენილ იქნება ბრიგადის ხელმძღვანელის ალ. ერქომაიშვილის მოხსენება ამხ. სიმონ ხუნდაძის შრომების შესახებ. სავალდებულოა დასწრება საზოგადოების ყველა წევრის და ისტორიულ საგნების ყველა მასწავლებლის.

ერთა ლიგა აძლიერებს ჩინეთის გაყოფას

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

ჟენევა, 7 თებერვალი. გუშინ საღამოს ერთა ლიგის საბჭოს ღია სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები წვრილ საკითხებზე, რომლებიც დანციგის და ლიბერიას ეხებოდნენ.

უფრო ადრე შემდგარმა თორმეტის სხდომამ (საბჭოთა მხარეთა მონაწილეობის გარეშე) გამოიტანა გადაწყვეტილება არ დაისვას იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის საკითხი ერთა ლიგის საბჭოს უახლოეს ღია სხდომაზე, რადგან ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიური ნაბიჯები იაპონიის მთავრობის წინაშე, რაც საბჭოს 2 თებერვალს ეცნობა. იუწყებიან, რომ საბჭოს უმრავლესობა აშკარად იმ აზრის ადგება, რომ შანხაის ამბების განხილვა შეუფარდდეს ერთა ლიგის საბჭოს წესდების მე-15 მუხლს (ამ მუხლის მიხედვით ერთა ლიგის საბჭოს შესაძლებლობა აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება ხმის უმრავლესობით დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის გარეშე). მანჯურიის საკითხის განხილვა კვლავ რჩება წესდების მე-11 მუხლის ფარგლებში (ერთა ლიგის წესდების მე-11 მუხლის თანახმად, ერთა ლიგის ყოველ წევრს უფლება აქვს მიმართოს საბჭოს ომის საფრთხის შემთხვევაში).

ჩაპეისა და უსუნისათვის ყუმბარების დაშენა გრძელდება

შანხაი, 7 თებერვალი. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეა რაც გრძელდება ჩაპეიზე ყუმბარების ძლიერი დაშენა, იაპონიის ჯარმა ვერ შესძლო ჩინელთა ნაწილების წინააღმდეგობის დაძლევა. მეომარი მხარეების პოზიციების მდგომარეობა ისევ წინანდელი დარჩა. ღამით განახლდა არაჩვეულებრივი სიძლიერით ყუმბარების დაშენა. როგორც ირკვევა, იაპონელებმა ამუშავეს ახლად მოტანილი შორსმსროლელი, ზარბაზნები. საერთო აზრით, ყუმბარების ეს დაშენა მოასწავებს მომზადებას იაპონიის ჯარის საერთო შეტევისათვის, რომელსაც დღეს მოელიან (ადს).

ტოკიო, 7 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, იაპონელთა აეროპლანებმა განაახლეს ყუმბარების დაშენა ჩაპეიზე.

დილით იაპონიის დესანტმა ავიაციის დახმარებით დაიწყო ოპერაციები, რომელთა მიზანია უსუნის ფორტის ხელში ჩაგდება. (ადს).

სიმბუნ რენგოს ცნობა

ტოკიო, 7 თებერვალი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იტყობინება, რომ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იაპონიის ჯარმა დაიკავა უსუნის სიმაგრე (ადს).

შანხაიში იგზავნება 22 ათასი იაპონელი ჯარისკაცი

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. ვაშინგტონში მიღებულ იქნა ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იაპონიის ორი დივიზია, რიცხვით 22 ათასი ჯარისკაცი, შანხაიში გაიგზავნა.

ტოკიოში მყოფი ამერიკის ოფიციალური პირნი იტყობინებიან, რომ შეუმოწმებელ ხმების მიხედვით იაპონიაში გამოცხადდა საერთო მობილიზაცია.

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. შანხაიში მყოფი ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის ადმირალ ტეილორისგან მიღებული ცნობით, იაპონიის ქვეითი ჯარის ბრიგადა 7 თებერვალს უნდა გადაეცდეს საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიაზე (ადს).

იაპონელი რეზიდენტების ევაკუაცია

შანხაი, 7 თებერვალი. მოხდა ყველა იაპონელი რეზიდენტების ევაკუაცია შანხაიში ხანჯოუდან, სუჯოუდან და ნანკინიდან.

ერთსა და იმავე დროს მოხდა იაპონიის საკონსულოების ევაკუაცია სუჯოუდან და ხანჯოუდან (ადს).

საფრანგეთმა განიარაღების კონფერენციაზე წარადგინა შეიარაღების გადიდების გეგმა

ჟენევა, 6 თებერვალი. განიარაღების კონფერენციის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცეს რეგლამენტის შემმუშავებელი კომიტეტის მოხსენება („კონფერენციის ორგანოების სტრუქტურა"). დადგენილია, რომ იქნება კონფერენციის თავმჯდომარის 14 მოადგილე, მათ რიცხვში უნდა შევიდნენ გერმანიის, ინგლისის, ჩრდილოეთ-ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები და სხვა ქვეყნების 7 წარმომადგენელი (ადს).

საფრანგეთის წინადადებანი ახალი შეიარაღების შესახებ

ჟენევა, 6 თებერვალი. განიარაღების კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაცია განაგრძობს ინიციატივის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის ტაქტიკას. შეტევის პირველი აქტი იყო ტარდიეს მიერ საფრანგეთის წინადადებათა შეტანა საერთო დისკუსიის დაწყებამდე. წინადადებათა შესავალ ნაწილში აღნიშნულია კონფერენციის მუშაობის პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენების საჭიროება.

დოკუმენტის პირველ ნაწილში დასაბუთებულია წინადადებანი, რომლის თანახმად ერთა ლიგის განკარგულებაში იქნას გადაცემული ყუმბარების დამშენი სამოქალაქო ავიაციის ძალები, როგორც შეიარაღების ყველაზე უფრო თანამედროვე შეტევითი სახე.

შემდეგი წინადადება წამოყენებულია, რომ ერთა ლიგამ მიიღოს უპირატესი მდგომარეობა საჰაერო ძალებში, „რაც უზრუნველყოფს მოღვაწეობას ომების ასაცილებლად და ლიგის მიერ საჭიროების დროს, რეპრესიულ ღონისძიებათა გამოსაყენებლად.

საფრანგეთის წინადადებათა მეორე ნაწილი ითვალისწინებს იმას, რომ აკრძალოს შორს მსროლელი მძიმე არტილერია, 10 ათას ტონა წყალწყვაზე მეტი დიდი გემების აგება, 203 მილიმეტრზე მეტი ყალიბის ზარბაზნების დამზადება და განსაზღვრული დაწესებულ ნორმას გადაცილებული ტონაჟის წყალქვეშა ნავების აგება.

დოკუმენტის მესამე ნაწილში გათვალისწინებულია, რომ უნდა შეიქნას და ერთა ლიგის განკარგულებაში იქნას გადაცემული საერთაშორისო პოლიცია, რომლის მიზანი იქნება ომის აცილება, აგრეთვე განსაკუთრებული დანიშნულების ჯარის ჯგუფები იმ ქვეყნებისათვის დახმარების დაუყოვნებლივ აღმოსაჩენად, რომელსაც თავ[illegible]ის მსხვერპლი შეიქნა.

საფრანგეთის წინადადებათა მე-4 ნაწილი კრძალავს ამითები, გაზის და ბაქტერიოლოგიური ყუმბარების გამოყენებას ჯარის ყოველგვარ ნაწილებში და იმ ტერიტორიისათვის ყუმბარების დაშენას, რომელიც ფრონტიდან ან ნაპირიდან დაშორებულია განსაზღვრული მანძილით.

წინადადებათა მეხუთე ნაწილში აღნიშნულია, რომ შეიარაღების შემცირების მიღწევა შესაძლებელია არა ტეხნიკური მეთოდებით, არამედ უშიშროების ორგანიზაციის გზით. ამიტომ წინადადებაა წამოყენებული მოხდეს საბოლოო არჩევანი ძალაუფლებით აღჭურვილ ერთა ლიგასა და სუვერენიტეტების მიერ დაუძლურებულ ერთა ლიგას შორის. „აქ, ნათქვამია წინადადებებში", საფრანგეთმა მოახდინა არჩევანი და ივი წინადადებას აძლევს ყველა სხვა სახელმწიფოებს მიბაძონ მის მაგალითს" (ადს).

ტარდიეს გეგმა — კაპიტალისტური ქვეყნების ახალი გაძლიერებული შეიარაღების გეგმაა

ბერლინი, 7 თებერვალი. „როტე ფანე" განიარაღების კონფერენციაზე საფრანგეთის მიერ წარდგენილ წინადადებათა გამო შემდეგს სწერს:

„ტარდიეს მიერ ჟენევაში წარდგენილი წინადადებანი ერთა ლიგისათვის დახმარების გაწევის შესახებ—ლიგის, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ხდება სახელმწიფოთა კონტინენტალურ კავშირად საფრანგეთის ჰეგემონიით,—ეს წინადადებანი მიზნად ისახავენ საფრანგეთის იმპერიალიზმის კონტროლს დაუმორჩილდეს ევროპის სახელმწიფოთა ძირითადი სამხედრო ძალები და განმტკიცდეს საფრანგეთის ჰეგემონია ევროპაში. ეს გეგმა არის არა მარტო თვალთმაქცობა განიარაღების საქმეში, არამედ იგი აგრეთვე მოასწავებს გაძლიერებული, განუსაზღვრელი შეიარაღების ზრდას ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ტარდიეს გეგმის განხორციელება საფრანგეთის გენერალურ შტაბს გადასცემდა კაპიტალისტური ევროპის ყველა მატერიალური და ცოცხალი სამხედრო რესურსების სარდლობას. ტარდიე მოითხოვს ერთა ლიგის უფლებების გაძლიერებას ინტერვენციაა და ერთა ლიგის წესდების მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების დარგში, რაც, პირველ ყოვლისა, მიმართულია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

თავდაუსხმელობის პაქტი

საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის

რიგა, 7 თებერვალი. 5 თებერვალს ხელი მოაწერეს თავდაუსხმელობის პაქტს საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის (ადს).

დიდი თოვლი დასავლეთ საქართველოში

ბათომი, 8 თებერვალი. (საკ. კორესპ.) მესამე დღეა ბათომში განუწყვეტლივ თოვს. კავშირი რაიონებთან შეწყვეტილია. ქალაქში მოძრაობა შეჩერებულია. თოვლის სიღრმე ორ მეტრამდე აღწევს. თოვლმა დაანგრია რამდენიმე შენობა, მათ შორის ადგილობრივი ცირკის შენობაც. მატარებლების მიმოსვლა სამტრედიასთან, ოზურგეთთან და თბილისთან შეწყვეტილია.

აჭარისტანის ცაკთან ჩამოყალიბდა შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობს ქუჩების გაწმენდას და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენას.

ზღვაზე დიდი ღელვაა. ზღვის ტალღა მწვანე კონცხთან აზიანებს რკინის გზის ლიანდაგს. მიღებულია საჩქარო ზომები ლიანდაგის გადარეცხვისაგან გადასარჩენად.

ე. ხუციშვილი.

ხონი, 8 თებერვალი. (საკ. კორესპ.) ხონის რაიონის მთიან ადგილებში მოვიდა დიდი თოვლი. თემებს შორის მიმოსვლა შესწყდა. ზოგიერთ ადგილას თოვლის სიღრმე ორ მეტრს აღემატება. თვით ხონში თოვლის სიღრმე ნახევარ მეტრზე მეტია. თოვა გრძელდება.

ა. ქ.

ლანჩხუთი, 8 თებერვალი. (ჩვენი კორესპ.) ლანჩხუთის რაიონში წვიმა და ქარბუქი პირველი თებერვლიდან შესცვალა თოვლმა. რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ თოვს. თოვლის სიღრმე აღწევს ერთ მეტრამდე. თემებს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. თოვლმა დააზიანა ტელეგრაფ - ტელეფონის ხაზები. საკვების სიმცირის გამო დიდ დაბრკოლებას განიცდის მეჯოგეთა არტელები და განსაზოგადოებული მუშა - საქონელი. შეჩერებულია ჩაისათვის ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაოები.

ვ. თხილაშვილი.

ჩოხატაური, 8 თებერვალი. ჩოხატაურის რაიონში ორ მეტრზე მეტი თოვლია. თოვა გრძელდება, მიმოსვლა თემებსა და საჯევახოს შუა შეწყვეტილია. გზების გასაწმენდათ მიღებულია ზომები.

რაიაღმასკომი.

ჯვარი, 8 თებერვალი. დღეს, დილის 5 საათზე გალიდან ზუგდიდში მომავალი მატარებელი სადგურ ინგირიდან ზუგდიდის შუა ჩაეფლო თოვლში. თოვა გრძელდება, თოვლის სიღრმე ზუგდიდში მეტრნახევარს აღემატება.

კილასონია.

ქარბუქი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

7 თებერვალს 8 საათზე სურამის უღელტეხილზე და რკინის გზის ხაზზე ბათომამდე, ფოთის, ზუგდიდის, ჭიათურის და ტყიბულის რკ. გზის შტოებზე, აგრეთვე ამიერკავკასიის რკინის გზის სამხრეთ ხაზზე კვლავ ამოვარდა ძლიერი ქარბუქი.

თოვლით დაფარულ უბნებზე განუწყვეტლივ მუშაობს 19 თოვლმწმენდი, რომელთა დახმარებით ძლივს ხერხდება მატარებლების გამოსვლა.

დამხმარე მატარებელი, რომელთაც მახინჯაურისა და ჩაქვის სადგურებს შორის გადარეცხილ ადგილზე გაემგზავრა მე-3 რაიონის და დირექციის კომისია, გაჩერდა ქობულეთის სადგურზე, რადგან სადგურიდან მიმავალი გზა დაფარულია თოვლით.

ოზურგეთის რკ. გზის შტოზე თოვლში ჩაეფლა თოვლმწმენდი. ქობულეთის, ჩაქვის, ოჩხამურის და სხვა სადგურებზე გაჩერდა რამდენიმე მატარებელი.

7 თებერვალს განუწყვეტლივ თოვდა, რასაც თან ერთოდა ქარი და ღელვა ზღვაზე, ზღვის ღელვა აღწევს 12 ბალს. ასეთი ამინდის გამო შეუძლებელი გახდა მუშაობის დაწყება გადასარბენის აღსადგენად ჩაქვა-მახინჯაურის უბანზე. სრულიად დანგრეულია გზა 15 მეტრის მანძილზე და გადარეცხილია 15-20 მეტრის სიღრმეზე.

8 თებერვალს ღელვამ ზღვაზე იკლო და შეუდგენ გზის აღდგენას. მუშაობს 500 კაცი, რომლებიც გაიგზავნა ბათომიდან.

სადგურისა და გზის თოვლისაგან გაწმენდა ძნელდება მუშა-ხელის სიმცირის გამო, კოლმეურნეობანი არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმის შესახებ, რომ გამოიყვანონ მუშა-ხელი ნამქერის წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭირო 1.500 კაცის ნაცვლად გამოყვანილია მხოლოდ 600 კაცი. ძირულის, ტყიბულის და სხვა სოფლის საბჭოებმა არ მიიღეს გადამწყვეტი ზომები ნამქერთან საბრძოლველად.

თოვლის სიღრმე სურამის უღელტეხილზე აღწევს 60 სანტიმეტრიდან 1 მეტრამდე და 55 სანტიმეტრამდე.

ა.-კ. რკინის გზების სამხრეთ უბანზე ქარბუქი მძვინვარებდა კოლტახჩის სადგურიდან ჯულფის სადგურამდე. ქარბუქი განსაკუთრებით ძლიერი იყო ჯულფა-ნახიჩევანის უბანში. 7 თებერვალს ნამქერის გამო ნახიჩევანში დარჩა მატარებელი. ყარაბურუნის სადგურიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით გადასარბენზე თოვლში ჩაეფლო სამგზავრო მატარებელი. მიღებულია ზომები მატარებლის განსათავისუფლებლად.

თოვლმწმენდები მუშაობენ ლენინაკან-ირევნის, ლენინაკან-ამამლის და ნახიჩევან-ჯულფის გადასარბენებზე.

დასავლეთ უბანზე მატარებლების მოძრაობა ამჟამად სწარმოებს ქობულეთამდე. მიღებულია ზომები პირდაპირი მიმოსვლის რაც შეიძლება მალე აღდგენისათვის (ადს).

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ ჩემი შემდეგი განცხადება: ამხ. ფილიპე მახარაძემ „კომუნისტი"-ს № 248-ში გააკრიტიკა ჩემი ზოგიერთი სოც.-ფედერალისტური ხასიათის შეცდომები წარსული საუკუნის 60-იან წლების მოღვაწეთა და კერძოდ ილია ჭავჭავაძის შესახებ. 1932 წ. 1 იანვარს საქ. პრ. მწერ. ასოციაციის მე-7 პლენუმზე ჩემს მიერ გაკეთებულ მოხსენებაში მე განსაკუთრებით ხაზი გაუსვი ამხ. ფილიპეს კრიტიკის დადებით მნიშვნელობას და განვაცხადე, რომ მე ამ კრიტიკას ვღებულობ, რაც იმავე პლენუმზე ფაქტიურად დავამტკიცე იმითაც, რომ გავაკრიტიკე ჩემი შემცდარი დებულებანი.

მე კიდევ ერთხელ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ვემიჯნები იმ ჩემს შეცდომებს, რომლებზედაც ამხ. ფილიპემ მიუთითა. მე არამც თუ სავსებით ვღებულობ იმ ჩემი დებულების კრიტიკას, რომელიც ეგნატე ნინოშვილის, ილია ჭავჭავაძის ღირსეულ მემკვიდრეთ მიჩნევაში გამოიხატება, არამედ სრულიად უერთდები ამხ. ფილიპეს გულისწყრომას იმ ბუაჩიძის წინააღმდეგ, რომელმაც დასწერა ეს 1925 წელს და დღემდე არ გაასწორა. ამ შემთხვევაში მე, წავედი რა ცალმხრივი მხატვრული შედარების ხაზით, ლენინური დებულება წარსულის კულტურის მემკვიდრეობის შესახებ გამოვთქვი უხეშად, მოუქნელად და, მაშასადამე, არა სწორადაც შეცდომით შევადარე ერთმანეთს ილია და ეგნატე. ამიტომ სავსებით ვღებულობ ამხ. ფილიპეს სამართლიან კრიტიკას იმის შესახებ, რომ მე გავიმეორე ფედერალისტური დებულება 60-იან წლების მოღვაწეთა შეფასებაში. (აქ შედის ილია ჭავჭავაძეც)

მე შევცდი იმაში, რომ ჩვენი სამოციანი წლების მოღვაწეთა პროგრამა მივიჩნიე როგორც დაყრდნობილი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეებზე.

უეჭველად შემცდარია ამ ციტატის ის დებულება, სადაც მე ვსვამ თითქმის იგივეობის ნიშანს რუსეთის სამოციანი წლების მოწინავე ინტელიგენციისა და ჩვენს სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის.

მე დაუშვებლად ვივიწყებ იმ გარემოებას, რომ ჩვენი სამოციანი წლების მოღვაწენი მხოლოდ მახინჯი, ცალმხრივი ანარეკლი იყვნენ რუსეთის მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციისა.

მართალია ამხ. ფილიპე მახარაძე, როდესაც ამბობს, რომ ჩვენი სამოციანი წლების ინტელიგენცია რუსეთში ფორმალურად ითვისებდა მოწინავე იდეებს და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ეს იდეები ხუნდებოდაო.

ამავე ამონაწერში ფედერალისტური ხასიათის შეცდომაა, რომ ვითომც მწერალთა ჯგუფი ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის „მეთაურობით" იბრძოდა ბატონყმობისაგან ხალხის განთავისუფლების იდეებისათვის. აქ მე ხაზი უნდა გაუსვა იმას, რომ ეს [illegible] სოციალურ ჩაგვრის მოსპობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამ ჩაგვრის „გაუმჯობესებასთან" უკეთესი ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ერთი მხრივ თავადურ ლიბერალიზმს თავადაზნაურობის გადარჩენის წყურვილი კვებავდა და მეორეს მხრივ „ჰუმანიურ" იდეებს ბურჟუაზიის კლასიური ინტერესები ედვა სარჩულად.

აუცილებელია სასტიკი ბრძოლა 60-იან წლების მოღვაწეთა არასწორი შეფასებასთან. ეს ბრძოლა აუცილებელია ამ საკითხში დაშვებულ ცალკე შეცდომებთანაც.

ილია ჭავჭავაძე არ იყო მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ, არამედ ის იყო თავადაზნაურობის მოწინავე, ჭკვიანი წარმომადგენელი, ე. ი. ყველაზე ძლიერი და მძაფრი რეაქციონერი, რომელმაც თავის მუშაობით მეტი სარგებლობა მოუტანა თავის კლასისათვის. ამაშია ილია ჭავჭავაძის თვითკრიტიკის აზრი საკუთარი კლასის მიმართ, რომელზედაც მე ვსწერდი იმ შემცდარ დებულებებთან ერთად, რომელთაც მე არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ. ეს ძირითადათ ეწინააღმდეგება ამხ. სიმონ ხუნდაძის დებულებებს, რაც არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ჩემი ხუნდაძესთან გათანაბრების საბაბს, თუმცა ჩემი ეს შეცდომები ობიექტიურად ხელს უწყობდა ს. ხუნდაძის და სხ. ფედერალისტურ რეციდივებს.

მე საქარ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობის და ჩემს შეცდომათ მიმაჩნია ის, რომ გასული წლის მეორე ნახევრამდე სასტიკი ბრძოლა არ ვაწარმოეთ ხუნდაძის ფედერალისტურ შეხედულებების წინააღმდეგ და დაუშვებლად დავიგვიანეთ ამ საქმეში. ჩვენი დიდი შეცდომაა აგრეთვე ის, რომ არავითარ თვალყურს არ ვადევნებდით ენციკლოპედიებში ლიტერატურული თანამშრომლობის საქმეს, კერძოდ იქ გ. თავზარაშვილის მუშაობას.

მე ვთვლი ჩემს გამოსვლას კომაკადემიის უჯრედის პლენუმზე ამხ. ფილიპე მახარაძის წინააღმდეგ დაუშვებლად.

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ბიუროს კომფრაქციის 5 თებერვლის დადგენილებას („კომუნისტი № 8 თებერვლის №-ში) ვთვლი ძირითადად სწორად.

ჩემს ბოლშევიკურ მოვალეობად მიმაჩნია სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გავატარო ის მემარჯვენე და „მემარცხენე" ხასიათის შეცდომები, რომლებიც მე მაქვს. კერძოდ ეს ითქმის ჩემს წიგნზე: «Пути развития грузинской литературы» (1930 წლ. გამოც.).

ეს შეცდომები სამართლიანად იქნა თავის დროზე ამხანაგების მიერ გაკრიტიკებული „კომუნისტში".

ბ. ბუაჩიძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის რეზოლიუციაში დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომა. თავში „სოფლის მეურნეობა", მე-5 პუნქტში (მე-3 გვერდის პირველი სვეტი), სადაც სწერია „ჩაის თესვის გეგმის — 20.000 ჰექტარის" — უნდა იყოს „ჩაის თესვის გეგმის 20.100 ჰექტარის". იმავე თავის მე-9 პუნქტში (მე-3 გვერდის პირველი სვეტი) „მეცხოველეობის რეკონსტრუქციის" ნაცვლად უნდა იყოს „მეცხვარეობის რეკონსტრუქცია". და სხვ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— 9 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცკას შენობაში (ოთახი № 2), **მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) ცკას სარევიზიო კომისიის წევრთა საორგანიზაციო სხდომა.**

ცკას სარევიზიო კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი 10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში იწვევს რაიონში ყველა სახის პარტგანათლების ქსელის **პროპაგანდისტების თათბირს უჯრედების კულტპროპორგანიზატორებთან ერთად.**

დღის წესრიგში:

1) პარტგანათლების ქსელის მდგომარეობა რაიონში;
2) პროფესიონალური სემინარების ორგანიზაციის შესახებ;
3) მიმდინარე საკითხები.

ყველა ზემოდ-დასახელებულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ, უჯრედების მდივნებმა უნდა უზრუნველყონ მათი დასწრება.

იწარმოებს აღრიცხვა.

—:—

— საქ. კ. პ. (ბ) ცკას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება იუწყება, რომ 11 თებერვალს, დღის სრულ 12 საათზე, ცკას საორგ.-საინსტრ. განყოფილებაში (ოთახი № 13), შესდგება საორგანიზაციო თათბირი პარტიული საგაზაფხულო კამპანიის შედეგების და პარტიის ზრდის საკითხის შესახებ. დასწრება ქვემოდაღნიშნული ამხანაგებისათვის სავალდებულოა: ზეინალოვი (თბ. კომ.), ცხოვრები (ლენინის რაიონი), ლუკინი (სტალინის რაიონი), გორდელაძე (26-ის რაიკომი), შონია (ორჯონიკიძის სახ. რაიკომი), საქ. კ. პ. (ბ) ცკას სექტორების გამგეები ქვემოდაღნიშნული რაიკომების საორგანიზაციო განყოფილების გამგეები: სტალინირის, სიღნაღის, სამტრედიის, სენაკის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, გორის და ბორჯომის.

—:—

— 26 კომუნართა რაიკომის კულტპროპი აუწყებს, 26-ის რაიონის ყველა ხელმძღვანელებს, რომ 14 თებერვალს, საღამოს სრულ 6 საათზე რაიკომის კულტპროპის შენობაში (კახეთის მოედანი, № 1, მე-3 სართული ოთახი № 9) მოწვეულია ხელმძღვანელების თათბირი. ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

— 26-ის სახელობის რაიკომის კულტპროპგანყოფილება იუწყება, რომ ყველა სემინარების მეცადინეობა ხელმძღვანელი პარტაქტივისათვის დანიშნულია თვეთვეული თვის 10, 20 და 28 რიცხვებში რაიკომის კულტპროპის შენობაში (კახეთის მოედანი, № 1, მე-3 სართული, ოთახი № 9). ზემოაღნიშნულ სემინარში ჩაწერილი ამხანაგები აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ დანიშნულ დღეებში.

—:—

— 9 თებერვალს, 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცკას აგიტმასგანყოფილება იწვევს შემდეგ ამხანაგებს: დუმბაძე, ჯიბუტი, შოგირაძე (საქ. ცაკი), ვაშაკიძე, ცინცაძე (საფ. ეკონ. ინსტ.), [illegible] საბჭ. სამართლის ინსტიტუტი), ჩანკვეტაძე (სააღმშენებლო ინსტიტუტი), ცაგარეიშვილი (ფინსახკომი), პაპიძე (პედ. ინსტ.), სიჭინავა (ა.-კ. პასმშენი).

—:—

— საქ. კ. პ. (ბ) ცკას კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს 9 თებერვალს, 12 საათზე გამოცხადდნენ ამხ. დარახველიძესთან (ოთახი № 41), პროკოფი ვაჩაძე, გრიგ. ესუქიძე (წითელი ჯვარი), ემხაძე, სერგო ყრუაშვილი (ფინსახკომი), ალ. მდივნიშვილი (გარეუბნის რაიონი). მიხეილ ქობულაშვილი, ლავრენტი გეგეშიძე, (გან. კომისარიატი), მაცაბერიძე (ა.-კ. კომუნივერსიტეტი), ისაკოვა (სამხრეთ-ოსეთი), აკაკი მუხირია.

ოპერა / საბალეტო

დღეს, 2 ახ 7 წ. **თამარ ცბიერი**

10 თებ. 6 ახ. 7 წ. **კარმენი**

11 თებ 8 ახ 7 წ. ს ი მიგაის მონაწ. **სევილ დალაქი** 6 თებერ. „რიგოლეტო"-ზე აღებ. ბილ. ძალაშია 11 თებერვ.

13 თებ. ფატმა მუხთაროვას პირვ. გამოსვლა ს. ი. მიგაის მონაწ. აბონ. გარეშე **კ ა რ მ ე ნ ი**. ბილეთები იყიდება. წარმოდგენა იქნება საღ. 8 ს. აბონენტები, რომლებთაც არ გადაუხდიათ 15 წარმოდ. აბონ. მე-7 შესატანი და 10 წარმოდ. აბონემენტის მე-6 შესატანი წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებრ. წესით. ნ. 279

11 თებერვ. აბონემენ. გარეშე **განგაში**

12 თებერვ. აბონემენ. გარეშე **თეთნულდ**

13 თებერვალს აბონ. გარეშე **ლამარა**

დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ნ. 273

9 თებ 9 ახ 6 ს. **კოკლა ჩვენ ეზოსლდენ**

10 თებ. 2 ახ 6 წ. **პ უ რ ი**

11 თებ აბონ გარ. **[illegible]** ბეგლარის როლში უშანგი ჩხეიძე

უკანასკნელი ვადა მე-6 გადასახადისა არის 10 თებერ. რის შემდეგ გაუქმებული იქნება ყველა დაუფ. აბონემენტები. ნ. 275

სახ. ცირკი დასაწ. 8 15 ს. ნ. 270

დღეს და ყოველდღე ახ. პროგრამა
ნ. პ. გლადილშჩიკოვის
და მისი მეცების გამოსვლა
ბალანსის უდიდესი მიღწევა 3 ხიმონსონი
სპორტსმენი გორგოლებზე მრბენი ვატონი
საუკეთესო აკრობატ. ვეომაში
ადამიანი ორკესტრი მეშკეტი

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. ექსხოზრ სისუსტ მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს. ბინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5.
25—12 8189

საქ. ს მ. უ საბჭოს სახელმწ. საპროექტო-საკონსულტ. ტრესტი
საქსახპროექტი
ამით აცხადებს დაინტერესებულ ორგანიზაციების საყურადღებოდ რომ იგი პუშკინის ქუჩიდან № 3
გადავიდა ახალ შენობაში
ლენინის ქუჩა № 22 მე-3 სართულში. ყოველგვარ საქმეზე და საკითხზე გთხოვთ მიმართოთ ახალ შენობაში.
1018 ადმინისტრაცია.

ი. ი. ზერეშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს საღ. 5—8. ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 3.
25—22

ექიმი
ა. დ. ქლენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8
0—7

ქალ. თბილისის მომარაგების მომსახურების განყოფილება
თანახმად თბილისის საბჭოს 20 ოქტომბრიდან № 194 სავალდებულო დადგენილებისა,
აუწყებს თბილისის კომუნალურ სახლთა სამმართველოებს და კერძო სახლთა მფლობელობებს,
რომ იმ სახლთმფლობელობებში და კერძო სახლებში, სადაც 15 თებერვლისათვის არ იქნება ჩამოყალიბებული მომარაგების სამეულები და ოქმები მათი სამეულის შემადგენლობის დასამტკიცებლად გადაგზავნილი სასურსათო საბუთების სექციაში ბამბის რიგი № 2-ში მათი მონაწილეები: (მუშამოსამსახურეები და სხვა) მე 2 კვარტალის სასურსათო საბუთებს ვერ მიიღებენ რის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სახლთა სამართველოებს და კერძო სახლთა მფლობელებს.
შენიშვნა: ა) იქ, სადაც სახლთა სამეული არსებობს სახლი მარაგსამეული დაარსებული არ იქნება, უკანასკნელის მოვალეობის შესრულება დაეკისრებათ მასვე სახლთა სამეულს მხოლოდ მათი აღრიცხვიათვის საჭიროა წარმოდგენილი იქნას ცნობები სამეულში შემავალ პირებისა.
ბ) ყოველგვარი ახსნა-განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით სახლთა სამმართველოებს და კერძო სახლთმფლობელოებს შეუძლიათ მიიღონ ამხ. ძნელაძესთან ბამბის რიგი № 2, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 12 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.
მომარაგ. მომწესრ. განყ. გამგე ხვედელიძე
სასურ საბუთების სექციის გამგე შოშნაძე.
ნ. 277

ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციების და გაერთიანებათა
საყურადღებოთ
საქ. სოფ. მეურნეობის სოც. რეკონსტრუქციის სამეც. კვლევითი ინსტიტუტი ადგენს რა 1932 წლის საწარმოო სამუშაო გეგმას სოფლის მეურნეობის საგამომკვლევო დარგში, სთხოვს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და გაერთიანებებს ხელმძღვანელობის თავის დროზე დასადებათ გადმოუგზავნონ დაკვეთა ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მოითხოვენ ჩვენი დაწესებულების ხაზით დამუშავებას.
დაკვეთაში გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული: დასახელება, მოცულობა და ხასიათი შესასწავლი ობიექტებისა
ინსტიტუტის დირექცია.
თბილისი, კეცხოველის ქ. № 7.
ნ. 276

საქ. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს
ესაჭიროება
ვეტექიმები და მოანგარიშეები
საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ.
ხელფასი შეთანხმებით.
მისამართი: ლენინის ქუჩა № 32.
ნ. 278

ქ. თ. ცუცქირიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. $8^1/_2$—9 საღ. 7—8
77886 13—12

კბილის ექიმი
დ ს რუქანაშვილი
კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბირ. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება: 10—3ს. და 5—7 ს. მისამარ. გრიბოედოვის ქ. № 34. რუსთაველ გამზ. კუთხე
25—13 801

ექიმი
ნ. კონტორკიანი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყ. პეტრე დიდის ქ.) თმის ფერის მჭამელას. ჭორფლის. მეჭეჭის, ხაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტროთის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებით და საშუალებების გამოყენება მიღ. 12—3 ს. და 6—8 ს. 8179 25—18
7245 25—18

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება
მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ, ტელ. 12—67.
25—16 8004

საქალვინკომბინატი
იწვევს ცენტრში (თბილისში)
მუდმივად სამუშაოდ
ინჟინერ-მშენებელს
სასურველია მევენახეობა-მეღვინეობის შენებლობის ცოდნა.
ხელფასი და პირობები შეთანხმებით
მიმართეთ საქალვინკომბინატში (ელბაქიძის დაღმ. № 12) დირექციის მდივანს. 2-2 ნ. 269

უკანასკნელი დღეები
ახალი სურათებისაგან
მხატვ. სურ. **იბრაჰიმ და გოდერძი**
რეჟ. ბერიშვილი, ოპერ. პოლიკევიჩი
ამერიკული მხატვრული ფილმი
შავი ციკლონი
გაროლდ ლოიდი სურათში
მ ო რ ც ხ ვ ი
ნინა ლი მხატვრულ სურათში
ზღვის ღელვის ქანონები
მის მენდ უკანასკნელი მე 3 სერია.

ამოვანი კინო **ოქტომბერი** „ყ აპოლო" სეანს. 12.2.4.6-30.8-30.10-30.
დღის კინო **სპარტაკი** სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო **სპარტაკი** სეან. დას 6. 7-30 9 10-30.
კინო დამკვრელი „ყოფ. პალასი" სეან. დას 6 7-30. 9, 10-30.
რ ლიუქსემბურგ სახ. ყოფ. „ოიაონი" სეან. დას. 6-30. 8. 9-30. 11.
კინო დარბაზი სეან. დას 6. 7-30 9 10-30

ღრმად დამწუხრებული შვილები: ლევანი სიმონი, აკაკი, ცოლშვილით, რძალი შურა, ქალიშვილები: პაშა, ცაცუკა მინადორა, ნინა ქარშვილით იუწყებიან უსაყვარლესი მამის
ყარამან სოფრომის-ძე ვაშაკის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ჭიათურაში 9 თებერვალს. 1022

ჭიათურის ფონდის მუშაკები: მარკოზ იაკობაშვილი, პავლე კახიაშვილი, გედევან ცარციძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ უძვირფასესი ძია
ყარამან სოფრომის-ძე ვაშაკის
გარდაცვალების გამო. 1022

გულდამწვარი მეუღლე ნატა, შვილები: მურიან, პოლინა, ლუნა. დავითი, ფედიკო, ვალია და რაჟიკო ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფასი
ალექსი ივანეს-ძე ოდიშარიას
გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ნოსირში 9 თებერვალს. 1017

დამწუხრებულნი ძმიშვილები: პარმენი, ბაგრატი, ვენერა, ვალოდია, შუშანა და ძროშა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ ბიძის
ალექსი ივანეს ძე ოდიშარიას
გარდაცვალებას. 1017

გულდამწვარი ძმა იოსები, რძალი ლიდა დები: სალომე და მატო, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ძმა
ალექსი ივანეს-ძე ოდიშარია
დასაფლავება ნოსირში (სენ. რაიონი) 9 თებერვალს. 1017

იოსებ სიმიტრის-ძე და მანანა ვასილის ასული მირიანაშვილები შვილებით მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი ბიძა
ნიკოლა ზაქარიას-ძე მირიანაშვილი
1020

დამწუხრებულნი შვილები: აბიჯა, თამარა წერეთლები სიძეები ეკუშა ერისთავი კოლია ტატიშვილი მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამის
სვიმონ ნიკოლოზის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას დაკრძალვა სოფელ სვერში 9 თებერვალს 2 ნახ. საათზე 1015

მარია ქენინი, თინა ინწკირველი და ბი ქმრებით მწუხარებით იუწყებიან რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე
ანჟელინა თედ. ას მახარაძე
1016

დამწუხრებულნი უახლოესი მეგობრები: ქეთო მაჩიაშვილი, მარგო რაზმაძე, ნინა მოდალეიშვილი, ელიკო კოხოძელიძე, ლიუდმილა ნიკოლაიშვილი დიდი მწუხარებით ატყობინებენ ახალგაზრდა მასწავლებლის
ანჟელინა მ ა ხ ა რ ა ძ ი ს
უდროოდ გარდაცვალებას. 1022

მუხრანის მომხ. კოოპერატივის გამგეობა, კოოპერატივის და სახვაჭრობის მუშაკთა მუხრანის ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას აქტიური წევრის
ანჟელინა მ ა ხ ა რ ა ძ ი ს
გარდაცვალებას. 1022

ერწო-თიანეთის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეები: ა. აბრამიშვილი, მ ხატიაშვილი, ს ბურჯული, მ. ლეჩინიაშვილი, გ. ალავიძე, ა წოწკოლაური. ხ. გოკიაშვილი, ი. ქსენელაშვილი თ. სამუკაშვილი, ძ. მგალობლიშვილი მწუხარებას გამოსთქვამთ თანამშრომლის
ლადო ბ ა დ ა ლ ო ვ ი ს
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდა 25 იანვარს. 1021

დამწუხრებული მშობლები: რაფიელ, დაოთ ცოლი თამარი, შვილი ოთარი, დები: ქეთო, ატია ცინცაძეები იუწყებიან საყვარელ
გრიშა ცინცაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანშკიდი ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოში 10 თებერვალს, 5 საათზე. გამოსვენება 11 თებერვალს 4 საათზე. 1015

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 977